# არსენალი

№ 8 (51). 18 აპრილი – 1 მაისი. 2008. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## აფხაზეთი ბლოკადამდე და ბლოკადის შემდეგ

1425
2008

## ქართველები ერაყში

## საჰაერო ტანკერების ომი

## რისთვის იგონებენ ტერაქტებს...

## ათასი ქართული ყუმბარსატყორცნი

## ფუტიეთის ბრძოლა




ბუქარესტის სამიტის დოსიე
6



ქართველები ერაყში
12



აფხაზეთი ბლოკადამდე და ბლოკადის შემდეგ
24

ჯიხვემა ხაფანგში შეიტყუა
48





იანიჩარები
37



გენერალ დე გოლის მარტოობის 80 წელი
40

# სარჩევი

**კალეიდოსკოპი**
4 უცხოური ამბები
**ალიანსი**
6 ბუქარესტის სამიტის დოსიე
**ექსპერტი**
8 რამდენად აუცილებელია სამხედრო-საინჟინრო დოქტრინა
**ფოტორეპორტაჟი პოლიგონიდან**
11 შაქრიანის სასროლეთზე რეზერვისტებმა ყუმბარსატყორცნებით გაივარჯიშეს
**ერაყი**
12 „ერაყელმა ახალშობილს ქართველის პატივსაცემად დავითი დაარქვა...“
**სამხედრო სიახლეები**
14 საარტილერიო ჭურვით 185 კმ-ზე
**სპეცსამსახურები**
15 „პარალელური“ სპეცსამსახურები
17 პოლიტიკური ქულების მოპოვების ნაცადი მეთოდები
**თეორია**
19 აპოკალიფსის დოქტრინა
**საქართველოს ისტორია**
20 ფუტიეთის ბრძოლა
**ფლოტი**
24 აფხაზეთი ბლოკადამდე და ბლოკადის შემდეგ
**სწავლება**
27 დაიწყო „ბლექსიფორის“ მეშვიდე აქტივაცია
**ომგამოვლილები**
30 ოპერაცია პაულიუსის არმიის დასახმარებლად
**კონსულტაცია**
34 კვალიფიციური რჩევები
**დაპირისპირება**
35 საჰაერო ტანკერების ომი
**ომების მსოფლიო ისტორია**
37 ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში
**გამოჩენილი მხედართმთავრები**
40 გენერალ დე გოლის მარტოობის 80 წელი
**ფლოტი**
45 კართაგენის ფლოტი
**ნადირობა**
48 „ჯიხვმა ხაფანგში შემიტყუა“
**კროსვორდი**
51 არსენალვორდი
**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**
52 1000 ქართული ყუმბარსატყორცნი

## რედაქტორის სვეტი

MAP-ის გარეშე დარჩენილ საქართველოში ყველანაირად შეიძლება განვითარდეს მოვლენები. მართალია, ნატო დაგვპირდა, რომ ადრე თუ გვიან მიგვიღებს თავის რიგებში, მაგრამ მანამდე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ტყუილად როდი იმუქრება რუსეთის ხელისუფლება, რომ ყველა ღონეს იხმარს, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება რომ არ დაუშვას.

შესაძლოა, სიტუაცია აფხაზეთში 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებამდე კიდევ უფრო დაიძაბოს და მიაღწიოს იმ კრიტიკულ ზღვარს, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს, დაიცვას საქართველოს მოქალაქეთა შელახული უფლებები არა მარტო გალის რაიონში, არამედ მთელ აფხაზეთში.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშშ-ში სერიული F-35-ის აწყობა დაიწყო



კომპანია NORTROP GRUMMAN-ის ქარხანაში, ქალაქ პალმდეილში, კალიფორნიის შტატში, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის დაიწყო მეხუთე თაობის პირველი სერიული გამანადგურებელ F-35 LIGHTNING II-ის აწყობა. პირველი თვითმფრინავის ფიუზელაჟის ცენტრალური ნაწილი F-35A-ს ბაზური კონფიგურაციით აშენდება, ჩვეულებრივი აფრენითა და დაჯდომით. ახალი გამანადგურებლების საცდელი ნიმუშების შექმნის ეტაპზე GRUMMAN-მა ააგო 19 ფიუზელაჟი. ამ ხნის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე სპეციალისტებს საშუალება მიეცათ დროის მცირე მონაკვეთში შესრულებინათ სამუშაო. საბრძოლო თვითმფრინავების აგება ერთიანი დამრტყმელი გამანადგურებელ JSF-ის პროგრამის მენარდე კომპანია LOCKHEED MARTIN-ში დასრულდება, ქალაქ ფორტ უორტში, ტეხასის შტატში. F-35-ის ფიუზელაჟის უკანა ნაწილს კომპანია BAE SYSTEMS-ი გააკეთებს, ხოლო წინას, ფრთებსა და კაბინას LOCKHEED MARTIN-ი. F-35 მრავალფუნქციური დამრტყმელი გამანადგურებელია, რომელიც აგებულია „სტელსის" ტიპის ნაკლებშემჩნევადობის უზრუნველყოფის ტექნოლოგიის გამოყენებით. გამანადგურებელს სამი კონფიგურაციით გამოუშვებენ — საბაზოს სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის, საგემბანოს სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის და დამოკლებული აფრენითა და ვერტიკალური დაჯდომით საზღვაო ქვეითების კორპუსისათვის. F-35-ის საბრძოლო მოქმედების რადიუსი 1500 კმ-ს შეადგენს, პრაქტიკული ჭერი — 19200მ-ს. გამანადგურებლის მაქსიმალური სიჩქარე საათში 2600 კმ-ის ტოლია. საბრძოლო დატვირთვა ვარირებს 5900-დან 7700 კილოგრამამდე, კონფიგურაციის მიხედვით.

# პენტაგონმა 167 V-22 OSPREY შეუკვეთა



კონსორციუმმა BELL BOEING-მა კონტრაქტი დადო პენტაგონთან ასოთხმოცამდე კონვერტპლან V-22 OSPREY-ს მიწოდებაზე, საერთო ღირებულებით 10,4 მლრდ დოლარი. კონტრაქტი გათვლილია ხუთ წელიწადზე და ითვალისწინებს შეკვეთის გაზრდასაც. მისი პირობების თანახმად, 2013 წლამდე აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსი მიიღებს 141 თვითმფრინავს ხრახნების ბრუნვის ცვლადი სიბრტყით, სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალური ოპერაციების ძალები კი 26 მანქანას. ამჟამად კონსორციუმმა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს 100 კონვერტპლანი V-22 OSPREY მიაწოდა. მათგან ოცს იყენებენ ერაყში, აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსში. V-22 OSPREY ერთდაერთი სერიული კონვერტპლანია მსოფლიოში, რომელშიც შეთავსებულია თვითმფრინავისა და შვეულმფრენის მახასიათებლები. ხრახნების ბრუნვის სიბრტყის შეცვლის წყალობით სატრანსპორტო-სადესანტო V-22-ს შეუძლია ვერტიკალური ფრენა და დაჯდომა, ასევე ჩვეულებრივ რეჟიმში ჩქაროსნული აფრენის შესრულება. ეკიპაჟი შედგება 2 კაცისგან. სატვირთო ნაკვეთურში 24 მედესანტე თავსდება. თვითმფრინავის რეჟიმში მაქსიმალური სიჩქარე საათში 638 კილომეტრს შეადგენს. V-22-ის მოქმედების რადიუსი 950 კმ-ს აჭარბებს.

# ავსტრალიელ ჯარისკაცებს მოდულურ ჯავშანჟილეტებს ჩააცმევენ

კომპანია AUSTRALIAN DEVENCE APPAREL-მა გააფორმა კონტრაქტი ავსტრალიის თავდაცვის სამინისტროსთან მოდულური ჯავშანჟილეტების, MCBAS-ების მიწოდებაზე. 80,7 მლნ დოლარის ღირებულების კონტრაქტი გათვლილია 5 წელიწადზე. თავდაცვის ახალ ინდივიდუალურ საშუალებათა მიწოდება მიმდინარე წლის მაისში დაიწყება. ავსტრალიის სამხედრო მეთაურობის აზრით, ჯავშანჟილეტები MCBAS, რომელთა შესაქმნელად გამოიყენეს თანამედროვე მასალები და ტექნოლოგიები, შესაძლებლობას მისცემს სამხედრო მოსამსახურეებს თავი დაიცვან ცეცხლსასროლი იარაღისგან და საბრძოლო მასალების ნამსხვრევებისგან. ამასთან, ინდივიდუალურ საშუალებათა მოდულური კონსტრუქცია საბრძოლო ამოცანების შესრულებისას მათ იოლად გამოყენებას უზრუნველყოფს. ახალი ჯავშანჟილეტების მიწოდების თაობაზე კონტრაქტი დაიდო ავსტრალიის თავდაცვის სამინისტროს პროგრამა PROJECT LAND 125-ის ფარგლებში, რომლის მიზანია სახმელეთო ჯარების სამხედრო მოსამსახურეების ინდივიდუალური ეკიპირების მოდერნიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გრადი“ ინგლისურად



ბრიტანული კომპანია ლოკჰიდ-მარტინ ინსის იუქეისის სპეციალისტები მუშაობენ ზალპური ცეცხლის მსუბუქი რეაქტიული სისტემის საცდელ ნიმუშზე, სახელწოდებით LIMAWS (R) (LIGHTWEIGHT MOBILE ARTILLERY WEAPON SYSTEM (ROCKET)). სავარაუდოდ, თავდაპირველად ოთხ მანქანას გამოუშვებენ, რომლებსაც საველე პირობებში გამოცდიან. დასავლური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის საბრძოლო მასა არ უნდა აღემატებოდეს 9 ტონას, საბრძოლო მოქმედებების ზონაში მას სატრანსპორტო შვეულმფრენ „ჩინუკების“ გარე საკიდრებით ან C-130 ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავების ფიუზელაჟის შიდა ნაწილით გადაისვრიან. ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის საარტილერიო ნაწილი აღჭურვილია შემსუბუქებული ფერმით, მიმმართველების ერთი საშტატო პაკეტის (რომელსაც იყენებენ ამერიკულ 227-მმ სისტემა M270A1 MLRS და M142 HIMARS-ებზე) განსათავსებლად, ასევე ექვსი მაკორექტირებელი რეაქტიული ჭურვებით NAVSTAR ან ერთი ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა ATACMS-ით. მანქანის ეკიპაჟი სამკაციანია, კაბინა და მინა შეჯავშნულია, რაც უზრუნველყოფს სასროლი იარაღის ტყვიებისაგან და საარტილერიო ჭურვებისგან დაცვას.

# გერმანიაში შეიქმნა მცირე სიშორის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი



გერმანულმა კომპანია DIEHL BGT DEFENCE-მა, რომელიც ჰაერსაწინაღო თავდაცვის საშუალებათა და სარაკეტო შეიარაღების შემუშავება-წარმოებაზე მუშაობს, ახალი მიწისზედა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი მცირე სიშორის IRIS-T SLS-ი შექმნა. კომპლექსს საფუძვლად დაედო საავიაციო ბაზირების სარაკეტო სისტემა IRIS-T, რომელიც შეიარაღებაში აქვს შვიდ ევროპულ სახელმწიფოს. „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტა აღჭურვილია მყარსაწვავიანი ძრავათი და თვით მიწისზედა გაშვების რეჟიმში 10 კილომეტრზე მეტი მოქმედების სიშორე აჩვენა. ახალი კომპლექსის გამშვები დანადგარი მაღალი გამავლობის მცირეტონაჟიანი სატვირთო ავტომობილის შასიზეა დამონტაჟებული.

# იტალიელების ახალი თვითმფრინავი

იტალიურმა კომპანიამ ALENIA AERMACCHI-მ ახალი თაობის რეაქტიული საბრძოლო-სასწავლო თვითმფრინავ M-346-ის პრეზენტაცია ჩაატარა. ცერემონიას ესწრებოდნენ იტალიის სამხედრო მაღალჩინოსნები და თავდაცვის მრეწველობის წარმომადგენლები. M-346 საბაზო-საწარმო კონფიგურაციის პირველი თვითმფრინავია. ALENIA AERMACCHI-მ ორი პროტოტიპი გამოუშვა კონსტრუქციისა და საბორტე სისტემების საბოლოოდ დასახვეწად. კერძოდ, თვითმფრინავის ოპტიმიზაციის პროცესში გამოიყენეს კომპოზიტური მასალების ზოგიერთი ახალი დეტალი და ტიტანი, შემუშავდა ახალი შასი და დაიხვეწა ფრენის მართვის სისტემა. დამუშავების შედეგად თვითმფრინავის მასა 700 კილოგრამამდე შემცირდა. უახლოეს მომავალში M-346-ს, რომელიც განკუთვნილია თანამედროვე გამანადგურებლების პილოტების საფუძვლიანი მომზადებისათვის, სერიულ წარმოებაში ჩაუშვებენ. დაგეგმილია მის ბაზაზე მსუბუქი მოიერიშის შექმნაც. ახალი თვითმფრინავით დაინტერესებულია მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, მათ შორის ავსტრია, ბელგია, საბერძნეთი, ესპანეთი, იტალია, მალაიზია, პოლონეთი, პორტუგალია, არაბთა გაერთიანებული საამირო, სინგაპური, აშშ, ფინეთი, საფრანგეთი, ჩილე და შვეცია. M-346-ის ფრთის გაქანება 9,7მ-ს, სიგრძე კი 11,5 მ-ს შეადგენს. აღიჭურვება ორი ტურბორეაქტიული ძრავა F-124-GA-200-ით, რაც საათში 1050 კილომეტრი სიჩქარის განვითარების შესაძლებლობას იძლევა; მოქმედების რადიუსი — 200 კილომეტრია, საბრძოლო დატვირთვა — 3000 კილოგრამი საკიდრის 5 კვანძზე.



# ბუქარესტის სამიტის დოსიე




იაპ დე ჰოოპ სხეფერი დეკლარაციას კითხულობს

ბუქარესტის NATO-ს სამიტი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. საქართველომ ვერ მიიღო მკაფიო პასუხი, როდის ეღირსება სამოქმედო გეგმას (MAP), მაგრამ არ იქნება სწორი, მხოლოდ ამის გამო ნაცარი წავაყაროთ ბუქარესტის NATO-ს სამიტის დოსიეს, რომელიც ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო საქართველოსთვის და მთელი ევროატლანტიკური სივრცისათვისაც, ვიდრე ბევრი წინამორბედი უმაღლესი დონის შეხვედრა.

NATO-ს სამიტი ოფიციალურად 3 აპრილს გაიხსნა, მაგრამ საქართველოსა და უკრაინის საკითხი უკვე წინა დღით, ალიანსის სახელმწიფოთა მეთაურების სამუშაო ვახშამზე გაირკვა. კულუარებში უკვე ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელსაც მხარს უჭერდნენ ე.წ. „ვიშეგრადის ჯგუფისა“ (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი) და ბალტიისპირეთის ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურები, ვერ შეძლებდა გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობის დაძლევას.

ამ თემას აქტიურად აშუქებდა სამიტზე აკრედიტებული 3000-მდე ჟურნალისტი, რომლებისთვისაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საქართველოსთვის და უკრიანისთვის MAP-ის მიცემა-არმიცემა, ლამის სამიტის მთავარ ინტრიგად იქცა.

ჩანს, ალიანსის ხელმძღვანელობაც მიხვდა, რომ საჭირო იყო ჟურნალისტების ცნობისწადილის დროულად დაკმაყოფილება. ამიტომ 2 აპრილს, ღამის 10 საათზე, ბუქარესტის პარლამენტის სასახლის საკონფერენციო დარბაზში NATO-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ოფიციალური ვახშმიდან გამოტანილი პირველი გზავნილი შეეხებოდა NATO-ში ახალი წევრების — ხორვატიისა და ალბანეთის მიღებას, მეორე კი საქართველოსთვის და უკრაინისთვის გაწევრების სამოქმედო გეგმის მიღებას. „მთავრობათა მეთაურები შეთანხმდნენ, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად მიიღებენ MAP-ს, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, მოხდება თუ არა ეს ბუქარესტში“, — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ, რომელიც ჟურნალისტების „წერტილოვანმა შეკითხვებმა“ იძულებული გახადა, ეთქვა, — ეს, ალბათ, ამ სამიტზე არ მოხდებაო.

## გეგმავდნენ თუ არა მიხეილ სააკაშვილი და ვიქტორ იუშჩენკო დემარშს

საქართველოს სახელმწიფო დელეგაციამ, რომელსაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა, ჟურნალისტებზე ადრე შეიტყო, რომ 3 აპრილის NATO-ს საბჭოს სხდომა მას კარგს არაფერს ჰპირდებოდა. ამბობდნენ იმასაც, თითქოს იმედგაცრუებული მიხეილ სააკაშვილი ბუქარესტიდან ვადაზე ადრე გამგზავრებასაც გეგმავდა.

აშკარად უხასიათოდ იყო უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, რომელიც სამიტის სხდომის დაწყებამდე მასპინძლებმა შეცდომით პრესცენტრის დერეფანში გამოატარეს და მასაც სხვა გზა აღარ ჰქონდა, მცირე განმარტება გააკეთა: „უკრაინამ ყველაფერი გააკეთა, რომ MAP მიელო, დანარჩენი კი NATO-ს ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უკრაინა არჩეულ გზას არ გადაუხვევს“.

საქართველოსა და უკრაინის ერთადერთ იმედად რჩებოდა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და NATO-ში საქართველოს ე.წ. ლობისტები, მათ შორის პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, რომლებიც ცდილობდნენ, ისეთი კომუნიკე მაინც მიელოთ, რაც საქართველოსა და უკრაინას ოდნავ მაინც მოულბობდა გულს.

ალიანსის წევრი 26 ქვეყნის ლიდერები კომუნიკეს ტექსტს დიდხანს ათანხმებდნენ ერთმანეთთან, ათასობით ჟურნალისტი კი უკვე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ალიანსში დიდი უთანხმოებაა და რომ ეს ნიშნავს რუსეთის გამარჯვებას, რომელმაც დაბლოკა საქართველოსა და უკრაინის MAP-ში გაწევრება.

სიტუაცია განმუხტა NATO-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა, რომელმაც ევროატლანტიკური საბჭოს სხდომა რამდენიმე წუთით დატოვა და ჟურნალისტებს რამდენიმე გადაწყვეტილება ამცნო.

პირველი საკითხი შეეხებოდა ალიანსში ხორვატიისა და ალბანეთის გაწევრებას, მეორე — საფრანგეთის გადაწყვეტილებას, თითქმის 40-წლიანი პაუზის შემდ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობა მიიღოს ალიანსის სამხედრო პროგრამაში და გაგზავნოს ავღანეთში ერთი ბატალიონი. საქართველოსა და უკრაინის საკითხი მესამე იყო, თუმცა გამოცდილი სხეფერი მეხსიერებას არ ენდო და კომუნიკეს პროექტის ერთი ნაწილი წაიკითხა.

„NATO მიესალმება უკრაინისა და საქართველოს NATO-ში გაწევრებისაკენ მიმართულ მისწრაფებას. ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს ქვეყნები გახდებიან NATO-ს წევრები. ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ მხარს ვუჭერთ ამ ქვეყნების თხოვნას MAP-ის მიღებაზე. ამასთან, ამ ორ ქვეყანასთან დღეიდან ვიწყებთ ინტენსიურ შეხვედრებს უმაღლეს დონეზე, რათა გადავწყვიტოთ ის საკითხები, რაც თავს იჩენს MAP-ის მიღების მოთხოვნის პროცესში. ჩვენ ვთხოვეთ საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომ წარმატების პირველი შეფასება წარმოადგინონ 2008 წლის დეკემბერში“.

არსებითად, ეს იყო სწორედ ის გზავნილი, რომელმაც, როგორც შემდგომში გაირკვა, ყველა დააკმაყოფილა — ალიანსის წევრებიც, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთის დელეგაციაც, რომელმაც ეს რუსული დიპლომატიის მორიგ გამარჯვებად ჩათვალა.

## რას გვიმზადებს 2009 წელი

კომუნიკეს გამოქვეყნებიდან რამდენიმე წუთში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჟურნალისტების წინაშე წარდგა და მისთვის ჩვეული შემართებით განაცხადა, „საქართველომ მიიღო უფრო მეტი, ვიდრე ელოდა. მას შემდეგ, რაც NATO-ს ყველა წევრი შეთანხმდა, რომ საქართველო და უკრაინა NATO-ს წევრი ქვეყნები გახდებიან, MAP-ის მიღება მხოლოდ ტექნიკისა და დროის საკითხია, — და ნიშნის მოგებით დასძინა,



მერკელისა და სარკოზის აზრით, საქართველოსთვის MAP-ი ჯერ ნაადრევია


კაჩინსკი ჟურნალისტების ალყაში

— თაგვმა თხარა, თხარაო და კატა გამოთხარაო, ასე მოუვიდა ერთ ჩვენს მეზობელს“.

ანალოგიური პათოსი ჰქონდა უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოსაც, რომელმაც პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უკრაინა დაიწყებს მზადებას, რათა 2008 წლის დეკემბრისათვის NATO-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა პროგრესის თაობაზე პოზიტიური შეფასება გააკეთონ.

მაგრამ რა მიმართულებით ელოდება NATO პროგრესს საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში? — ამ შეკითხვაზე NATO-ს ბუქარესტის სამიტის კომუნიკე მხოლოდ ერთ ცხად პასუხს იძლევა: „ჩვენ (NATO-ს წვერი სახელმწიფოები) ველოდებით საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას მაისის თვეში“, — ნათქვამია 3 აპრილს მიღებულ ალიანსის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების ერთობლივ დეკლარაციაში.

თუმცა, დოკუმენტში არაფერია ნათქვამი საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაზე, უკრაინის შემთხვევაში კი გაუგებარია, გულისხმობს თუ არა პროგრესი, მაგალითად, პოლიტიკურ კონსენსუსს საპარლამენტო პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც, საქართველოსაგან განსხვავებით, უპირისპირდებიან ერთმანეთს NATO-ში გაწვერების საკითხში.

თანაც, რას ნიშნავს კომუნიკეში მოყვანილი „პროგრესის პირველი შეფასება 2008 წლის დეკემბრამდე“? სიტყვა „პირველი“ ძალაუნებურად გაფიქრებინებს, რომ NATO-ს იმ წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც ნაადრევად მიიჩნევენ საქართველოსა და უკრაინის NATO-ში გაწევრებას, შესაძლოა, დაიტოვეს სარეზერვო ვარიანტი იმისათვის, რათა შემდგომში მოითხოვონ მეორე და მესამე შეფასებაც, თუკი მათთვის კვლავ გადაულახავი აღმოჩნდება რუსეთის ზეწოლა.

სხვათა შორის, სამიტის დაწყებამდე NATO-ს გენერალური მდივანი აცხადებდა, რომ ვერავითარი მესამე მხარე ვერ მოახდენდა ზეგავლენას NATO-ს გადაწყვეტილებებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს წინადადება კომუნიკეს ამ პარაგრაფში ამავე სახით არ ჩაწერილა.

სამაგიეროდ, დოკუმენტში შავით თეთრზე წერია, რომ გაწევრების სამოქმედო გეგმას საქართველო და უკრაინა აუცილებლად მიიღებენ. შესაბამისად, ყველანი მოთმინებით უნდა დაველოდოთ იმას, რა შეფასებას გააკეთებენ ალიანსის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები 2008 წლის დეკემბრის ბოლოს. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება განვსაზღვროთ, რას გვიმზადებს 2009 წელი, როდესაც ერთბაშად ორ ქვეყანაში — გერმანიასა და საფრანგეთში NATO-ს საიუბილეო მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამიტი გაიმართება. რაც მთავარია, ერთი რამ უკვე ნამდვილად ვიცით ჩვენც და ჩვენმა მტრებმაც, — NATO-ს ყველა წევრი სახელმწიფო შეთანხმებულია, რომ უკრაინა და საქართველო აუცილებლად გახდებიან NATO-ს წევრები.

*კობა ლიკლიკაძე*
*სპეციალურად „არსენალისათვის“ ბუქარესტიდან*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენად აუცილებელია სამხედრო-საინჟინრო დოქტრინა






საქართველო თავისი არსებობის მანძილზე, ნებსით თუ უნებლიეთ, მუდმივად საომარ მოქმედებებში იყო ჩართული. იყო აღზევების ხანაც და დაცემის პერიოდებიც, მაგრამ ყველაზე დაძაბუნებული საქართველო მაინც საბჭოთა პერიოდში აღმოჩნდა. ქვეყანას თითქოს ჰყავდა ოფიცრები, ჯარისკაცები, მაგრამ არ ჰყავდა არმია. თანამედროვე საქართველომ ყველაფერი ნულიდან დაიწყო და ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ქართული არმია ფეხზე დგება. ნელა, მაგრამ ვითარდება მისი თითოეული დარგი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს სამხედრო და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საერთაშორისო და საქართველოს აკადემიების აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის დამსახურება. მან ახლახან გამოსცა საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები". წიგნი საინტერესოა არა მარტო სამხედროებისა და სამხედრო-ინჟინრებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეებისთვის.

— **ბატონო ელგუჯა, გამოიცა თქვენი ნაშრომი „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები". გთხოვთ, განუმარტოთ მკითხველს, რას შეეხება თქვენი მონოგრაფია?**

— ჩემი ნაშრომი განიხილავს თეორიას საქართველოში საომარი და საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლების წარმოებისა და დაუგეგმავი ოპერაციების შესახებ.

მონოგრაფიაში გადმოცემულია სამხედრო-საინჟინრო დარგის მთლიანი კონცეფცია საბრძოლო ხელოვნების, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, საიარაღო გარემოსა და თვით საგანგებო სიტუაციების გათვალისწინებით.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა სამხედრო ხელოვნებისა და სამხედრო-საინჟინრო დარგის ახალი და პრინციპული საკითხების განსხვავებულ ხედვას, რაც არა მარტო სამხედრო ხელოვნებისთვის, არამედ საზოგადოდ საქართველოსთვის არის მეტად მნიშვნელოვანი.

წიგნში ლაპარაკია არა მარტო სამხედრო-საინჟინრო დარგისა და სამხედრო თეორიის საკითხების განვითარებაზე, არამედ საქართველოს ინტეგრაციასა და მონაწილეობაზე კოალიციურ შენაერთებსა და დაჯგუფებებში.

— **სამხედრო დოქტრინის საფუძვლებში, ბუნებრივია, იგულისხმება სამხედრო თეორიის საკითხები, რომლებიც აუცილებელია არა მარტო სამხედრო ინჟინრებისათვის, არამედ საზოგადოდ სამხედროებისათვის. რა შეიძლება ამ მხრივ ითქვას თქვენს წიგნთან დაკავშირებით?**

— უპირველესად აღვნიშნავ იმას, თუ რომელი ქვეყნის სამხედრო საკითხების კომპლექსი უნდა გამხდარიყო საფუძველი იმისა, რომ წიგნში სრულფასოვნად გადმომეცა ზოგადი სამხედრო თეორია. ამიტომ წინასწარ, წიგნის დაწერამდე, დიდი და შრომატევადი სამუშაოების ჩატარება გახდა საჭირო. საბაზოდ არჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების იდეოლოგია და წესდებები. აუცილებელი გახდა 53 ტომი სამხედრო-ნორმატიული ლიტერატურის ქართულად თარგმნა. მხოლოდ ამის შემდეგ, საქართველოს პირობებისათვის განსაზღვრული ტრანსფორმაციით დაიწერა კონკრეტული თავები. ეს საკითხები უკავშირდება შეიარაღებული ბრძოლის ზოგად ცნებებს; ომის თეატრსა და ტერიტორიებს, სამხედრო ფორმირებებს, შეიარაღებული ბრძოლის გრადაციას სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის მხრივ, ომის პრინციპებსა და სტრუქტურას, სამხედრო ძალას, შეტევით და თავდაცვით ოპერაციებს, მარშს, შეტევით და დაცვით ბრძოლებს, უკან დახევის ოპერაციებსა და სხვა მრავალ საკითხს.

წიგნში კონკრეტული მაგალითის საფუძველზე განხილულია მიზანი, შეტევა, ძალების თავმოყრა, ძალების დაზოგვა, მანევრი, საბრძოლო ხელმძღვანელობა, თავდაცვა, მოულოდნელობა და მისაწვდომობა. გარჩეულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა საბრძოლო მდგომარეობა და სამხედრო პირობები, სიმძიმის ცენტრი, გადამწყვეტი პუნქტები და ოპერაციები, ოპერაციის ხაზები, კულმინაციის წერტილი, საბრძოლო მოქმედებების რადიუსი, ერთდროული და თანამიმდევრული, ხაზობრივი და არახაზობრივი ოპერაციები და ოპერაციების ტემპი.

ასე რომ, მკითხველს, რომელიც დაინტერესდება წიგნით, ბევრ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხში გარკვევა ელის.

— **გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ იმ საკითხთა ჩამონათვალი და მნიშვნელობა, რომლებიც წიგნშია განხილული და სამხედრო-საინჟინრო დარგს შეეხება.**

— ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე სამხედრო-საინჟინრო დარგი მოიცავს საკუთარი ძალების და რიგ შემთხვევაში, მოსახლეობის მობილურობის ღონისძიებათა კომპლექსს, ასევე მოწინააღმდეგე ძალების ბლოკირების კომპლექსს.

სამხედრო-საინჟინრო დარგის განსაკუთრებული მისიაა ცოცხალი ძალის, ტექნიკის, ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების, ასევე მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ღონისძიებები. ასევე ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფა და საერთო-საინჟინრო სამუშაოები.

მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში სამხედრო-საინჟინრო დარგმა უნდა უზრუნველყოს: 1. საომარი მოქმედებების თეატრზე საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების მომზადება თავდაცვისათვის, რაც ნაწილობრივ სტრატეგიულ ამოცანებს მიეკუთვნება; 2. საომარი მოქმედებების, არეალისა და საბრძოლო ასპარეზების სამხედრო-საინჟინრო აღჭურვა; 3. საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა; 4. საინჟინრო ჯარებისა და საინჟინრო შეიარაღების საბრძოლო გამოყენება; 5. ჯარებისა და ძალების საინჟინრო უზრუნველყოფა.

ამ მიზნით წიგნში გარჩეულია საკითხები, რომლებიც დღისით და ღამით, წელიწა-



ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ შექმნილი სამხედრო-საინჟინრო სახმელეთო და კოსმოსური ტექნიკა

დის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ გეოგრაფიულ არეალში უნდა უზრუნველყოფდეს: ა. საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სხვა სამხედრო ძალების პოზიციაზე შეუფერხებელ, დროულ და ფარულ გამოყვანას, სწრაფ გაშლასა და მანევრის ჩატარების საინჟინრო უზრუნველყოფას; ბ. სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების, ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის საინჟინრო დაცვას სხვადასხვა საიარაღო ზემოქმედებისგან; გ. მოწინააღმდეგის გადაადგილების, მანევრისა და საბრძოლო მოქმედებების ბლოკირებას, ასევე მათი ძალების განადგურებასა და განიარაღებას ხელოვნური, ბუნებრივი სამხედრო-საინჟინრო გარემოს შექმნით; დ. საომარი მდგომარეობის, საგანგებო მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციისა და ანტიტერორისტული ოპერაციების ეფექტიან სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას; ე. საომარი და საგანგებო მდგომარეობების კანონშესაბამისი დამყარებისა და რეჟიმის შენარჩუნების პირობებს, ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციების, სამხედრო და სამოქალაქო-საინჟინრო ობიექტების, სამხედრო მიმოსვლებისა და გადაზიდვების სრული კონტროლითა და მაღალი საიმედოობით ამოქმედებასა და დაცვას.

— **ზემოთ აღნიშნეთ, რომ წიგნში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სამხედრო ხელოვნების პრინციპული საკითხების განსაკუთრებულ, ასე ვთქვათ, თქვენს ხედვას, რას შეეხება ეს საკითხები?**

– სახელმწიფოთა შორის და ასევე თვით სახელმწიფოს შიგნით ისტორიულად და განსაკუთრებით კი ახლა, ძალიან ხშირია ასიმეტრიული სამხედრო დაპირისპირებები, რაც გულისხმობს სიდიდით, ინტესივობითა და რესურსით განსხვავებულ ძალთა დაპირისპირებას. ასეთ შემთხვევაში როგორც დიდი, ასევე პატარა სახელმწიფოები ან განსაზღვრული ჯგუფები ირჩევენ არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიებსა და ტაქტიკას. მიუხედავად არაპირდაპირი მოქმედებების ფართო გავრცელებისა, არ იყო განსაზღვრული და სისტემატიზებული არაპირდაპირი მოქმედებების ხასიათი, ბუნება და მისი ზემოქმედების სფეროები. ამ მიმართულებით არსებობს სამხედრო თეორიის აღიარებული სპეციალისტის, ლიდელ ჰარტის შრომები, რომლებიც არასწორ პასუხს სცემს არაპირდაპირ სამხედრო მოქმედებებს.

ჩემს მონოგრაფიაში ამ საკითხების განხილვა დაეფუძნა არაპირდაპირი მოქმედებების ახალი, პრინციპულად განსხვავებული მოდელის შექმნას, რამაც დაზუსტებული პასუხები გასცა ყველა იმ საკითხს, რომლებიც ამ თეორიას უკავშირდება. ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამხედრო თეორიისათვის, არამედ იგი ორიენტირებულია თვით საქართველოს შესაძლო მოქმედებებზე, როგორც მასზე ძალიან ძლიერ, ასევე საქართველოსთან შედარებით სუსტ მეტოქესთან.

მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სტრატეგიის ურთიერთდამოკიდებულების ახალი სქემის შემუშავებას, რაც საშუალებას იძლევა, გაეცეს პასუხი თანამედროვე სამხედრო თეორიისა და პრაქტიკის პრინციპულ საკითხებს.

წიგნში ასევე განხილულია ურთიერთდამოკიდებულება სამხედრო გეგმისა და სამხედრო დაგეგმარებას შორის და საქართველოს ტიპის სახელმწიფოებისათვის სამხედრო სტრატეგიის მოდელის ადაპტაციის საკითხები.

როგორც ცნობილია, საქართველოში საქართველოს შეიარაღებული ძალები, კლასიკური მიდგომით, სამხედრო-სტრატეგიულ ოპერაციებს ვერ ჩაატარებენ. ამის საშუალებას არ იძლევა არც ტერიტორიის სიდიდე, არც შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა და არც მათი სახეობები. თუმცა, ძალაშია სტრატეგიული სამხედრო ოპერაციის მეოთხე პირობა — სტრატეგიული ოპერაციის პოლიტიკური მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ ნაშრომში განხილულია სამივე პირობა და მათი საქართველოში შესაძლო გამოყენების მოდელები.

— **ბატონო ელგუჯა, თქვენთან საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით საჰაერო-კოსმოსური სტრატეგიებისა და ორბიტული კომპლექსების თემას.**

– საჰაერო-კოსმოსური დაჯგუფებების შექმნა მძლავრი კოალიციური ქვეყნებისა და მძლავრი კოსმოსური სახელმწიფოების პრივილეგიაა. ბუნებრივია, საქართველოს არც სამხედრო-კოსმოსური ტექნიკა ჰყავს და არც საჰაერო კოსმოსური დაჯგუფება. ამიტომაც ერთიანდებიან ქვეყნები NATO-ში,რომ კოლექტიურად გამოიყენონ ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირად ღირებული სისტემები. საქართველო უკვე ერთვება საფრენი აპარატებით თავისი ტერიტორიების გაკონტროლებაში, რაშიც კოსმოსის წვლილი დიდია.

საქართველოს აქვს გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრის ავტონომიური სისტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული გასაშლელი ხიდი

მა. ჩვენ გვაქვს ასევე შექმნილი ციფრული რუკები, რომლებიც მოვამზადეთ სამაჩაბლოსთვის, აფხაზეთისათვის...

— **როგორ მოიპოვეთ ინფორმაცია, მასალა?**

— თურქეთის საშუალებით შევუკვეთეთ ამერიკის შეერთებული შტატების თანამგზავრებს, მათ გადაიღეს და მოგვაწოდეს ძალიან მაღალი სიზუსტის ფოტოები, რომლებმაც ასახვა პოვა საპრეზიდენტო პროგრამაში (როცა აფხაზეთში უძრავ ქონებას აღწერენ). ასევე იყენებენ ჩვენს რუკებს სპეცსამსახურები.

ჩვენს ინსტიტუტში საშუალება გვაქვს ვთარგმნოთ და გამოვცეთ წიგნები. გარდა ამისა, ვაკეთებთ საიერიშო ხიდებს, მსოფლიოში ყველაზე დიდს — 48-მეტრიანს, რომელიც წინააღმდეგობის შემთხვევაში 7 წუთში იშლება ისე, რომ ეკიპაჟი არ გადმოდის ჯავშანტექნიკიდან, მაშინ როცა ამერიკელებს, რუსებს, გერმანელებს, ფრანგებს, იაპონელებსა და სხვებს მაქსიმუმ 32 მეტრის გადალახვა შეუძლიათ. ჩვენი ხიდი აბსოლუტურად განსხვავებული კლასისაა, იგი გაცილებით პატარაა თავისი სატრანსპორტო პაკეტით. ასევე ვაკეთებთ კოსმოსურ რეფლექტორებს, ახლა მოლაპარაკება მიდის ამერიკულ მხარესა და ევროპულ კოსმოსურ სააგენტოსთან.

— **საქართველო საკმაოდ აქტიურად არის ჩართული სამშვიდობო ოპერაციებში, წიგნში ცალკე თავი გაქვთ დათმობილი ამ ოპერაციებსა და ომამდელ ქმედებებში სამხედრო-საინჟინრო დარგის მნიშვნელობისათვის.**

— თუ ავიღებთ ბოლო მონაცემებს, რომელიც იუგოსლავიის მოვლენებს ეხება, იქ საინჟინრო ჯარების წილმა 18%-ს მიაღწია. ეს უზარმაზარი ციფრი იყო და ანომალიურად ჩანდა. უფრო სერიოზული სურათი გვაქვს ერაყში. ბოლო მონაცემებით, ამერიკელებმა სამხედრო-საინჟინრო ძალების რიცხვი 21%-მდე გაზარდეს. რაშია საქმე, რატომ გაიზარდა წილი სამხედრო ინჟინრებისა და სამხდროსაინჟინრო ჯარებისა თანამედროვე ოპერაციებსა და ბრძოლებში? დღეს საქმე გვაქვს მოწინააღმდეგის დესტრუქციულ ქმედებებთან. ამიტომ გარდაუვალი ხდება განაღმვითი სამუშაოების ჩატარება, ხიდების აღდგენა, შენიღბვა, ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფა და საერთო-საინჟინრო საკითხები. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო გზებისა და სტაციონარული გზების აგებას, როდესაც აგებენ ინფრასტრუქტურას. ჩამოთვლილი სამუშაოები ყოველდღიურია და ძალიან გაიზარდა მათი გამოყენების მასშტაბები, სწორედ ამიტომ იზრდება სამხედრო-საინჟინრო ნაწილების დანიშნულება და რაოდენობაც ამგვარ ოპერაციებში.

— **წიგნში განსაკუთრებული ადგილი უკავია NATO-ს თემას. საინტერესოა თქვენი აზრი საქართველოს NATO-ში გაერთიანების თაობაზე და რა მოტივი არსებობს ამის მხარდასაჭერად?**

— NATO-სკენ სწრაფვა საქართველომ მაშინვე დაიწყო, როგორც კი ამის ელემენტარული შანსი გაუჩნდა და დღეს იგი უკვე გარკვეულწილად ახლოს დგას მიზანთან.

მოდი, შევაფასოთ საქართველოს NATO-ში შესვლის კონკრეტული მნიშვნელობა: 1. თუ საქართველო გახდება NATO-ს წევრი, ეს ნიშნავს, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვეღარ გაბედავს მასზე თავდასხმას, ან კიდევ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას და იმის ფასად, რომ იგი დაუპირისპირდება მსოფლიოში ყველაზე ძლიერ სამხედრო-პოლიტიკურ ჯგუფს — NATO-ს; 2. თუ საქართველო გახდა NATO-ს წევრი და ამასთან, ყურადსაღებია ის, რომ NATO-ში შემავალი სახელმწიფოები აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას — ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს NATO-ში გაწევრების შედეგად მისი საზღვრების შეცვლას NATO პრინციპულად აღუდგება წინ; 3. საქართველოს NATO-ში გაწევრების შემდეგ და იმ ერთნიშნა პირობით, რომ საქართველოს ერთიანი საზღვრები უცვლელია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარატისტული ხელისუფლებები, რამდენადაც არ უნდა უნდოდეთ მათ ეს, დაიწყებენ თუნდაც ფიქრს საქართველოს შემადგენლობაში განსაზღვრული ფორმით შესვლაზე, რადგან საქართველოს NATO-ში გაწევრების შემდეგ მათ რჩებათ ორი გზა — ან იყვნენ უკანონო, არაკონტროლირებადი სახელმწიფოები, რასაც საბოლოოდ შეეწინააღმდეგება საქართველო, ან დაიწყონ გზების ძიება საქართველოს შემადგენლობაში შესასვლელად; 4. საქართველოს NATO-ში შესვლის შემდეგ, გარდა პოლიტიკური და სხვა სახის დიალოგის ქმედუნარიანობისა უკონტროლო ტერიტორიების შემოერთების თაობაზე, არ გამოირიცხება საქართველოს მიერ პრობლემის ძალისმიერად გადაწყვეტა — თუ აუღიარებელი სეპარატისტული ხელისუფლება არაადეკვატურად მოიქცევა. ასეთ შემთხვევაში, რადგანაც ეს წარმოქმნილი კონფლიქტი საქართველოს საშინაო საქმეა, უფრო მეტად საფიქრებელია, რომ NATO მასში მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ იგი იქნება გარანტი იმისა, რომ სხვა სახელმწიფოები არ ჩაერიონ კონფლიქტში; 5. საქართველოს NATO-სკენ სწრაფვას არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური, არამედ პოლიტიკური და დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით იზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ჩართვის და ინვესტიციების მოტანის პოლიტიკური, ეკონომიკური გარანტიები და მათი უსაფრთხოების ხარისხი.

— **NATO-ში შესვლის შემთხვევაში, საქართველოს საერთო კონფლიქტებში ჩაბმის რისკი რამდენად იზრდება?**

— ამ მხრივ ისევ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენ ვიქნებით თუ არ ვიქნებით NATO-ს წევრი ქვეყანა, მაინც იქნება საქართველოს ახლო აღმოსავლეთის საომარ მოქმედებებში ჩართვის მცდელობა. იქნება ეს რუსეთი, ევროპის სახელმწიფოები, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები თუ ამერიკის შეერთებული შტატები — მათი ინტერესების სფერო მაინც გავრცელდება საქართველოზე, თუნდაც მის საკომუნიკაციო ან მოწინავე საკომუნიკაციო ზონად გამოყენებაზე, რომ არაფერი ვთქვათ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებზე.

— **როგორია თქვენი შეხედულებები საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის თაობაზე?**

— საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა, ვფიქრობ, სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად ვითარდება. ეს არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც სახეზეა, — ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებები, თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შეძენა, მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკურ ინსტიტუტებთან.

ვფიქრობ, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს არა მარტო სპეცოპერაციების ჩატარებასა და მოკლევადიან ქმედებებს, არამედ ხანგრძლივი, პოზიციური ბრძოლების თეორიასა და პრაქტიკას.

P.S. წიგნი 2007 წელს გამოიცა, მკითხველი მას სულ მალე, ერთ თვეში შეიძენს.

*ნინო მამუკაძე*





# შაქრიანის სასროლეთზე რეზერვისტებმა ყუმბარმტყორცნებით გაივარჯიშეს

თელავის რეზერვისტთა ბაზაზე გადამზადების რვადღიანი პროგრამა დასასრულს მიუახლოვდა. რეზერვისტებმა, რომლებიც 27-დან 40 წლამდე საქართველოს მოქალაქეებით არიან დაკომპლექტებული, 18-დღიანი მომზადების პროგრამა გასულ წელს უკვე გაიარეს. 507-ე ბატალიონის შემადგენლობაში გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და თეთრი წყაროს მცხოვრებლები არიან. გადამზადების პროგრამა 18-დღიანი მომზადებისგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს ახალი საბრძოლო ამოცანების შესრულებაა გათვალისწინებული. 8 დღის განმავლობაში საცეცხლე ტაქტიკური და საინჟინრო მომზადების გარდა ბატალიონები ჩეკპოინტების მოწყობას, მათ გაკონტროლებას, ქალაქში ბრძოლის წესებს, შენობის მოწინააღმდეგისაგან გაწმენდასა და დაჭრილების ბრძოლის ველიდან გამოყვანის უნარ-ჩვევებს ითვისებენ. ამ დროსვე ხდება რეზერვისტების საბრძოლო სპეციალობების მიხედვით მომზადება. თელავის რეზერვისტთა ბაზაზე დაახლოებით 460 კაცი გადიოდა გადამზადების პროგრამას. დასკვნით ეტაპზე 48 ყუმბარმტყორცნელმა გაიარა პრაქტიკული მომზადება. თითო რეზერვისტი სამ ტეაქტიულ ჭურვს ისროდა. ყუმბარსატყორცნის სროლა 18-დღიან მომზადების პროგრამაშიც შედიოდა. ამჯერად ყურადღება გამახვილდა პრაქტიკულ მომზადებაზე. რეზერვისტების შემადგენლობიდან ყუმბარმტყორცნელების შერჩევა სურვილისა და შემდეგ კვალიფიკაციის მიხედვით ხდება. გათვალისწინებულია ისიც, აქვს თუ არა რეზერვისტს სამხედრო სამსახურის გამოცდილება და ჰქონია თუ არა შეხება ამ იარაღთან. შერჩევის შემდეგ რეზერვისტები საფუძვლიან თეორიულ მომზადებას გადიან. ეროვნული გვარდიის ინსტრუქტორები რეზერვისტებს უსაფრთხოების ზომებსა და სროლის წესებს აცნობენ. თეორიული მომზადება ჯერ ბაზის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, ხოლო უშუალოდ სროლის წინ ინსტრუქტორები ხელახლა უკითხავენ მცირე თეორიულ კურსს. სროლის დროს სხვადასხვა ყუმბარა გამოიყენება. თელავში რეზერვისტებმა მსხვრევად-ფუგასური ჭურვები გამოიყენეს. მიზანი დაახლოებით 400 მეტრზე იყო განთავსებული.

რეზერვისტებმა დაკისრებულ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი.

*გიორგი თუხარელი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ერაყელმა ახალშობილს ქართველის პატივსაცემად დავითი დაარქვა...“

ერაყამდე შორი გზაა. ქუვეითში ჩასვლისთანავე შევნიშნეთ, რომ სულ სხვა გარემოში მოვხვდით. ქუვეითში გამთენიისას, დაახლოებით 5 საათზე ჩავედით. ქართველმა სამხედროებმა, რომლებიც ჩვენს დასახვედრად გამოეგზავნათ, აეროპორტიდან ავტომანქანით უცხო მიმართულებით წაგვიყვანეს. ნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ ამერიკულფორმიანმა სამხედრომ შეგვაჩერა და საბუთები მოგვთხოვა. ეს ამერიკული ბაზა იყო.



ქუვეითში მდებარე ბაზა მთელ ახლო აღმოსავლეთში მყოფი ამერიკული სამხედრო დაჯგუფებების სამართავი შტაბია. ბაზაში, როგორც მიხვდებოდით, გამთენიისას მივედით. მკაცრი შემოწმების შემდეგ სამხედრო სასტუმროში მიგვიყვანეს. აქ ის სამხედროები არიან დაბინავებული, ვინც სამშობლოში ბრუნდება, ან პირიქით, სანამ ერაყში ან ავღანეთში წავა, აქ გადიან აკლიმატიზაციას. სასტუმროში სრული სიჩუმე სუფევდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედროების დიდ ნაწილს არ ეძინა.

ჩვენმა ქართველმა სამხედრო გიდებმა ოდნავ შეგვაყოვნეს. ერაყში გამგზავრებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა, — ჩაფხუტი და ჯავშანჟილეტი მოგვიტანეს და დაახლოებით დილის 7 საათზე სამხედრო აეროპორტისკენ გავემგზავრეთ. აეროპორტში ამერიკელი სამხედროების დიდი რიგი დაგვხვდა, — ერაყსა და ავღანეთში მიემგზავრებოდნენ. აქაც სიჩუმე იყო. სამხედროები სიებში ამოწმებდნენ თავიანთ გვარებს და შემდეგ მოსაცდელში იცდიდნენ. ჩვენც შევამოწმეთ, როდის იყო დაგეგმილი ჩვენი გაფრენა და ცოტა ხნით თავს დასვენების უფლება მივეცით. დიდი ტელეეკრანიდან ამერიკის პრეზიდენტი სამხედრო მისიებზე ლაპარაკობდა.

მალე სამხედრო თვითმფრინავი „ჰერკულესიც“ გამოჩნდა და ერაყში გავემგზავრეთ, ოღონდ უკვე დამოუკიდებლად. ჩვენი ქართველი სამხედრო გიდები ქუვეითში დარჩნენ. ნახევარსაათიანი საოცარი მანევრირების შემდეგ, ჩვენი „ჰერკულესი“ უცნობ[...] აეროპორტში დაჯდა. დრო გვქონდა და თვითმფრინავიდან გადმოვედით სიგარეტის მოსაწევად. ჩვენ გვერდზე ამერიკელი სამხედრო სიგარეტს ეწეოდა. გამოველაპარაკეთ. ქართველები ვართ-მეთქი, რომ ვუთხარი, ისე გაუხარდა, ცოტა არ იყოს, დავფიქრდი. სტივი საქართველოში არ იყო ნამყოფი, თუმცა ჩვენს ქვეყანაზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს თანამემამულე ყოფილიყო. გამომშვიდობებისას მითხრა, როგორც კი კონტრაქტი დამიმთავრდება, აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში. ძალიან მამაცი სამხედროები გყავთო. ამაყად გავიმართ[...] წელში, — მეც სამხედრო ფორმა მეცვა და ქართველი ვიყავი.

ბაღდადში შუადღეზე ჩავედით. ბაღდადიდან ალკუტში სამხედრო შვეულმფრენ[...] „შავი ქორით“ გადავფრინდით. აქ ქართული პირველი ქვეითი ბრიგადაა განთავსებული. ბრიგადის ერთი, მეცამეტე ბატალიონი, ერაყში ჩამოსვლის დღიდანვე კოალიციურმა ჯარებმა ბაღდადიდან დაახლოებით 35 კილომეტრის მოშორებით ბაზა „ქლეარზე“ გადაიყვანეს. სწორედ მეცამეტე ბატალიონმა ჩაატარა ისეთი სპეცოპერაცია, რომელმაც მთელი ამერიკის სამხედრო კონტინგენტი აალაპარაკა.

„ქლეარში“ ჩვენ დღის სამ საათზე ჩავედით. ჩასვლისთანავე ბატალიონის მე[...]



ქართული ხუთჯვრიანი „ჰამერები“ ერაყის გზებზე მომრავლდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურმა, მაიორმა დავით სულხანიშვილმა „ჰამერები“ დაგვახვედრა და სპეცოპერაციის ადგილას წაგვიყვანა, გზად კი სპეცოპერაციის დეტალებს გვაცნობდა. ამერიკელებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ ალ ლეჯის რაიონში დაუყოვნებლივ ჩატარებულიყო ანტიტერორისტული ოპერაცია. ამ რაიონში ტერორისტები ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროებდნენ, რადგან კოალიციურ ჯარებს არ ეწინააღმდეგებოდნენ. სოფლის ის მცხოვრებნი, ვინც „ალ-ქაიდას“ არ უჭერდნენ მხარს, მუდმივ ტერორში იყვნენ. სოფელი თითქმის დაცარიელებული იყო. ბევრი ტერორისტებმა ან გაიტაცეს, ანდა ადგილზე დახვრიტეს.

ოპერაციის ჩატარება ქართველებს დაგვევალა და ერთ კვირაში დაგეგმილი ოპერაცია ერთ დღეში ჩავატარეთ. წინა დღეს ქართველმა მეთაურმა მოსახლეობა გააფრთხილა და სთხოვა, რომ მათთვის ხელი არ შეეშალათ. შვეულმფრენებიდან გადმოყრილ ბუკლეტებში ნათქვამი იყო, რომ სამხედროები ტერორისტებს არაფერს დაუშავებდნენ, თუკი იარაღს დაყრიდნენ. ამ გაფრთხილებამ ტერორისტების დიდი ნაწილი დააფრთხო, ნაწილმა კი იარაღი არ დაყარა. მეორე დღეს ოპერაცია დაიწყო. სპეცოპერაციაში მთავარი ძალა პირველი ქვეითი ბრიგადის 13-ე ბატალიონი იყო. ქართველ სამხედროებს საჰაერო მხარდაჭერას უწევდა ორი ამერიკული შვეულმფრენი. ოპერაციაში ასევე მონაწილეობდნენ 2 ამერიკული სამედიცინო ევაკუატორი და 2 საინჟინრო ბატალიონი. ოპერაციას სულ 31 საათი დასჭირდა, — არც ერთი დაშავებული სამხედრო და დაკავებული 51 ტერორისტი. ეს სპეცოპერაციის შედეგია.


„შავი ქორი“ ერაყის ცაში


ქართველი სამხედროები ოპერაციის შედეგებს აჯამებენ

ოპერაციის დაწყების დროს ქართველ სამხედროებს ტერიტორია დანაღმული დახვდათ. ხელნაკეთ ნაღმს, რომელიც დაახლოებით 15 კილოგრამი ტროტილით მზადდება, გამანადგურებელი ძალა აქვს. ტერიტორია გაინაღმა, სულ 11 ნაღმი ამოვიღეთ.

სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ პირველი ქვეითი ბრიგადის 13-ე ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ ამერიკული სარდლობის ქება დაიმსახურა, 5 ქართველი ჯარისკაცი სპეციალური მედლით დაჯილდოვდა.

ტერორისტებისგან გაწმენდილ სოფელს მოსახლეობა იცავდა. მანამდე დევნილმა და ახლა ქართველების მობრუნებულმა ჰუსეინ ჯიმა სელმანმა ქართველების პატივსაცემად თავის ახალშობილ შვილს ქართული ბატალიონის მეთაურის სახელი, დავითი დაარქვა.

უკვე აღარ გვიკვირდა, რატომ ლაპარაკობდა ის ამერიკელი ჯარისკაცი ქართველ სამხედროებზე ასე თბილად.

*გიორგი თუხარელი*
*ტელეკომპანია*
*„საქართველო“*


ერაყული ადგილობრივი ხელისუფლება ქართველ სამხედროებს მადლობას უხდის სოფლიდან ტერორისტების განდევნაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საარტილერიო ჭურვით 185 კმ-ზე

კომპანია „ბაე სისტემზი“, ამერიკული პერსპექტიული საესკადრო ნაღმოსნის DDG-100 „ზუმვალტის“ შექმნის ფარგლებში, მუშაობს საარტილერიო სისტემა AGS-ზე (ADVANCED GUN SYSTEM), რომელსაც გამოიყენებენ მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში მიწისზედა ქვედანაყოფების საცეცხლე მხარდასაჭერად. AGS-ი ერთლულიანი, 155-მილიმეტრიანი ორ სიბრტყეზე სტაბილიზებული არტდანადგარია, რომელიც აღჭურვილია ავტომატური დამუხტვისა და ლულის წყლით გამაცივებელი სისტემებით, შეუძლია 140 კმ-ის სიშორეზე ექვსი ჭურვის სროლა მიზანთან მათი ერთდროულად მიახლოებით. საარტილერიო სისტემა სროლის მაქსიმალური სიშორით – 185 კმ-ზე გახსნის ცეცხლს აქტიურ-რეაქტიული მართვადი საბრძოლო მასალა LRLAP-ით (LONG RANGE LAND ATTACK PROJECTILE). საბრძოლო მასალა აღჭურვილია ფრენისას გახსნადი სტაბილიზატორებითა და აქვს დამიზნების ინერციული სისტემა, რომელიც NAVSTAR-ის მონაცემების მიხედვით ახდენს კორექციას. ხომალდზე საბრძოლო მასალა LRPAP 600 ჭურვს შეადგენს (ორივე ქვემეხისთვის). AGS-ი ახალი საესკადრო ნაღმოსნების საარტილერიო შეიარაღების მთავარი სისტემა იქნება. გეგმისამებრ, ოთხ ასეთ არტსისტემას 2014 წლისთვის დაასრულებენ.







# "პარალელური" სპეცსამსახურები

***(დასასრული)***

### სრულიად საიდუმლო ინსტრუქცია

რუსეთის პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ოთარ კვანტრიშვილის, ივანე კიველიდის, ვლად ლისტევის, დიმა ხოლოდოვის, ანა პოლიტკოვსკაიას, ალექსანდრე ლიტვინენკოსა და კიდევ მრავალი პოლიტიკოსის თუ ჟურნალისტის მკვლელობა სწორედ „პარალელური სპეცსამსახურების“ ორგანიზებული იყო.

ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ლიბერალი პოლიტიკოსი იური შჩეკოჩიხინი წლების განმავლობაში იკვლევდა ამ საკითხებს, როცა მოულოდნელად, 2003 წლის 3 ივლისს, მოსკოვში საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. ყველა ეს დანაშაული დღესაც გაუხსნელია, რაც სპეცსამსახურების ხელწერაზე აშკარად მიგვანიშნებს.

რუსეთის პრესაში 2002 წელს გამოქვეყნდა ძალზე საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ფარდას ხდის ბევრი პოლიტიკური მკვლელობის ორგანიზაციულ მხარეს. რუსი ჟურნალისტების აზრით, ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ფედერაციის მთავრობის ვიცე-პრემიერმა იური სკოკოვმა, რომელიც ძალოვან სტრუქტურებს კურირებდა, სპეცსამსახურების პარალელური, ფარულად მოქმედი საბრძოლო-ოპერატიული დანაყოფების შექმნის განკარგულება გასცა. სრულიად საიდუმლო სამთავრობო გადაწყვეტილების შემდეგ შემუშავდა ასევე საიდუმლო ინსტრუქცია, რომლის ზოგიერთ ნაწილს ქვემოთ წარმოგიდგენთ.

ამ დოკუმენტში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ფარული სადაზვერვო და ოპერატიულ-საბრძოლო დანაყოფების შექმნა დასაბუთებული იყო „კეთილშობილური მიზნებით“, კერძოდ კი, რუსეთში მოქმედი კრიმინალური ბანდების, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობით. სამისოდ სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებში (საბაჟო და საგადასახადო ორგანოებში, ბანკებში, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში და ა.შ.) უნდა შეეგზავნათ სპეცსამსახურების ფარული თანამშრომლები, — ე.წ. ღრმა დაშიფვრის ოფიცრები, რომლებიც შექმნიდნენ ფართო აგენტურულ ქსელს. ამასთან, ფარულ სტრუქტურებს უფლება ჰქონდათ, ფიზიკურად გაენადგურებინათ ბანდფორმირებების ლიდერები და რუსეთის ფედერალური ხელისუფლების ყველა მოწინააღმდეგე, მათ შორის უცხო ქვეყნების სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფები. ამგვარი „პარალელური“ სპეცსამსახურები უნდა შექმნილიყო რუსეთის რეგიონებსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. რუსი ექსპერტების ინფორმაციით, ამჟამად რუსეთის ტერიტორიაზე 10-ზე მეტი ამგვარი ორგანიზაცია მოქმედებს. ამდენივეა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ფარულად მოქმედი ეს სტრუქტურები, როგორც წესი, უწყინარ სახელებს არიან ამოფარებულნი. ყველაზე ხშირად ოფიციალურ საფრად იყენებენ კერძო დეტექტიურ და დაცვის ფირმებს, ვეტერანთა ასოციაციებსა და სოციალურ-კულტურულ ფონდებს. განსაკუთრებით საშიში არიან რუსეთის სპეცსამსახურების ოფიციალურ სტრუქტურებს შეფარებული „სიკვდილის ბრიგადები“.

### „შურისმაძიებელთა“ დანაყოფები რუსეთის სპეცსამსახურებში

ჯერ კიდევ 13-14 წლის წინ რუსეთის ეფ-ეს-ბეს სტრუქტურაში შეიქმნა დანაშაულებრივი ორგანიზაციების დამუშავების სამმართველო (შემოკლებით — დოდს), რომლის უფროსად დაინიშნა გენერალი ევგენი ხოხოლკოვი.

***მცირე დოსიე:*** *გენერალ-მაიორი ევგენი გრიგორის ძე ხოხოლკოვი დაიბადა 1950 წელს. 1978 წლიდან უზბეკეთის უშიშროების ორგანოებში მსახურობდა. 1983-1989 წლებში ხელმძღვანელობდა ცნობილი „უზბეკური საქმის“ საგამოძიებო-ოპერატიულ ჯგუფს. 1991 წელს, უზბეკეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, პროტესტის ნიშნად გადავიდა მოსკოვში, ეფ-ეს-ბეში სამუშაოდ. მონაწილეობდა ჩეჩნეთის ომებში. 1996 წლის ზაფხულში ახალშექმნილი დოდს-ის უფროსად დაინიშნა. 1998 წლის ივლისში, „ლიტვინენკოს სკანდალის“ შემდეგ ეს სამმართველო ვითომ გაუქმდა, სინამდვილეში ეფ-ეს-ბეს ახალი დირექტორის, ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილებით, ახალი დასახელებითა და ძველი მიზნებით აგრძელებდა მუშაობას.*

შემდეგ წლებში ხოხოლკოვი მუშაობდა რუსეთის საბაჟო და საგადასახადო სისტემებში — მოქმედი რეზერვის ოფიცრის საფარქვეშ.

დოდს-ის შტატში 150 ოფიცერი იყო. ეს სამმართველო ერთგვარი მინისპეცსამსახური იყო, თვალთვალისა და ფარული მოსმენების, დადგენისა და დაკავების ჯგუფით, სპეცრაზმით, რადიოელექტრონული დაზვერვის დანაყოფით და ა.შ. დადგენილია, რომ სწორედ ამ სამმართველომ დაგეგმა რუსეთის ხელისუფლებისთვის (ან მისი რომელიმე კლანისთვის) მიუღებელი ბიზნესმენის, პოლიტიკოსისა და ჟურნალისტის ლიკვიდაცია, — მკვლელობას თავად ასრულებდნენ ან კილერს უკვეთავდნენ.

წლების მანძილზე ამ სამმართველოში მუშაობდა პოდპოლკოვნიკი ალექსანდრ ლიტვინენკო, რომელმაც 1998 წლის შე-





იკითხეთ წიგნის მაღაზიებში
ან დარეკეთ 42-43-40; 38-26-73; 38-26-74
და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე
www.elva.ge

მოდგომაზე ხუთ კოლეგასთან ერთად სენსაციური პრესკონფერენცია გამართა მოსკოვში და ყოველივეზე საჯაროდ ისაუბრა. მანამდე კი, 1998 წლის 20 მარტს, ლიტვინენკო ცნობილ ოლიგარქ ბორის ბერეზოვსკისთან მივიდა და განუცხადა, რომ ეფ-ეს-ბეს ხელმძღვანელობამ მას და კიდევ რამდენიმე თანამშრომელს ბერეზოვსკის ლიკვიდაცია დაავალა. ამ ინფორმაციამ, რომელსაც რამდენიმე თვის შემდეგ ხმაურიანი პრესკონფერენცია მოჰყვა. ხუმრობა ხომ არ იყო, – რუსეთის სპეცსამსახური გეგმავდა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის, ყოფილი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, შემდეგ კი დსთ-ის აღმასრულებელი მდივნის ლიკვიდაციას.

ლიტვინენკოს ბრალდების საფუძველზე რუსეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე კი აღძრა, მაგრამ ცხრა თვის განმავლობაში ხელი არ გაუნძრევია. სწორედ ამის შემდეგ, 1998 წლის 13 ნოემბერს, ბერეზოვსკიმ გაზეთ „კომერსანტში" ძალზე კრიტიკული წერილით მიმართა ეფ-ეს-ბეს ახალდანიშნულ შეფს, ვლადიმირ პუტინს.

1998 წლის 17 ნოემბერს ეფ-ეს-ბეს ხუთმა ოფიცერმა: პოდპოლკოვნიკმა ლიტვინენკომ, პოლკოვნიკმა შებალინმა, მაიორებმა შჩეგლოვმა და პონკინმა, ასევე უფროსმა ლეიტენანტმა ლატიშონოკმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ მათ დავალებული ჰქონდათ ბერეზოვსკისა და ეფ-ეს-ბეს ყოფილი ოფიცრის, ტრეპაშკინის ლიკვიდაცია და ცნობილი ჩეჩენი ბიზნესმენის, ჯაბრაილოვის გატაცება.

ამის საპასუხოდ პუტინმა ნადირობა დაიწყო ჯერ ლიტვინენკოზე, შემდეგ კი ბერეზოვსკიზე. 1999 წლის მარტში ლიტვინენკოს სხვა საქმე „შეუკერეს" და ლეფორტოვოში უკრეს თავი. ის მხოლოდ ათი თვის შემდეგ, ბორის ბერეზოვსკის დიდი დახმარებით გაათავისუფლეს გაუსვლელობის ხელწერილით, თუმც ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა პროვოკაციები მის წინააღმდეგ. ამის გამო 2000 წლის ნოემბერში ის ფარულად გაემგზავრა ლონდონში და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. აქედან იწყება ლიტვინენკოს აშკარა ბრძოლა რუსეთის სპეცსამსახურებთან. 2001 წლის ზაფხულში მან გამოსცა წიგნი „ეფ-ეს-ბე აფეთქებს მოსკოვს", რომელმაც დიდი სკანდალი გამოიწვია მსოფლიოში, რადგანაც რუსეთში 1998-2000 წლებში მოწყობილ ტერაქტებში ლიტვინენკომ ქვეყნის ახალი პრეზიდენტი და რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო დანაყოფები დაადანაშაულა.

ყოველივე ამის შემდეგ მასზე რუსეთის სპეცსამსახურებმა ნადირობის სეზონი გახსნილად გამოაცხადეს.

## ლიტვინენკო „ვეტერანების" მსხვერპლი გახდა?

ცნობილია, რომ ალექსანდრ ლიტვინენკო რადიოაქტიური ნივთიერება პოლონიუმ-210-ით მოწამლეს 2006 წლის 1-ელ ნოემბერს ლონდონში, და ის 23 ნოემბერს გარდაიცვალა. ძალზე საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიდი ბრიტანეთის სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ეჭვი თავიდანვე რუსეთში რეგისტრირებული და საკმაოდ აქტიურად მოქმედი სპეცსამსახურების ვეტერანთა ორგანიზაცია „პატიოსნება და ღირსებაზე" მიიტანეს, რომელსაც კა-გე-ბეს გადამდგარი(?) პოლკოვნიკი ვალენტინ ველიჩკო ხელმძღვანელობს. ლიტვინენკოს მოწამვლის პერიოდში ლონდონში იმყოფებოდა ერთ-ერთი „ვეტერანი", 46 წლის იგორ ვლასოვი, რომელიც იტალიაში ცხოვრობს და ბევრ საეჭვო საქმეში მანამდეც იყო შემჩნეული.

2003 წლის 16 აპრილს შეიქმნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სპეცსამსახურების ვეტერანების არაკომერციული საქველმოქმედო ფონდი „პატიოსნება და ღირსება", რომლის პრეზიდენტად აირჩიეს, უფრო სწორად კი დანიშნეს, ზემოხსენებული ვალენტინ ველიჩკო. მანამდე ის „საგარეო დაზვერვის ვეტერანთა" ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.

საბჭოთა საგარეო დაზვერვის ოფიცერი ვალენტინ ველიჩკო საკმაოდ ცნობილია შპიონაჟის სამყაროში. ის 80-იანი წლების შუა პერიოდში ვლადიმირ პუტინთან ერთად ჯაშუშობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შემდეგ კი ჰოლანდიაში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტის მოადგილე იყო, საიდანაც 1989 წელს გამოაძევეს. ცნობისათვის: საბჭოთა ელჩად ჰოლანდიაში იმ წლებში ალექსანდრე ჩიკვაიძე, დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი, მსახურობდა.

უცხოეთის მასმედიის ინფორმაციით (მაგ. ბრიტანული „დეილი ტელეგრაფი", „ნიუს ოფ დი უორლდ", გერმანული „ტაგესცაიტუნგი" და სხვ.), ამ ორგანიზაციის შედგენილია „რუსი ხალხის მტრების" სია, რომლებიც ლიკვიდირებულნი უნდა იქნენ. მათ შორის იყვნენ ლიტვინენკო და ანა პოლიტკოვსკაიაც.

რუსეთის სპეცსამსახურების ოფიციალურ სტრუქტურებს შეფარებული „სიკვდილის ბრიგადები", „ვეტერანები", „პატრიოტები" მონაწილეობდნენ სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ბრძოლებში, ბუნებრივია, სეპარატისტების მხარეზე. მათ ერთი აქვთ საერთო: ისინი ყოფილი სპეცდანიშნულების რაზმელები და სპეცსამსახურების ყოფილი ან მოქმედი თანამშრომლები არიან, რომელთა ზომბირება ჯერ კიდევ საბჭოთა სპეცსამსახურებში დაიწყო.

## ზომბირების მეთოდები საბჭოთა სპეცსამსახურებში

საბჭოთა სპეცსამსახურის თანამშრომელთა, როგორც განსაკუთრებული კასტის ჩამოყალიბება, ჯერ კიდევ სწავლის პროცესიდან იწყებოდა, რასაც შემდეგი გარემოებანი განაპირობებდა: ისინი სწავლობდნენ განსაკუთრებული საიდუმლოების პირობებში (ხშირად თვით ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ, სად მიიჩქაროდა ყოველ დილით მათი შვილი ან ძმა), სწავლობდნენ იმ დისციპლინებს, რომლებსაც სხვა არავინ სწავლობდა. პედაგოგები (ძირითადად, სპეცსამსახურების ვეტერანები) ფსიქოლოგიურად ამზადებდნენ და აჩვევდნენ იმ აზრს, რომ საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომელი გამორჩეული პირი და ქვეყანაში ყველაზე საიდუმლო ორგანიზაციის წევრია. ასწავლიდნენ ადამიანთა სუსტ მხარეებს. უნდობლობა ყველასადმი – აი რა იყო ზომბირების უმთავრესი მიზანი. „არსად, არასდროს, არავის ენდო, ხანდახან საკუთარ თავსაც", – ასე მოძღვრავდნენ მომავალ კადრებს. სპეცსამსახურების თანამშრომელთა ფულადი უზრუნველყოფა და მნიშვნელოვანი სოციალური შეღავათები (ორ წელიწადში ბინა, ტელეფონის დადგმა უპრობლემოდ, ავტომობილის შეძენა სახელმწიფო ფასით და ხშირი პერიოდულობით საკმაოდ მაღალი ხელფასი, შემდეგ პენსია და სხვ.). უცხოელი „ჯეიმს ბონდებისთვის", შესაძლოა, ზემოჩამონათვალი უმნიშვნელო და წვრილმანი იყოს, მაგრამ საბჭოთა დეფიციტის პირობებში მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა.

საზოგადოების სხვა ფენებისგან გამორჩეული მდგომარეობა ხელს უწყობდა განსაკუთრებული კასტის, ერთგვარი მასონური ლოჟის ჩამოყალიბებას. სხვებზე უპირატესობის გრძნობა სპეცსამსახურის თანამშრომელს მთელი სიცოცხლის მანძილზე მიჰყვებოდა.

მსმენელებს თეორიულ ცოდნასთან ერთად ეძლევათ საკმაოდ რთული პრაქტიკული დავალებები (მაგ. ერთ-ერთი ითვალისწინებს მკაცრად დაცულ სამხედრო ობიექტებზე სანდო პირის მოპოვებას და მისგან ინფორმაციის მიღებას; ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სამალავების მოწყობას; გარე თვალთვალის ჯგუფისგან თავდაღწევას და ა.შ.).

საბჭოთა (ამჟამად რუსული) სპეცსამსახურები კადრების ზომბირების პროცესში ინტენსიურად იყენებენ იდეოლოგიურ წნეხს, რათა მომავალი თანამშრომლები ჯერ საბჭოთა კავშირის, ამჟამად კი „დიდი რუსეთის" ფანატიკოს პატრიოტებად აღზარდონ, რომლებიც ყველანაირ დავალებას უსიტყვოდ შეასრულებენ.

**ბესიკ ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური ქულების მოპოვების ნაცადი მეთოდები

**საქართველოში საპარლამენტო არჩევნები კარს არის მომდგარი და სიურპრიზებიცაა მოსალოდნელი. უეჭველია, პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები მრავალ, უკვე ნაცად მეთოდს გამოიყენებენ ამომრჩევლების ხმების მოსაპოვებლად.**

**„არსენალში“ შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობების ბევრი ფაქტი გავააანალიზეთ და, მგონი, მკითხველი უკვე გადავღალეთ ამდენი საწამლავითა და სისხლით. ამიტომ დღეს უფრო „სახალისო“ თემაზე — „წინასწარ მოგონილი“ თავდასხმების ორ სკანდალურ ფაქტზე, „გახსნილ საქმეებსა“ და „შინაურ კილერებზე“ მოგითხრობთ.**



26028

## როცა ტერაქტი არ არის... უნდა მოიგონო!

პოლიტტექნოლოგიებში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ პიარი, „შავი“ იქნება თუ „თეთრი“, პოლიტიკოსისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ხინკალზე პილპილი.

არჩევნების წინ ხმების მისაღებად ან სხვა პოლიტიკური მიზნის მისაღწევად მოსახლეობის ნდობისა და პატივისცემის მოპოვების (თუ მოტყუების?) მრავალი ხერხიდან დღეს ერთ-ერთზე ვისაუბრებთ, რამდენადაა ზნეობრივი ეს მეთოდი, დაე მკითხველმა განსაჯოს.

გულუბრყვილო მოქალაქეებს თავიანთი რჩეული პოლიტიკოსის ვაჟკაცობა უჩქროლებთ განსაკუთრებით გულს, კიდევ უფრო კარგია, თუ მას უსამართლოდ „ჩაგრავს“ ან ლიკვიდაციას უპირებენ (ხელისუფლება, სპეცსამსახურები, კონკურენტები და ა.შ.).

ქართულ პოლიტიკაში უკვე გვყავს „სუპერმენები“, რომლებიც უკვე ათას კილერს „დაუძვრნენ“ ხელიდან და შხამ-საწამლავსაც ოლიგარქებზე უკეთ იტანენ. მოკლედ, არც ტყვია ეკარებათ და არც ბანგი.

ბუნებრივია, „თეთრი“ პიარაქციები უფრო სასარგებლოა ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად, რისთვისაც ეფექტიანი სატელევიზიო კადრი ბევრს ნიშნავს.

თუნდაც ასეთი: პატარა ჯორჯლანდიის მხცოვანი პრეზიდენტი (სახელად ერქვას თუნდაც „ედუარდ აუფეთქებელი“) მაისურის ამარა ზის ტელეკამერების წინ, სახესა და ხელებზე ნაკაწრები ეტყობა. ირგვლივ ოჯახის წევრები და „კარის ვაზირები“ ახვევია. პრეზიდენტი „ბრძნულ“ და ამიტომაც ისტორიულ ფრაზას ამბობს: „აფეთქებაც კი არ იციან ამ საცოდავებმა“. სატელევიზიო სპექტაკლის ფარდა იხურება, თუმც მოქმედება კულისებში გრძელდება. ჯორჯლანდიის სპეცსამსახურები „კარგად დაგეგმილი ტერაქტის“ გახსნას თამაშ-თამაშ ახერხებენ. „შემსრულებლებით“ ივსება საპატიმროები. ამას რადიკალური საკადრო ცვლილებები მოჰყვება და ჯორჯლანდიის ჩრდილო მეზობელი პოზიციას კიდევ უფრო იმყარებს, ხოლო „ერისთვის თავშეწირული“ „აუფეთქებელი“ მორიგ საპრეზიდენტო ვადას ინაღდებს. სამი წლის შემდეგ ანალოგიური „ტერაქტი-გაფრთხილება“ მეორდება, რომელსაც, სამწუხაროდ, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ორი ახალგაზრდა თანამშრომლის სიცოცხლე ემსხვერპლა. „აუფეთქებელი“ ამჯერად ყოველგვარი ნაკაწრის გარეშე (რას ვიზამთ, წინა შემთხვევის შემდეგ ასაკი მოემატა და დამატებით კასკადიორულ ეფექტებს და სტრესულ სიტუაციებს, ალბათ, ამიტომაც აარიდა თავი) გამოძვრა(?) იმ გაუბედურებული „მერსედესიდან“.

ამ სპექტაკლების სცენარის ავტორი რუსეთი, აშშ თუ თავად შევარდნაძე იყო, მალე გაირკვევა. ერთი კი უკვე ცნობილია, — სპეცსამსახურებმა ვინმეს ლიკვიდაცია თუ დაგეგმეს, უცილობლად შეასრულებენ.

მაგრამ თუ არავინ ცდილობს პოლიტიკოსს თუ მედიამაგნატს კილერი მიუგზავნოს, მაშინ როგორ უნდა მოახერხონ მათ სენსაციების ცენტრში ყოფნა?

## როცა კილერი არ ჩანს... უნდა მოიყვანო!

ბერეზოვსკი ლონდონში 2000 წლიდან ცხოვრობს. არც ფული დაიშურა და უძლავრესი ებრაული ლობიც ჩართო, მაგრამ ორი წლის განმავლობაში პოლიტიკური თავშესაფარი ვერაფრით მიიღო. ამ დროს კი რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. 2003 წლის შემოდგომაზე, როდესაც გულუბრყვილო დასავლეთი პრეზიდენტ პუტინში ჯერ კიდევ დემოკრატს ხედავდა, ბერეზოვსკის რუსეთში ექსტრადიციის საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო. იმ წლის სექტემბერში ლონდონის სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა. დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროც ამ აზრს ეთანხმებოდა. რაღაც არაორდინარული და სკანდალურ-სენსაციური უნდა მომხდარიყო, რომ მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილიყო და ბერეზოვსკის პოლიტიკური თავშესაფარი მიეღო. 2003 წლის 22 სექტემბერს ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის მეგობრის, რუპერტ მერდოკის კუთვნილმა ინგლისურმა გაზეთმა „სანდი თაიმსმა“ მორიგი სენსაცია ამცნო მსოფლიოს, — ჟურნალისტი დევიდ ლეპარდი (მკითხველს ვთხოვ ეს გვარი დაიმახსოვროს) ამტკიცებდა, — რუსეთის სპეცსამსახურები ცდილობდნენ ბერეზოვსკის მოკვლას, კილერების გვარები ცნობილია — ისინი თავად გამოცხადდნენ სკოტლანდ იარდში.

## გულჩვილი „კილერები“

პოტენციური მსხვერპლის განცხადებით, თავდასხმა ჯერ კიდევ 2003 წლის 11 სე-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტემბერს უნდა მოეხდინათ რუს მზვერავებს, რომლებიც „კრემლმა“ სპეციალურად ამ მისიით მიავლინა ლონდონში. ინგლისელი ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვის ორმა აგენტმა არალეგალურად ჩაიტანა ძლიერმოქმედი შხამი ლონდონში, რომელიც სანთებელაში იყო მოთავსებული. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ კილერს სასამართლო პროცესის დროს, რომელიც ბერეზოვსკის ექსტრადიციის საკითხს ეხებოდა, რატომღაც შხამი ჯერ სანთებელათი უნდა შეეტანა, ხოლო შენობაში კი ავტოკალამში უნდა გადაესხა. შემდეგ უნდა მიახლოებოდა და შეუმჩნევლად(?) გაეკაწრა ოლიგარქი, მაგრამ თურმე „კილერს“ ნერვებმა უმტყუნა, ოლიგარქთან მივიდა და ყველაფერი უამბო.

გაუგებარია, ამდენი აბდაუბდა რაში სჭირდებოდათ, როცა შეიძლებოდა „შხამიანი ავტოკალამი“ წინასწარ გაემზადებინათ? ან პირადი მცველებით გარშემორტყმულ ოლიგარქთან ახლოს ვინ მიუშვებდა?

## „ფლირტი“ რუსეთის სპეცსამსახურებთან

ბრიტანეთის კონტრდაზვერვამ (Ми-5) ამ სენსაციურ პუბლიკაციის თაობაზე ოფიციალური კომენტარი რატომღაც არ გააკეთა. მხოლოდ ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ვინაობის გაუმჟღავნებლად, აღნიშნა, რომ ოლიგარქზე თავდასხმის მომზადებისა და ჩატარების თაობაზე მათთან შესულია ერთი რუსი მოქალაქის განცხადება, რომელსაც პოლიცია ამოწმებს.

„განმცხადებელი“ ბერეზოვსკიზე თავდასხმის მომზადებას აღიარებდა და თან პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდა. ეს იყო და ეს, — არც ნივთმტკიცების ამოღებაზე, არც დაპირისპირებასა და სხვა საგამოძიებო მოქმედებაზე არაფერი თქმულა.

აუდიოჩანაწერი, სადაც უცნობი ამტკიცებდა, რომ ის რუსეთის დაზვერვის აგენტია და ლონდონში ბერეზოვსკის მოსაკლავადაა გამოგზავნილი, სასწრაფოდ იმ სასამართლოში წარადგინეს, რომელიც ოლიგარქის რუსეთის გენპროკურატურისთვის გადაცემის საკითხს განიხილავდა. ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, ამ საქმით უშუალოდ ბერეზოვსკის მარჯვენა ხელი — ლიტვინენკო იყო დაკავებული.

ექსტრადიციის სასამართლო პროცესის წინ „კრემლის კილერების“ სკანდალი მხსნელად მოევლინა არა მარტო ბერეზოვსკის, არამედ პატარკაციშვილს, ლიტვინენკოს, ზაკაევს, დუბოვსა და რუსეთიდან სხვა გაქცეულებსაც.

ბევრი ფიქრობს, რომ ეს იყო ბერეზოვსკის დადგმული სპექტაკლი, რომლის წყალობითაც მან პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

ლიტვინენკოს გარდაცვალების შემდეგ, 2007 წლის აპრილში, „კილერი“, რომელიც კვლავ თავისუფლად ცხოვრობს ლონდონში, რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხზე გამოვიდა დაფარული კადრით და ამტკიცებდა, ლიტვინენკო ჯერ კიდევ 2002-2003 წლებში მარწმუნებდა, დიდი ბრიტანეთის შსს-ში განაცხადე, რომ თითქოს რუსეთის ეფ-ეს-ბემ გამოგგზავნა ბერეზოვსკის, ლიტვინენკოსა და დუბოვის მოსაკლავადო. მისი განცხადებით, ოლიგარქის გარემოცვა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა მასზე, თან დიდ თანხას სთავაზობდა, ხოლო, როცა მან უარი განაცხადა, ყავაში ფსიქოტროპული ნივთიერება ჩაუყარეს და ასე ჩაიწერეს მისი „აღიარება“. ამ აურზაურის ყველაზე აქტიური მონაწილე ლიტვინენკო ყოფილა.

ბერეზოვსკის ლონდონურმა გამოხმაურებამ არ დააყოვნა. მისი განცხადებით, ეს ანონიმი ვინმე ვიქტორ ტეპლიუკი იყო, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობს და რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია. ოლიგარქი არც უარყოფს, რომ მისი ხალხი არაერთხელ შეხვედრია ტეპლიუკს. თუ იცოდნენ, რომ რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო, მაშინ რატომ ხვდებოდნენ მისი წარმომადგენლები სისტემატურად ტეპლიუკს? რა გეგმებს ადგენდნენ?

მოკლედ, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, კაცი ვერ გაიგებს. თუმცა, მართვადი ქაოსი ბერეზოვსკის ყველაზე საყვარელი სიტუაციაა. რუსეთის სპეცსამსახურების ოპერატიულ კომბინაციებში ბერეზოვსკი შეგნებულად მონაწილეობს თუ უნებურად ასრულებს სატყუარას როლს, ეს შედეგს დიდად არ ცვლის. ფაქტია, „რუსეთის დემოკრატიის მამამ“ სადაც კი ჩაიარა, ირგვლივ მეგობართა და პარტნიორთა ცხედრები ასვენია. საბედისწერო კანონზომიერება ჩამოყალიბდა — ინტრიგების დიდოსტატი ბერეზოვსკი, რომელსაც ვითომდა რუსეთის ხელისუფლება დაუნდობლად დევნის, სალ-სალამათი, ჯანმრთელია და დღითი დღე მდიდრდება, სხვები კი (თუნდაც ლიტვინენკო და პატარკაციშვილი) საეჭვო ვითარებაში იღუპებიან.

უკანასკნელ წლებში მისი განცხადებები და მოქმედებები ყოველთვის პუტინის ხელისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს.

რუსეთის სპეცსამსახურებს ისედაც იმდენი ცოდვა აქვთ ჩადენილი, რომ ჩვენგან ახლის დამატება ნამდვილად არ სჭირდებათ. „შხამიანი ავტოკალმით“ თავდასხმის მცდელობა არარეალურ დეტექტიურ ისტორიას ჰგავს, რომლის მიზანი ბრიტანეთში პოლიტიკური თავშესაფრის მიღება იყო.

ბერეზოვსკის ყოველთვის უყვარდა დანის პირზე სიარული და სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან ფლირტი. სამწუხაროდ, ეს ყველა ოლიგარქის დამახასიათებელი თვისებაა.

ოლიგარქებს ხშირად ჰგონიათ, რომ ყველაზე ეშმაკები და ჭკვიანები არიან, ყველას გააცურებენ. ამიტომაც იმდენად რთულ კომბინაციებს ახუჭუჭებენ და ისეთ ლაბირინთ-კონსტრუქციებს აგებენ, რომ შემდეგ თავადვე იბნევიან ხოლმე.

## იგეგმებოდა თუ არა თავდასხმა პატარკაციშვილზე

ლიკვიდაციის რეალური თუ მოგონილი მეორე ისტორიის მთავარი გმირი აწ გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილი იყო. ლონდონსა და თბილისში მოვლენების უსწრაფესი განვითარების გამო ეს ისტორია ნაკლებად გახდა შესწავლისა და ანალიზის საგანი. თავიდან კი ყველაფერი კვლავ „სანდი თაიმსიდან“ და კვლავ დევიდ ლეპარდის მორიგი სენსაციური სტატიით დაიწყო.

2007 წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნდა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციის გეგმის გახსნის შესახებ. გაზეთის საიტზე 45-წუთიანი აუდიოჩანაწერიც განათავსეს, სადაც ორი უცნობი რუსულ ენაზე მედიამაგნატის მოკვლის ოპერაციას გეგმავს. ოლიგარქებზე „მომზადებული“ თავდასხმების გახსნაში „დახელოვნებული“ ჟურნალისტი პირდაპირ მიანიშნებს, რომ ერთი მოსაუბრე სისასტიკით ცნობილი გამოჩენილი ჩეჩენი ბოევიკი უვაის ახმადოვი, ხოლო მეორე საქართველოს შსს-ს თანამშრომელია. საუბარი ისე ოსტატურადაა „დალაგებული“, რომ მკვლელობის მთავარ შემკვეთად საქართველოს ხელისუფლება, ხოლო უცოდველ კრავად რუსეთი გამოჩნდეს. ლეპარდის მტკიცებით, „ქართველი“ რამდენჯერმე უმეორებს „ჩეჩენს“, მკვლელობა ისე უნდა მოეწყოს, რომ ეჭვი რუსეთის სპეცსამსახურებზე აიღონო. საინტერესოა, რომ პატარკაციშვილი-კოდუას საბედისწერო საუბარი, რომელიც რატომღაც ზუსტად „სანდი თაიმსში“ სტატიის დაბეჭდვის დღეს შედგა ლონდონში, სწორედ ამ თემით იწყება. მედიამაგნატი არწმუნებდა კოდუას, რომ მისი ლიკვიდაცია „მასტერამ“ შეუკვეთა ახმადოვს და რომ „დღეს მთელი მსოფლიო ამაზე ლაპარაკობს“. რუსეთთან დაპირისპირებული ჩეჩენი ლიდერები ამ საუბრის ჩაწერის ორგანიზატორად ასევე ლონდონში თავშეფარებულ ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის გუნდის წევრ აჰმედ ზაკაევს ასახელებენ. ლეპარდის მტკიცებით, პატარკაციშვილის ლიკვიდაციის შესახებ საუბარი ვითომ 2006 წლის ივნისში, სტამბოლის აეროპორტში შედგა და იგი ფარულად თავად ახმადოვმა ჩაიწერა. აუდიოჩანაწერის გარდა ამ ფაქტზე სხვა მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა. სტატიის გამოქვეყნება მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ასევე „მთავარი მოქმედი პირების“ ოდიოზურობა და „მკვლელობის გეგმის“ სხვა დილეტანტური დეტალები, დიდ ეჭვს ბადებს, რომ ეს იყო ნაჩქარევად მოფიქრებული და შესრულებული პიარაქცია.

**ბესიკ ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აპოკალიფსის დოქტრინა

**2008 წლის 22 იანვარს ნატოს წევრი ქვეყნების გადამდგარი უმაღლესი ოფიცრების ჯგუფმა ალიანსის ხელმძღვანელობას გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც ლაპარაკია ნატოს მოწინააღმდეგეებისგან მასობრივი იარაღის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით ზოგიერთი ქვეყნისთვის პრევენციული ბირთვული დარტყმების მიყენებაზე. მოხსენება ბობოქარი განხილვის საგანი გახდა.**



## ქვეყნის დასასრულის მოლოდინში

პირველი ბირთვული დოქტრინა ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ბირთვული იარაღის მსოფლიოში პირველად გამოყენებისთანავე დაიბადა. „ატომური ბომბის“ შესაძლებლობებით აღტაცებულმა ამერიკელმა სამხედროებმა დაიწყეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბირთვული ომის გეგმის შემუშავება. საბრძოლო მასალების რაოდენობის ზრდასთან ერთად გეგმა სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა, — თუკი 1947 წელს გეგმა, სახელწოდებით „ჩარიოტირი“, ითვალისწინებდა 100-130 ბირთვული საბრძოლო მასალის გამოყენებას, ორი წლის შემდეგ შემუშავებული „დროპშოთი“ 3000 ბომბის ჩამოგდებას გულისხმობდა.

არც ერთ გეგმას ხორცი არ შესხმია, — გასული საუკუნის 40-იან წლებში აშშ-ის ბირთვული პოტენციალი არაფრით ჩამორჩებოდა საბჭოთა არმიის შესაძლებლობებს, ეს უკანასკნელი იმ დროს გაცილებით წინ უსწრებდა დასავლელი მოკავშირეების შეიარაღებულ ძალებს. 50-იანი წლების მიჯნაზე დაგეგმვაში ახალი ფაქტორი ჩაერია, — საბჭოთა ბირთვული საბრძოლო მასალა. მარჯვე დეზინფორმაციის წყალობით „სავარაუდო მოწინააღმდეგეს“ გადაჭარბებული წარმოდგენა შეექმნა საბჭოთა ბირთვული ბომბების რაოდენობასა და მათი გადაზიდვის საშუალებებზე, რამაც ომის თავიდან აცილებაში დიდი როლი ითამაშა იმ დროს, როცა საბჭოეთის ბირთვული პოტენციალი საკმაოდ დაბალი იყო.

თუმც ბირთვული დაგეგმარების განვითარებისთვის ამას ხელი არ შეუშლია. ისევე როგორც წინამორბედები, 50-იანი წლების ახალი გეგმები „საყოველთაო ბირთვული ომის“ დოქტრინის შესაბამისად მუშავდებოდა და ითვალისწინებდა ბირთვული იარაღის მასირებულ გამოყენებას ზურგის სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების, ასევე მტრის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე. ასეთივე გეგმას ამუშავებდა საბჭოთა კავშირიც.

დოქტრინას არცთუ ცოტა ხარვეზი ჰქონდა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საპასუხო დარტყმის ალბათობა იყო, — პირველი თაობის ბალისტიკური რაკეტებისა და ბომბების დაბალი სიზუსტე მტრის ბირთვული ძალების განადგურების გარანტიას არ იძლეოდა. გარდა ამისა, აფეთქების შედეგად უდიდესი რაოდენობით სითბური ენერგიის გამოყოფა, ასევე ხანძრის შედეგად გაჩენილი ჭვარტლი, ფერფლი და რადიოაქტიური დასხივება კატასტროფულ შედეგს, — ბირთვულ ზამთარს გამოიწვევდა. ასეთი ომი კაცობრიობის, როგორც ცივილიზაციის, დაღუპვას მოასწავებდა.

## ქვეყნის შეზღუდული დასასრული

ბალისტიკური რაკეტების ქობინების ზრდამ გადაზიდვის ახალ საშუალებებთან, — საზღვაო და საჰაერო ბაზირების ფრთიან რაკეტებთან ერთად, 60-70-იან წლებში ახალი დოქტრინის, „შეზღუდული ბირთვული ომის“, შექმნა განაპირობა.

მორიგი ბირთვული სტრატეგია ითვალისწინებდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამიზნეებზე, — გამშვებ დანადგარებზე, აეროდრომებზე, მსხვილ სატრანსპორტო კვანძებსა და სამრეწველო საწარმოებზე დარტყმას. ვარაუდობდნენ, რომ მიყენებული ზარალი და სრული განადგურების შიში აიძულებდა მოწინააღმდეგეს, სამშვიდობო მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. დოქტრინის თანახმად, ბირთვული კონფლიქტი თანდათან გადავიდოდა საბრძოლო მასალების ტაქტიკური გამოყენებიდან სტრატეგიულზე. მიუხედავად ამისა, „შეზღუდული ბირთვული ომი“ ფიქციად დარჩა, — ამ თეორიის შემუშავების პერიოდში შტაბისტებმა ვერ გასცეს ნათელი პასუხი კითხვას: როგორ ვაიძულოთ მტერი, რომ კონფლიქტის ადრეულ სტადიაზევე არ გამოიყენოს სტრატეგიული ბირთვული იარაღი? ამ საკითხში დოქტრინა ეწინააღმდეგებოდა ურთიერთგანადგურების გარანტირებულ პრინციპს, რომელიც 60-70-იანი წლების მიჯნაზე აშშ-სა და საბჭოეთს შორის მიღწეული სარაკეტო-ბირთვული პარიტეტის წყალობით დაიბადა. პარიტეტში ნათქვამი იყო, რომ კონფლიქტის ორივე ძირითადი მხარის ბირთვული პოტენციალი საკმარისი იყო პირველი დარტყმისთანავე მტრისთვის აუნაზღაურებელი ზარალის მისაყენებლად. ამ პრინციპის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გაშლის შეზღუდვა, — 70-იანი წლების სტრატეგების აზრით, „ქოლგის“ უქონლობა ბირთვული დარტყმის პირველად მიყენების ცდუნებას (იმ იმედით, რომ მტერი ისე დასუსტდებოდა, საპასუხო დარტყმას რაკეტსაწინაღო თავდაცვის სისტემა გაანეიტრალებდა), გააქარწყლებდა.

## გამოსავლის ძიებაში

ბირთვულ ომში წარმატების მოპოვების მორიგი დოქტრინა აშშ-ის თავდაცვის მინ-

ისტრ ჯეიმს შლეზინგერს ეკუთვნის, — მას სათავო დარტყმა ეწოდებოდა. ახალი დოქტრინა, რომელიც უზუსტესი საბრძოლო მასალების — მცირე და საშუალო სიშორისა და ფრთიანი რაკეტების და დამიზნების ლაზერული სისტემების — გამოყენებას ეფუძნებოდა, ითვალისწინებდა მტრის სამეთაურო ცენტრებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მანამდე განადგურებას, სანამ ის საპასუხო დარტყმას გადაწყვეტდა. ამაზე საბჭოეთის პასუხი იყო სისტემა „პერიმეტრის" გაშლა, რომელსაც სხვანაირად „განკითხვის დღის სისტემას" ან „მკვდარ ხელს" უწოდებდნენ. სამეთაურო პუნქტების განადგურების შემთხვევაში, „პერიმეტრი" უზრუნველყოფდა კონტინენტთშორისი ბალისტიკური რაკეტების რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებისა და წყალქვეშა ნავების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზებიდან გაშვებას.

ასეა თუ ისე, ბირთვული ომის ყველა კონცეფცია ერთ პრინციპამდე დადიოდა, — საბჭოეთსა და აშშ-ს შორის სამხედრო კონფლიქტი აუცილებლად დამთავრდებოდა მხარეთა ურთიერთგანადგურებით, პლუს დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილის დაღუპვა. სიტუაციის გაანალიზების შემდეგ მხარეებმა დაიწყეს თავიანთი ბირთვული პოტენციალის შემცირება და თანდათან შემცირდა დაძაბულობის დონეც. ამ მდგომარეობის შეცვლის მცდელობა, წონასწორობის დარღვევით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განახლდა.

### დღევანდელი რეალობა

დღეს, რაკეტსაწინაღო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შემდეგ, აშშ თავის შეიარაღებულ ძალებს გარანტირებული უპირატესობის კონცეფციის შესაბამისად ავითარებს. აშშ-ის მოქმედი ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგია გვეუბნება: „ჩვენი შეიარაღებული ძალები საკმარისად იქნება აღჭურვილი საიმისოდ, რომ პოტენციურმა მოწინააღმდეგეებმა თავი დაანებონ შეიარაღების გაზრდაზე ფიქრს იმ იმედით, რომ გადააჭარბებენ ან გაუსწორდებიან ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერებას".

ამ კონცეფციიდან გამომდინარე, აშშ განიხილავს პრევენციული ბირთვული დარტყმების მიყენებას იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც აქვთ ან შეუძლიათ ჰქონდეთ ბირთვული იარაღი ან მასობრივი განადგურების იარაღის სხვა სახეობა. ამ შემთხვევაში აშშ-ს, შესაძლოა, დასჭირდეს საერთაშორისო საზოგადოებრიობის თანხმობა, თუმც ეს სულაც არ იქნება აუცილებელი. ნატოს ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი მოხსენების მიზანია ალიანსის დონეზე დანერგოს ბირთვული იარაღის გამოყენების დოქტრინა, რომელსაც ბლოკის ლიდერი ქვეყანა მიიღებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფუტიელის ბრძოლა

*„თუ შენ გააფრთხილე ბოროტეული, რომ მოქცეულიყო თავისი გზიდან და არ მოიქცა, ის თავისი ცოდვის გამო მოკვდება, შენ კი იხსნი შენს სულს"*
*(ეზეკიელი 33-9)*

## რატომ მოხდა საეკლესიო აჯანყება საქართველოში

საქართველო ყოველთვის იყო გარეშე ძალების ბრძოლის ასპარეზი. ორასი წლის წინ ძლევით მოსულმა „ერთმორწმუნემ" მოსპო ჩვენი სულიერი თვითმყოფადობა და თავს მოგვახვია თავისი იმპერიული ინტერესებისათვის ზედგამოჭრილი ეგზარქოსული ეკლესია. დღეს კი ზოგიერთი დასავლურ გავლენაზე გადასული მის ჩანაცვლებას გვთავაზობს დასავლური ყაიდის სულიერი მოდელით. ჩვენ უნდა აღვადგინოთ მართლმადიდებლური ეროვნული ცნობიერების ეკლესია, რომელიც ქართული სახელმწიფოს განუყოფელი სულიერი სხეული იყო და რომლის არსებობას რუსეთის იმპერიამ დაუსვა წერტილი 1819-1820 წლებში საეკლესიო აჯანყების ჩახშობით. საეკლესიო აჯანყება და ფუსტელთა (მეუფლეთა) გმირული სამხედრო-სარწმუნოებრივი მემკვიდრეობა განუყოფელია ერთმანეთისგან. ამიტომ, თუ გვსურს ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა, ამ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მკვდრეთით აღდგენა მეტად საშური საქმეა. აუცილებელია ყველა იმ ისტორიული მოვლენის ღრმად შესწავლა, რაც ამ სამხედრო-სარწმუნოებრივ-კულტურულ მემკვიდრეობასთან, ფუსტობასთან არის დაკავშირებული. ძველი ქართულით „ეფუტი" ნიშნავს ღვთის წიგნს, რასაც ბერძნულად ბიბლია ეწოდება. ძველი აღთქმა ხშირად იხსენებს მეომარ ფუტიელთა მოდგმას: „სპარსი, ლუდი და ფუტი იყვნენ შენს ლაშქარში — ომის კაცები; ფარს და მუზარადს შენთან კიდებდნენ; ისინი გიქმნიდნენ დიდებას" (ეზეკიელი 27,10). „ამხედრდით ცხენებზე, გაქანდით, ეტლებო, დაე გამოვიდნენ ქუში და ფუტი, ფარის მპყრობელნი და ლიდიელები — მშვილდის მომზიდველნი" (იერემია 46,9).

ფუტიელნი, ანუ ფუსტელნი, საქართველოში იმავე როლს ასრულებდნენ, რასც ძველი აღთქმის ლევიანები, რომელთაც ევალებოდათ უფლის სამსახური და მისი სიწმინდეების დაცვა. ფუსტელთა და ლევიანთა ფუნქციურ იდენტურობას ამტკიცებს ეფუტის (ბერძნულად ბიბლიის) შემდეგი სიტყვები: „ითხოვა ელიაზარმა, აარონის ძემ, ცოლად ფუტიელის ერთ-ერთი ასული და უშვა ქალმა ფინხასი. ესენი არიან ლევიანთა მამამთავარნი თავ-თავისი საგვარეულოების მიხედვით".

ფუტის მოდგმა ბიბლიური ნოეს შვილიდან, ქამიდან იღებს დასაბამს. კოლხთა უძველესი სახელწოდება მახლობელ აღმოსავლეთში ფუტი იყო ძვ. წ. XVI საუკუნეში. ერთ ძველეგვიპტურ საბუთში იხსენიება ფუტის, ანუ ღმერთების ქვეყანა. ყველა ეს ძველი წყარო ფესვებია იმ დიდი ძველისძველი სამხედრო-სარწმუნოებრივი კულტურისა, რომელმაც დღემდე მოაღწია დასავლეთ საქართველოს მთიანეთში ფუსტობის სახით.

არგონავტების მითში „ოქროს საწმისის" მცველებად ბერძნულ წყაროებში ნახსენები არიან ტავრები. სულხან-საბას ლექსიკონში სამხედრო დარაჯთა რამდენიმე ტერმინს შორის ვხვდებით ღამის დარაჯის აღმნიშვნელ სიტყვას ტალა. ტალოსი იყო აგრეთვე კუნძულ კრეტას მოდარაჯე სპილენძის ბუმბერაზი კაცი. ძველი ბერძნების მიერ მოხსენიებული ტალები, ტავრები იგივე ფუ(ს)ტები უნდა ყოფილიყვნენ.

წარმართულ ღვთაებათა ტაძრებში მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა მსახურება, მხოლოდ ღამით იკეტებოდა და იქ ქურუმთა ნაცვლად ღამის სამხედრო მცველები ტალები (ტავრები) რჩებოდნენ. როგორც ვხედავთ, ჩვენი ეროვნული წარსულის ეს ფესვები ფუსტობის სამხედრო-სარწმუნოებრივ კულტურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკავშირდება. ფუსტელთა ათასწლოვან არსებობას წერტილი დაუსვა რუსეთის იმპერიამ 1820 წლის 3 ივნისს, სოფელ ფუტიეთში, საეკლესიო აჯანყების სისხლისმღვრელ ბოლო ბრძოლაში, რომელთან ერთადაც იმპერიამ ბოლო მოუღო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სულიერ სხეულსაც.

ამ აჯანყების წინა პერიოდში რუსეთი თურქეთთან ომისთვის ემზადებოდა და საომარი ხარჯებისთვის საჭირო სახსრების მოსაძიებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ საუკუნეობით ნაგროვები ქართული ეკლესიის ქონება მიაჩნდა. აღმოსავლეთ საქართველოში „საეკლესიო რეფორმები“ რუსებმა შედარებით მშვიდად გაატარეს, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ამ „რეფორმებს“ ხალხის საკმაოდ ძლიერი მღელვარება მოჰყვა. იმპერიულმა ხელისუფლებამ ეს საბაბად გამოიყენა და ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი გადააყენა. ეს გარუსებული, მაგრამ მაინც ეროვნებით ქართველი პირველი ეგზარქოსი მოიშორეს, რათა მის ადგილას შოვინისტი არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი დაენიშნათ. 1817 წლის 14 მაისიდან საქართველოს ეგზარქოსები მხოლოდ რუსები იყვნენ, რომლებიც გულმოდგინედ ატარებდნენ საქართველოში ცარიზმის კოლონიურ-შოვინისტურ პოლიტიკას. ქართველების სულიერ გენოციდზე მკაცრი ეროვნული რეაქცია იყო 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყება. 1819 წლის დასაწყისში ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და შეუდგა ეკლესია-მონასტრების დახურვას, საეკლესიო ქონების აღწერასა და მისი ხაზინისათვის გადაცემის სამზადისს. თეოფილაქტეს თავხედობამ უფრო აღაშფოთა მოსახლეობა და საეკლესიო ქონების აღწერისთანავე აჯანყება წამოიწყო.



აჯანყებულებს კაზაკთა რეგულარული ნაწილები დაუპირისპირდნენ...

აჯანყების ალი მოედო რაჭას, გურიას, სამეგრელოს, იმერეთს. აჯანყებულებს, რა თქმა უნდა, რუსთა რეგულარული არმია დაუპირისპირდა. ქართული ეკლესიის დასაცავად აღმდგარმა აჯანყებულებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „სიცოცხლე და თავისუფლება ერთია“. აჯანყებაში მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა ჩაერთო. აჯანყებულებმა სცადეს ბაგრატიონთა ტახტის აღდგენაც, – ტახტზე ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა ასულიყო.

იმერეთის სამეფოს საოკუპაციო ჯარების სარდალი გენერალი კურნატოვსკი მთავრობას აცნობებდა: „აჯანყება საყოველთაოა, აჯანყებულებმა დაიჭირეს და ჩახერგეს სამიმოსვლო და საფოსტო გზები, დაიკავეს სადარაჯოები. ისინი მოითხოვენ საეკლესიო რეფორმების გაუქმებას და რუსი ეგზარქოსის, თეოფილაქტე რუსანოვის გაძევებას“.

შეშინებული თეოფილაქტე რუსანოვი სამასი კაზაკისა და არტილერიის თანხლებით თბილისში გაიქცა. მიუხედავად ძლიერი დაცვისა, შორაპანში მისი მოკვლა ერთმა იმერელმა აზნაურმა სცადა, მაგრამ ხელი მოეცარა.

საქართველოს მთავარმართებელი, გენერალი ერმოლოვი ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიის საომარ ხაზზე იმყოფებოდა და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს უბრძანა, სასტიკად ჩაეხშო აჯანყება. ველიამინოვი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და თან გაიყოლა კაზაკთა ორი პოლკი გენერალ სისოევის მეთაურობით, გრენადერთა ერთი პოლკის ბატალიონი არტილერიით.

ძველეგვიპტური, ძველბერძნული და ძველი აღთქმის წერილობითი წყაროები ფუსტელთა (მეუფლეთა) სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენის არსებობას ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოსვლამდე დიდი ხნით ადრე ადასტურებს, რომელთაც ეროვნული ღირებულებების დაცვა და საერთო საშიშროების დროს მათი ევაკუაცია ევალებოდათ მტრისთვის მიუწვდომელ ადგილებში. ამ ტრადიციის ძირითადი კერა ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყოველთვის იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი. რაჭაში, ქვაბთკარის დიდ მინდორზე, მოეწყო დიდი სამხედრო თავყრილობა, სადაც აჯანყებული დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი, – სულ ათი ათასმა შეიარაღებულმა მებრძოლმა. გადაწყდა, დაეწყოთ ზრუნვა, დასავლეთ საქართველოს ბარის ეკლესიების სიწმინდეების გადარჩენაზე. აირჩიეს ამ საქმის ხელმძღვანელები. შეადგინეს ფიცის ქაღალდიც, რომლის მიხედვით სრულიად საიდუმლოდ უნდა ემოქმედათ, მტრისთვის შეუმჩნევლად სვანეთში საეკლესიო განძი უნდა გადაემალათ. მტრის თვალის ასახვევად ავრცელებდნენ ხმას, რომ აჯანყების მი-


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა,
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანი ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა იყო. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულთა შორის აღმოჩნდნენ მოღალატეები, რომლებიც რუსებს თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ, ამ წმინდა საქმის გამცემი მაინც არავინ ყოფილა. შესაძლოა, „მოღალატეები“ აჯანყებულთა ჩანაფიქრიც იყო.

სვანეთის მოსაზღვრე რაჭის „ოკრუგი“ აჯანყებულებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს. აჯანყებულები უპირატესობას რომ ფლობდნენ, აშკარად ჩანს გენერალ კურნატოვსკის ერმოლოვთან გაგზავნილ მოხსენებაშიც: „რაჭაში აჯანყებულები, ფაქტობრივად, ფლობენ ხელისუფლებას. რაჭის „ოკრუგის“ უფროსმა, მაიორმა ცაცკამ ვერ შეასრულა თქვენი ბრძანება, რომ გამოსცლოდა აჯანყებულებს, იგი თავისი რაზმით შეკეტილი აღმოჩნდა კვარას ციხეში. აჯანყებულები ამზადებენ ფართომასშტაბიან შეტევას ქუთაისის დასაკავებლად, მათ გეგმაში შედის რუსების მთლიანი განადგურება“. როგორც კაზაკთა გენერლის, სისოევის მოხსენებიდან ირკვევა, რუსთა წინააღმდეგ აქტიური პარტიზანული მოქმედებით გამოირჩეოდნენ ის რაზმები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ: ბუჭუკა კობახიძე, მიქელა ქუთათელაძე, სიმონ თუთბერიძე, დავით ნიკოლაიშვილი, ივანე ნადირაძე, ბუჭუკა ისაკაძე, ვახტანგ სვანიძე და მიქელა რაზმაძე. მათმა რაზმებმა უზრუნველყვეს უსაფრთხო დერეფნის შექმნა იმერეთიდან სვანეთისკენ განძით მიმავალი ექსპედიციისათვის. ხატის კაცებისა და ეკლესიების ერთგული მრევლის დახმარებით თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს ბარის ეკლესია-მონასტრების განძი დათქმულ ადგილას, ზემო საზანოში ისე მიიტანეს, რომ მტერმა ვერაფერი შეამჩნია. ამ აჯანყების ლეგენდარულ გმირებად იქცნენ ხიმშელი გლეხი გლახუნა დონაძე და მისი მეომრები, რომლებიც თავს დაესხნენ სოფელ ხიმშში რუსთა მთავარ ბანაკს და ხელთ იგდეს მათი სამხედრო ამუნიცია, რამაც რუსთა ჯარს მოქმედების საშუალება წაართვა რაჭის „ოკრუგში“. რაჭის „ოკრუგის“ ნაჩალნიკი, მაიორი ცაცკა კვარას ციხეში შეიკეტა და ცხვირს ველარ ყოფდა გარეთ. გლახუნას რაზმმა ხიდიკარის დამცველი რუსთა ნაწილიც ამოწყვიტა და იქ თავისი მცველები დააყენა. კლდისუბნის კოშკებსა და კლდეკარს აჯანყებულები აკონტროლებდნენ, ამასთან, გზა გაწმინდეს რუსებისაგან სოფელ ზემო საზანოდან სვანეთის საზღვრამდე.

საზანოში იყვნენ ამ დროს დაბანაკებული მიტროპოლიტები — დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი, უფლისწული დავითი, ნიკორწმინდის ეპარქიის სოფელ ხონჭიორის მღვდელი მამა დავით ბუაძე, უბისის ტაძრის არქიმანდრიტი გრიგოლი, მღვდლები გიორგი და შიო მაისურაძეები, ბესარიონ გუნცაძე და სხვები. პოლკოვნიკი პუზირევსკი გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს სთავაზობდა მიტროპოლიტების — გაენათელისა და ქუთათელის სალიკვიდაციო გეგმას: „რათა პატიმრები უფრო წყნარად იყვნენ, ვერ შეძლონ გაქცევა, არ იცოდნენ ურთიერთის ვინაობა და არ იქმნენ ცნობილი მცხოვრებთაგან მათი გატარების დროს, მათ ზედ დავაცვამ ტომრებს. ბაგესთან სასუნთქით, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში განზრახული მაქვს დავხოცო. გვამები კი წყალს მივცე“. უფრო ფრთხილმა ველიამინოვმა ასეთი გეგმა შესთავაზა: „არამც და არამც ერთი გვამი არ იქნეს დატოვებული იმერეთში, არც დასაფლავდეს, არც გადაიგდოს მდინარეში, ვინაიდან სწრაფი დინების გამო, შესაძლოა, მდინარემ გვამები გამორიყოს და მოკლულნი მოანახვინოს ცრუმორწმუნე ხალხს. თითოეული მათგანი გადაყვანილი უნდა იქნეს მოზდოკამდის, არ დაიტოვოს საქართველოში, ანდა მიყვანილ იქმნენ კაიშაურამდის მაინც და იქ შესაძლებელია მათი მისამარება“.

1820 წლის 4 მარტს დააპატიმრეს მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი. მათი დაპატიმრებისას ჯარისკაცებმა ხიშტები იხმარეს. მიტროპოლიტები ტომრებში ჩატენეს და რუსეთში გადასახლების მიზნით გზას გაუყენეს. ხიშტებით დაჭრილი ქუთათელი გზაში გარდაიცვალა და ანანურის ტაძრის ეზოში დაფლეს, ხოლო ექვთიმე რუსეთში გადაასახლეს. რუსთა სარდლობა გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა, რადგან ეკლესია-მონასტრებიდან ძვირფასი ხატები და ნივთები ქრებოდა, მაგრამ სად მიჰქონდათ აჯანყებულებს, რუსები ვერ მიმხვდარიყვნენ. ეჭვობდნენ, რომ მათ იქვე, სამალავებში ინახავდნენ. ფუსტელთა კონსპირაციის საუკუნოვანი ხერხები რუსთათვის უცნობი იყო. სწორედ ეს საიდუმლო, უძველესი სამხედრო-სარწმუნოებრივი ტაქტიკა ედო საფუძვლად საეკლესიო აჯანყების გმირთა მოქმედებას.

განძი რომ სვანეთში მიჰქონდათ, გვიან დაეჭვდნენ, როცა შეიტყვეს საზანოში აჯანყებულთა თავმოყრისა და უფლისწულ დავითის იქ ყოფნის ამბავი. რუსების შეშფოთება გამოიწვია აგრეთვე სვან-ფუსტელთა და მათი საბრძოლო დროშა ლემის (ლომის) გამოჩენამაც საზანოში. 1820 წლის 20 აპრილს ამიერკავკასიის სარდლობამ გაგზავნა დამატებითი სამხედრო ძალები. სადამსჯელო საომარი მოქმედებების მთავარსარდლად გენერალი ველიამინოვი დაინიშნა. მან გამოიძახა სამეგრელოში დაბანაკებული პოლკოვნიკი გორჩაკოვი, რომელსაც აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების უშუალო ხელმძღვანელობა ევალებოდა, მაგრამ სამეგრელოს მოსახლეობამ მას იმერეთისკენ გადაადგილების საშუალება არ მისცა. ყულევის ციხიდან გამოსულ გრენადერებს მეგრელებმა ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს და აიძულეს კვლავ ციხეში შებრუნებულიყვნენ. დრო აღარ ითმენდა. რაჭის „ოკრუგისაკენ“, საზანოს მიმართულებით, ველიამინოვმა დაძრა შორაპანში მყოფი კარაბინერების ორი ასეული არტილერიით, მაიორ გლტკოსაცკოს მეთაურობით. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ გენერალ ვლასოვის კაზაკები და ამავე პოლკის ასეული. ამ ძალებს რუსებმა დაუმატეს გენერალ სისოევის კაზაკთა ორი პოლკი, გრენადერთა პოლკის ერთი ბატალიონი არტილერიით.

1820 წლის 30 მაისს რუსები თავს დაესხნენ სოფელ ზემო საზანოში დაბანაკებულ აჯანყებულებს. აჯანყებულთათვის ეს არ ყოფილა მოულოდნელი. საერთოდ, აჯანყებულთა ტაქტიკურ მოქმედებას ახასიათებდა ორმაგი მანევრი. ერთი იყო აშკარად გამოხატული, — სამშობლოს რუსთაგან გათავისუფლება და ბაგრატოვანთა სამეფო უფლებების აღდგენისათვის ბრძოლა, მეორე, გასაიდუმლოებული და უფრო მნიშვნელოვანი ეროვნული სახელმწიფოს სულის გადარჩენა, რაც გამოიხატებოდა სულიერი კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენით, რომელშიც ისინი ხედავდნენ არა მატერიალურ სიმდიდრეს, როგორც რუსები, არამედ სულიერ მისტიკურ ძალას, რომლის დაკარგვა ქართული სახელმწიფოს სულიერ სიკვდილს მოასწავებდა. ფუსტელები ამას არაფრით დაუშვებდნენ. საზანოზე რუსების თავდასხმისას ჯორების ქარავანი, რომელსაც შვიდასი სვანი ფუსტელიც მიჰყვებოდა, რაჭაში, ჭიშკარას უღელტეხილს იყო გადაცილებული. საზანოს ბრძოლაში, მიუხედავად რუსთა აშკარა უპირატესობისა, აჯანყებულებმა სიმამაცის და თავდადების მაგალითი აჩვენეს. ამ ბრძოლაში ქართველებმა შვიდასი კაცი დაკარგეს, რუსებმა კი ორჯერ მეტი. აჯანყებულთა შეუპოვარი წინააღმდეგობის გამო რუსებს უჭირდათ წინსვლა. ქართველები რაჭისკენ იხევდნენ, თან მტერს ებრძოდნენ და აფერხებდნენ. სამშობლოს ერთგულ შვილებს ერთი განზრახვა ჰქონდათ, — მტერი ვერ უნდა დასწეოდა განძს. გზაზე ხერგილებისა და სანგრების გადალახვა მტერს დიდი დანაკარგის ფასად უხდებოდა. საბრძოლო მოქმედებას ჭიშკარას უღელტეხილის შემდგომ ორი ძმა იაშვილი ხელმძღვანელობდა. საზანოს მერე, რუსთა ჯარის ერთი ნაწილი გენერალ ვლასოვის მეთაურობით კვეშლევის უღელტეხილისკენ გაემართა, რომელსაც ლომკაც ლეჟავა და მისი ხალხი იცავდნენ. მათი მიზანი იყო კვარაციხესთან გასვლა, მაიორ ცაცკას და მისი ხალხის ალყის მოხსნა და რაჭის მთავარია, განძით მიმავალი ექსპედიციისთვის გზის მოჭრა. 1820 წლის 3 ივნისამდე ეს ვერ შეძლეს. ამ ბრძოლაში დაჭრილ

ეროვნული ბიბლიოთეკა




ლომკაც ლეჟავა რუსებს ჩაუვარდა ტყვედ. 1-ელ ივნისს ექსპედიციამ გვერდი აუარა კვარაციხეს, საიდანაც რუსებს საარტილერიო ცეცხლი ჰქონდათ გახსნილი. ექსპედიციამ სოფელ მუხლის შემოვლით ხიდიკარის ხიდი გადალახა. გლახუნა დონაძის მებრძოლებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს, როცა 1-ელ ივნისს ხიდიკარის ხიდთან სვანების დროშა გამოჩნდა, რომლის უკან განძიანი ქარავანი გაჭიმულიყო. მუზარადებიანი და ჯაჭვისპერანგიანი სვანფუსტელებს, როგორც წესი, ვახტანგიანთა გვარის მებრძოლები მოჰყვებოდნენ, დროშა ხელთ ეპყრა გამოცდილ მებრძოლს, ვიჩი ვახტანგიანს. გაშლილი დროშით წინსვლა იმის ნიშანი იყო, რომ მის უკან სიწმინდეებს მოაბრძანებდნენ. შემხვედრები მას ცალმუხლმოდრეკით ეგებებოდნენ. გლახუნა დონაძის მეომრებმა ექსპედიციის გავლისთანავე ხიდი აყარეს და კვეშლევის უღელტეხილზე გამაგრებული ლომკაც ლეჟავას მებრძოლების დასახმარებლად გასწიეს. როგორც გენერალი პოტო წერს, 1820 წლის 3 ივნისს მაიორ გლატკოსაცკოს კარაბინიერებმა არტილერიის დახმარებით ბრძოლა გამართეს მონასტერთან, რომელიც კვარაციხის მახლობლად მდებარეობდა. ეს ის უძველესი მონასტერია, რომლის ნანგრევები დღემდე შემორჩენილია სოფელ ფუტიეთში. ამ ტრაგიკულ ბრძოლას შემდეგი სტრიქონები უძღვნა მეუფე ანანია ჯაფარიძემ თავის შესანიშნავ „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულში: „რაჭაში სოფელი ფუტიეთი ეკუთვნოდა გელათის მონასტერს. ექვთიმე გელათელის დაპატიმრებამ, ცხადია, აღაშფოთა სოფელი, რუსთა ჯარს სოფელმა გაუმართა უსასტიკესი ბრძოლა 1820 წლის 21 მაისს და სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა ორი ათასმა ქართველმა დადო თავი. მათ შორის იყვნენ მებრძოლი მღვდლები, ბერები და სასულიერო პირები“.

გმირ ფუსტელ რაინდთა უმთავრეს და უძველეს ბასტიონნს თავს დაატყდა რუსთა დამსჯელი რაზმების რისხვა იმის გამო, რომ ხელიდან გაუსხლტათ საეკლესიო განძი. განძის გახიზვნით, გადარჩა არა მარტო მნიშვნელოვანი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, გადარჩა უმთავრესი, — ერის უკვდავი მისტიკური სახელმწიფოებრივი სული. გადმოცემით, განძის გადამტან ქარავანს საზანოდან ზემო სვანეთამდე ცეცხლოვანი მახვილით ხელში მიჰყვებოდა მთავარანგელოზი მიქაელი, რომელმაც ექსპედიცია მშვიდობიანად გააცილა და თავად ლატალის მხარეს მთავარანგელოზის ტაძარს მიეფარა. როგორც გადმოგვცემენ, მისი ცეცხლოვანი მახვილი მდევარი რუსის ჯარისკენ იყო მიმართული და ზურგს უკან მოქცეულ მეგანძეთა ქარავანს ასე მიაცილებდა.

ფუსტელთა სამხედრო-სარწმუნოებრივი კულტურული მემკვიდრეობა და საეკლესიო აჯანყების გამოკვლევა კიდევ ბევრ შრომას მოითხოვს. ის ჯერ კიდევ თეთრი ლაქაა ჩვენს ისტორიაში. ამ რამდენიმე წლის წინ სოფელ ზემო სხვავის მკვიდრმა ნოდარ კობერიძემ შემთხვევით ნახა რუსი ჯარისკაცის საფლავი. სამწუხაროდ, აღმოჩენილი ნივთები დაუდევრობით დაკარგეს. მისი მონათხრობით ირკვევა, რომ ნახეს თითბრის ფირფიტა, რომელზეც პოლკის ნომერი, გვარი და სანქტ-პეტერბურგი ეწერა. გვარი დღემდე ახსოვთ, — სვინცოვი. ასე რომ, ამ ტრაგიკულ ისტორიულ მოვლენას არქეოლოგიური შესწავლაც სჭირდება. სოფელ ფუტიეთში საომარი მოქმედებებით გამოწვეული ნგრევის კვალი დიდია: ნასოფლაური, ნამოსახლი, ნამონასტრალი, ნაეკლესიავები, ნაციხარი, ნაკოშკარები. ომის კვალი დღემდე შეიმჩნევა კვარაციხიდან ჭიშკარას უღელტეხილამდე. მოსახლეობაც ადასტურებს კოლექტიური საფლავების არსებობას.

*სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი, მამა ავთანდილ გიორგობიანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზეთი ბლოკადამდე და ბლოკადის შემდეგ



ეს გაზმზიდი რეიდზე დგას აფხაზეთის სანაპიროსთან

**28 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას ახალი წინადადებებით მიმართა და კონფლიქტის დარეგულირებისათვის შესთავაზა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა გალსა და ოჩამჩირეში, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიის მინიჭება და ცენტრალურ ხელისუფლებაში დიდი უფლებებით მონაწილეობა.**

პასუხი სოხუმიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითი მოვიდა. ბაღაფშის განცხადებით, აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებს და ნებისმიერ ავტონომიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მისივე განმარტებით, მოლაპარაკებები შეიძლება მხოლოდ ორ თანასწორ მეზობელ სახელმწიფოებს შორის გაიმართოს, ისიც განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში. სოხუმს სურს ხელშეკრულება ძალის გამოუყენებლობის, ომის განუახლებლობის თაობაზე და კოდორის ხეობიდან ქართული ნაწილების გაყვანა.

რუსეთის თანამეგობრობის სახელმწიფო მეთაურთა 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებიდან გამოსვლამ და დუმის 21 მარტის განცხადებამ „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიზაციის პროცესის დაჩქარებისა და თვით დამოუკიდებლობის ცნობამდე“ ბუნებრივია, სეპარატისტულ რეჟიმებს საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების ყოველგვარი სურვილი დაუკარგა.

სეპარატისტული ხელისუფლება რუსეთისაგან დამოუკიდებლობის აღიარება, თუ არა და, უკიდურეს შემთხვევაში, ე.წ. ტაივანისა თუ ჩრდილო კვიპროსის მსგავს ურთიერთობებს მოელის და ახლა მოლაპარაკებებზე მისი დაყოლიება ადვილი არ იქნება.

საკითხავია, იყო თუ არა აფხაზეთი საერთოდ ეკონომიკურ ბლოკადაში, როცა მისი ბიუჯეტი 1996 წელს რამდენიმე ათეული მილიონი რუბლიდან 2008 წელს 1 მილიარდ 500 მილიონ რუბლამდე გაიზარდა.

დასანანია, რომ საქართველოს ძველმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ გამოიყენა თანამეგობრობის სახელმწიფო მეთაურთა 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებაში ჩადებული ბერკეტები, რომელიც უპირველესად აფხაზთა სეპარატისტული ხელისუფლების განსაზღვრულ დათმობებზე წასვლას გულისხმობდა.

რატომღაც საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ აქცენტი ძალისმიერ მეთოდებზე, პარტიზანული მოძრაობის გაშლასა და შეიარაღებული ჩეჩნების გამოყენებაზე გააკეთა, მაგრამ გაუთვლელმა მოქმედებებმა სასურველი შედეგი არ მოიტანა.

ასევე ვერ მოხერხდა რუსეთის წინააღმდეგობის გამო კონფლიქტის ზონაში რუსი ცისფერჩაფხუტიანების საერთაშორისო სამშვიდობო ძალებით ჩანაცვლება. წარუმატებლად დასრულდა აფხაზეთში მშვიდობისათვის იძულებითი ოპერაციის დაწყება და კიდევ სხვა გეგმები.

რუსეთმა რაღაც-რაღაც შეზღუდვები მართლაც აამოქმედა და 1996-98 წლებში აფხაზეთიდან პროდუქციის შეტანა შეაჩერა, ხოლო იმპორტი შეზღუდა. ჩეჩნეთში მიმდინარე ომის გამო 16-დან 60 წლამდე მამაკაცებს კი რუსეთში საერთოდ არ უშვებდნენ.

1999 წელს რუსეთმა სანქციები შეასუსტა, ფსოუზე დაიწყო ლეგალური გადასვლა, აღდგა საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო მოგვიანებით სარკინიგზო მიმოსვლაც.

2006 წლის მარტიდან რუსეთმა საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო პრუდუქტებისა და ღვინის შეტანა აკრძალა, რომელიც აფხაზურ პროდუქციას, მათ შორის, ღვინოსაც შეეხო.



2007 წლის ზაფხულში თბომავალ „ვეგა-1“-ს მგზავრები არ აკლდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მცურავი ამწე „ჩერნომორეცი-1“ მწყობრში შევიდა

სოხუმი დროს უქმად არ კარგავდა და სანქციებისა თუ ეკონომიკური ბლოკადისათვის გვერდის ასავლელ გზებს ეძებდა. სწორედ მაშინ დაიწყო თურქეთში, სირიასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ აფხაზურ დიასპორასთან ურთიერთობების გაღრმავება. იმ წლებში თურქეთთან ვაჭრობამ და იქიდან შემოსულმა დახმარებებმა საგარეო ეკონომიკურ კავშირებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და სეპარატისტებს სულის მოთქმის საშუალება მისცა.

კერძო თურქული ფირმების სავაჭრო გემები აფხაზეთისკენ ჯერ კიდევ კონფლიქტის დროს დაცურავდნენ, ხოლო მომდევნო წლებში და განსაკუთრებით 1996 წლიდან აფხაზეთის პორტებისაკენ ცურვას მოუხშირეს.

საქართველოს პრეზიდენტმა 1996 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით სოხუმის პორტი, პორტპუნქტები, საზღვაო აკვატორია და საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი აფხაზეთის ტერიტორიის ფარგლებში ყველა სახის საერთაშორისო გადაზიდვებისათვის დახურა.

მაშინ საქართველოში მყოფმა რუსმა მესაზღვრეებმა მიიღეს მითითება, რომ საბაჟო და სხვა სახის შემოწმებას თანამეგობრობის ქვეყნების დროშებით მცურავი გემები სოჭში, ხოლო ყველა დანარჩენი კი ფოთში გაივლიდა. შესაბამისად, რუსებმა 1996 წლის 21 მარტს სოხუმისაკენ მიმავალი უკრაინული სავაჭრო გემი „ვეგა“ სოჭისკენ, ხოლო 22 მარტს თურქული გემი კი ფოთისკენ გაისტუმრეს.

ამის შემდეგ სიტუაცია უაღრესად დაიძაბა. 21 მარტს აფხაზეთის პარლამენტმა რუსი მესაზღვრეების გაყვანა მოითხოვა, ხოლო არმიაში საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა. თურქული გემის ფოთისაკენ გაშვებამ კი ცეცხლზე ნავთი დაასხა და აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა რუსი მესაზღვრეების დისლოკაციის ადგილებს ტანკებითა და არტილერიით ბლოკირება გაუკეთეს.

სიტუაცია იმდენად გართულდა, რომ აფხაზეთში თავად რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორი, არმიის გენერალი ანდრეი ნიკოლაევი ჩავიდა. არძინბასთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ ძველი რეჟიმი აღდგა, ანუ სავაჭრო გემებს აფხაზეთის პორტებში შესვლა ფოთში სავალდებულო შემოწმების გარეშე შეეძლოთ.

ეს რეჟიმი დღემდე მოქმედებს და საქართველოს სანაპირო დაცვის მცდელობათა მიუხედავად, აფხაზეთის მიმდებარე წყლებში უკანონო ნაოსნობის აღკვეთას სასურველი შედეგი არ მოაქვს.

1999-2007 წლებში დაახლოებით 23 სავაჭრო გემი, ტანკერი თუ თევზმჭერი სეინერია დაკავებული, საიდანაც 11 თურქეთის, 4 უკრაინის, 3 რუსეთის, 2 კამპუჩიისა და თითო-თითო ესტონეთის, საბერძნეთისა და ბულგარეთის დროშით დაცურავდა. ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია, თუ გავითვალისწინებთ, რომ წელიწადში აფხაზეთის პორტებში დაახლოებით 100-120 სავაჭრო გემი შედის.

თურქულმა ფირმა „თამსაშმა“ საზღვაო ტრანსპორტითა და საქართველოს სანაპიროს დაცვის გვერდის ავლით ოჩამჩირის პორტში ქვანახშირის მომპოვებელი მოწყობილობები და სატრანსპორტო საშუალებები შეიტანა, ხოლო ტყვარჩელის რაიონში მოპოვებულ ქვანახშირს ახლა თურქეთში ეზიდება.

სატვირთო გემებმა აფხაზეთში შეიტანეს ბზიფის ხის დამამუშავებელი კომბინატის მანქანა-დანადგარები. კომბინატში წარმოებული მზა პროდუქცია: ფიცრები, ძელები, პარკეტი, შპონი და სხვა ნაწარმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ასევე საზღვაო გზებით იგზავნება.

აფხაზეთი ზღვით შეუფერხებლად იღებს რუმინეთიდან საწვავს, უკრაინიდან სასმელებს, მოლდავეთიდან ღვინის სპირტს, თუმცა წესით ბოლო დრომდე ეკონომიკურ ბლოკადაში უნდა ყოფილიყო.

სოჭში ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის დაწყებასთან ერთად აფხაზეთის წყლებში საზღვაო სატვირთო გადაზიდვებიც გახშირდება.

რუსეთის რეგიონული განვითარების მინისტრი დიმიტრი კოზაკიც ამბობს, რომ აფხაზეთთან სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა სახის კავშირების აკრძალვის მოხსნით გაადვილდება სამშენებლო მასალების შესყიდვა და მუშების დაქირავება, რადგანაც აფხაზეთიდან ტვირთის ტრანსპორტირების მანძილი მოკლეა.

ცოტა ხნის წინ ბაღაფშმა რუსეთს ოლიმპიური ობიექტებისათვის 5 მილიონი ტონა ღორღი შესთავაზა და თან პორტების ინფრასტრუქტურის აღდგენა მოითხოვა. საშენი მასალების მიწოდებისათვის მზად არის რუსული კაპიტალის მონაწილეობით გახსნილი ორი კარიერი: ღორღის მომპოვებელი ოჩამჩირის რაიონის



აფხაზთა „გრიფი“ სავაჭრო გემს ესკორტირებას უკეთებს

სოფელ სკურჩასთან, მდინარე კოდორზე და ინერტული მასალების კი მდინარე ბზიფის აუზში.

აფხაზეთის რკინიგზის სალიანდაგო მეურნეობის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, ღორღისა და სხვა საყარი ტვირთის გადაზიდვის ყველაზე მოსახერხებელი და იაფი საშუალება საზღვაო ტრანსპორტი იქნება.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან აფხაზეთში ნაპირგასამაგრებელი სამუშაოები ტარდებოდა და იმდროინდელი ზოგიერთი მცურავი საშუალება ჯერ კიდევ დარჩენილია.

მცურავი ამწე „ჩერნომორეც-1“ შარშან გაზაფხულზე სოხუმის პორტთან ჩაიძირა, მაგრამ მისი ამოწევა მოხერხდა და მწყობრში ჩადგა. მეორე მცურავი ამწე „ჩერნომორეც-4“ ოჩამჩირის პორტში ქვანახშირის დატვირთვით არის დაკავებული. მწყობრშია 2 საზღვაო ბუქსირი, თვითმავალი ბარჟა „ბზიფი“ და კიდევ სხვა მცურავი საშუალებები.

აფხაზეთის მიმდებარე წყლებში აუცილებლად გაიზრდება საზღვაო გზით მგზავრების გადაყვანის მოცულობაც. 2007 წელს რუსეთიდან აფხაზეთს დაახლოებით 500 ათასზე მეტი ტურისტი და დამსვენებელი ჩავიდა. კიდევ უფრო მეტს წელს მოელიან.

სოჭში 2008 წელს 5 მილიონამდე ტურისტის ჩამოსვლაა მოსალოდნელი და 2015 წლისათვის მათი რაოდენობა 8 მილიონამდე გაიზრდება. ოლიმპიადის რეკლამა ზღვისპირა კურორტს ტურისტებს არც ზამთარში მოაკლებს და მისი ობიექტები, პრაქტიკულად, მთელი წელი დატვირთული იქნება. სოჭში ჩასული ბევრი ტურისტი კი აფხაზეთის დასასვენებელი და ღირსშესანიშნავი ადგილებით ნამდვილად დაინტერესდება.

შარშან მდინარე ფსოუზე აფხაზეთში შემომსვლელთა საათიანი რიგები იდგა. წელს ტურისტთა უფრო მომატებული ნაკადის ნაწილობრივი განტვირთვისათვის სოჭიდან აფხაზეთისაკენ რეგულარული საზღვაო ხაზების გახსნა იქნება მოსალოდნელი.



ძველი თვითმავალი ბარჟა „ბზიფი“ ჯერ კიდევ დაცურავს

მგზავრების გადაყვანის საშუალება მიეცემა კომპანია „აბხაზსკოე მორსკოე პაროხოდსტვოს“ თბომავლებს: „ვეგა-1“-ს, „კომსომოლეც აბხაზიას“, „სუხუმს“, „რადუგა-5“-სა და „რადუგა-8“-ს, თუმცა ზოგიერთი მათგანის ტექნიკური მდგომარეობა საეჭვოა.

მოსალოდნელია თურქეთის პორტებთან საზღვაო მიმოსვლის ლეგალიზაცია, რითაც დამსვენებლებთან ერთად ბევრი ემიგრანტი ისარგებლებს სოჭის ოლიმპიადის ობიექტებზე დასაქმების იმედით.

ბაღაფშმა უკვე გამოთქვა მზადყოფნა აფხაზეთის ტერიტორიაზე მიიღოს ოლიმპიური ობიექტების 15-დან 20 ათასამდე მშენებელი და მათ რიცხვს, ალბათ, ძალიან ბევრი არალეგალი ემიგრანტიც დაემატება.

წინა საოლიმპიადო პერიოდში ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ტერორისტთა თავდასხმების თავიდან აცილება რუსეთის ძალოვანი სტრუქტურებისათვის პრიორიტეტული იქნება. პრევენციულ ღონისძიებათა შორის გამორიცხული არ არის აფხაზეთის მიმდებარე წყლებში რუსული საპატრულო ხომალდებისა და კატარღების გამოჩენა.

არის მოსაზრება, რომ აფხაზეთის პორტებს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ისევე უნდა იყენებდეს, როგორც ამერიკის ფლოტი ტაივანის პორტებს.

განსაკუთრებულ ინტერესს ოჩამჩირის პორტი იწვევს, სადაც 1996 წლის სექტემბრამდე საზღვაო მესაზღვრეთა მე-6 ბრიგადის შტაბი და დივიზიონი იყო განთავსებული. თუმცა ძველი ინფრასტრუქტურიდან ახლა იქ არაფერი აღარ იქნება დარჩენილი.

თვით ოჩამჩირის პორტი საპრივატიზაციო ნუსხაშია შეტანილი და სოხუმის პირველი ეტაპის სამუშაოებს 120 მილიონ ევროდ აფასებს.

ალბათ, მომავალში რუსეთი შეეცდება აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას საზღვაო საზღვრების დაცვაში უფრო ქმედითი დახმარება გაუწიოს და ჩამოწერილ, იარაღმოხსნილ მცურავ საშუალებათა მაგივრად თანამედროვე საპატრულო კატარღები გადასცეს.

მოუგვარებელი კონფლიქტის ფონზე აფხაზეთის მიმდებარე წყლებში ნაოსნობის გაფართოება სოხუმის ინტერესებში შედის და გამორიცხული არ არის, რომ ჩვენი სანაპირო დაცვა ისევ დამკვირვებლის როლში დარჩეს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ პრობლემის სირთულე ქართველ მეზღვაურთა შესაძლებლობებს ბევრად აღემატება.

თემურ ჩაჩანიძე

სოხუმის პორტში სავაჭრო გემისან გადმოტვირთვის პროცესი 2007 წლის ზაფხულში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაიწყო BLACKSEAFOR-ის მეშვიდე აქტივაცია



შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ტაქტიკური ჯგუფის ხომალდებმა სწავლება ბათუმის მახლობლად 4-8 აპრილს ჩაატარეს. სწავლებაში თურქული ავიაგამანადგურებელიც მონაწილეობდა. მომდევნო ეტაპისთვის ხომალდების რაზმი 11 აპრილს ნოვოროსიისკის პორტში შევიდა. მეშვიდე აქტივაციის დასრულება 27 აპრილს სევასტოპოლში იგეგმება.

თურქეთის ინიციატივით შექმნილ სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ტაქტიკურ ჯგუფს დიდი ხნის წარსული არ აქვს. პირველად შავიზღვისპირა ექვსივე ქვეყნის ხომალდთა თავმოყრა თურქეთში 2001 წლის 24 სექტემბერს მოხერხდა და მას შემდეგ საზღვაო სწავლება-ლაშქრობებმა რეგულარული ხასიათი მიიღო.

სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის დანიშნულება რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცება, სამხედრო მეზღვაურებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებაა.

ამავდროულად, მიმდინარეობს საბრძოლო ამოცანების დამუშავება, რომლებიც მოიცავს საძიებო-სამაშველო და განაღმვით ოპერაციებს, ჰუმანიტარული მისიების შესრულებას, გარემოსდაცვით ღონისძიებებს, არალეგალური ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლასა და ზღვაზე ტერორისტული აქტების თავიდან აცილებას.

მეშვიდე აქტივაციის დროს სამხედრო მეზღვაურები ყურადღებას გაამახვილებენ მცირე ზომის სწრაფსვლიან მცურავ საშუალებათა თავდასხმის მოგერიებაზე, მოწინააღმდეგის წყალზედა ხომალდებთან ბრძოლაზე, სამოქალაქო ნაოსნობის მონიტორინგსა და NATO-ს სტანდარტების სანავიგაციო ორიენტირების გამოყენებაზე. დამუშავდება სხვადასხვა ორდერში ცურვისა და ხომალდის გადარჩენისათვის ბრძოლის ელემენტები, საჰაერო თავდაცვის ამოცანები, ავარიული ხომალდის ბუქსირებისა და ზღვაზე ადამიანის გადარჩენის ოპერაციები.

ექვსივე ქვეყნის ხომალდებისაგან შექმნილ რაზმს მუდმივი შემადგენლობა არ ჰყავს და ლაშქრობაში ოპერატიული სარდალი ოპერატიული შტაბის საშუალებით მეთაურობს, რომლის მოვალეობასაც თითოეული ქვეყნის უმაღლესი რანგის საზღვაო ოფიცერი რიგრიგობით ასრულებს. 2004-2005 წლებში ოპერატიული სარდალი საქართველოს წარმომადგენელი, პირველი რანგის კაპიტანი გენადი ჰაიდაროვი იყო. ამჯერად სარდალი თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერია.

სწავლებებში საქართველო აქტიურად მონაწილეობს, თუმცა პრობლემებს ზოგჯერ მოძველებულ მცურავ საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობა ქმნის. ბოლო დროს ქართული მცურავი საშუალებები ლაშქრობებში აღარ მონაწილეობენ. სხვადასხვა წელს BLACKSEAFOR-ის სწავლებებში მონაწილეობდნენ საარტილერიო კატარღა „ქუთაისი“, სარაკეტო კატარღები „თბილისი“ და „დიოსკურია“.

მეშვიდე აქტივაციაში თურქეთის ფლოტიდან MEKO200 ტიპის სარაკეტო ფრეგატი „თურგუთრეისი“ მონაწილეობს. 2920 ტონა წყალწყვის ხომალდი მწყობრში 1988 წელს შევიდა და შემტევი „ჰარპუნის“ ტიპის რაკეტებით არის აღჭურვილი.

უკრაინული კორვეტი „ტერნოპოლი“ 15 წელიწადს შენდებოდა და ფლოტს 2006 წლის თებერვალში გადაეცა, 2007 წლის მაისში სერტიფიცირება გაიარა და მზად არის NATO-ს ამოცანების შესასრულებლად. რუმინული კორვეტი „კონტრადმირალი ჰორია მაჩელარიუ“ რაზმის ყველაზე ახალგაზრდა ხომალდია, რომლის აგება მანგალიაში 1996 წელს დასრულდა. 1590 ტონა წყალწყვის კორვეტის დანიშნულებაა წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლა.

ერთ დროს ბულგარეთის ფლოტის საფლაგმანო ხომალდი, 1900 ტონა წყალწყვის ფრეგატი „სმელიც“ ასევე წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის მიზნით აიგო.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ტრადიციას არ ღალატობს და რაზმში ისევ დიდი სადესანტო ხომალდით არის წარმოდგენილი. „ცეზარ კუნიკოვი“ ერთ-ერთი ის ხომალდია, რომელმაც 1993 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ფოთში წესრიგის აღსადგენად შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითები შემოიყვანა.

„არსენალი“ ლაშქრობაში მონაწილე ხომალდების ეკიპაჟებს წარმატებასა და მშვიდობიან ცურვას უსურვებს.

*თემურ ჩაჩანიძე*



# MEKO-200



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპერაცია პაულიუსის არმიის დასახმარებლად

*„ORLOG“ – ეს პაროლი 1943 წლის თებერვალში ლუფტვაფეს (გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები) მე-4 საჰაერო ფლოტის ყველა ნაწილმა და შენაერთმა იცოდა. „ორლოგ“ ძველი ჰოლანდიური სიტყვაა და ნიშნავს „ომს“, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ბრძოლის დაწყებას კი არა, დასასრულს ნიშნავდა. პაროლი „ომი“ ნიშნავდა, რომ ვერმახტის მეექვსე არმიამ შეწყვიტა არსებობა, ხოლო დონისა და ვოლგის ნაპირებზე გამართული ბრძოლები, გერმანიის შეიარაღებული ძალების ძალისხმევის მიუხედავად, ამ უკანასკნელის სრული დამარცხებით დასრულდა.*

1942 წლის 19 ნოემბერს სტალინგრადისა და დონის ფრონტების ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ დასახლებულ პუნქტ კალაჩში ვერმახტის მე-4 სატანკო და მე-6 საველე არმიების ოცდაორი დივიზია ალყაში მოექცა, გადაიჭრა სტალინგრადის მომარაგების მთავარი არტერია. 22 ნოემბერს სტალინგრადის მახლობლად მდებარე ქალაქ კარპოვკაში მე-6 არმიისთვის განკუთვნილი ტვირთით დატვირთული უკანასკნელი ათი ვაგონი მივიდა. სიტუაციიდან მხოლოდ ორი გამოსავალი არსებობდა: ან გენერალ პაულიუსს (პაულიუსს ფელდმარშლის წოდება სტალინგრადის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე მიენიჭა) თავისი მე-6 არმიით ალყა უნდა გაერღვია, ან ქალაქში უნდა გამაგრებულიყო, არმია კი საჰაერო სივრციდან მომარაგებულიყო. ორივე ვარიანტი საკმაოდ ძნელი ხორცშესასხმელი იყო. ორივე ვარიანტს ჰყავდა მომხრეები და ოპონენტებიც. ალყაში მოქცეულმა პაულიუსმა მეორე არჩია. დეპეშა, რომელიც მან ჰიტლერს გაუგზავნა, ორ სიტყვას შეიცავდა: „საჰაერო ხიდი“.

250-ათასიანი არმიის მომარაგება მხოლოდ ჰაერიდან და ისიც ცივ ზამთარში თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჰიტლერს უნდა მიეღო. ლუფტვაფეს მთავარსარდალმა ჰერმან გერინგმა დაარწმუნა ჰიტლერი, რომ ავიაცია შეძლებდა მე-6 არმიის დახმარებას... ჩამოყალიბდა „საჰაერო ხიდის“ ეფექტიანად მოქმედებისთვის საჭირო ორი პირობა:

– მეტეოპირობები უნდა იძლეოდეს ფრენის საშუალებას;

– წითელი არმიის შეტევაზე გადასვლის შემთხვევაში სასიცოცხლო მნიშვნელობის აეროდრომები – ტაცინსკაია და მოროზოვსკი – მოწინააღმდეგეს ხელში არ უნდა ჩავარდნოდა.

იმავე დღის საღამოს გაიცა ბრძანება საფრენოსნო სკოლებში, შტაბებსა და ცენტრალური დაქვემდებარების დაწესებულებებში მყოფი ყველა ქმედუნარიანი თვითმფრინავის – Ju-52, Ju-86 და He-111-ების მობილიზაციის შესახებ. მათგან პირველი სატრანსპორტო თვითმფრინავი იყო, დანარჩენი ორი კი ბომბდამშენების კლასისა (თავდაპირველად ისინი იქმნებოდნენ როგორც სამგზავრო თვითმფრინავები), მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ბომბური დატვირთვის ნაცვლად შეეძლოთ იმავე მასის სხვა ტვირთის წაღებაც.

ალყაშემორტყმულ სტალინგრადში არმიის მომარაგებაზე ე.წ. სამუშაო შტაბი იყო პასუხისმგებელი, მას მაიორი ფონ კუნოვსკი მეთაურობდა. საბრძოლო მოქმედებების ეფექტიანად საწარმოებლად მე-6 არმიას ყოველდღიურად ესაჭიროებოდა 300 ტ საწვავი, 200 ტონა ტყვია-წამალი და 150 ტონა სურსათი.

1942 წლის ნოემბრის დასასრულისთვის ლუფტვაფეს ყველა ფრონტსა (მათ შორის აფრიკაშიც) და ზურგში ჰყავდა 878 სატრანსპორტო Ju-52, რომელთაგან გამართული იყო მხოლოდ 357. სატრანსპორტო ამოცანების შესასრულებლად შეიძლებოდა ბომბდამშენ He-111-ისა და Ju-86-ის გამოყენება. 20 ნოემბრისთვის ასეთი თვითმფრინავები ჰყავდათ მე-4 საჰაერო ფლოტის მხოლოდ ხუთ სატრანსპორტო ავიაჯგუფსა



და ორ საბომბდამშენო ესკადრილიებს. პლუს ამას He-111-ებზე მფრენი კიდევ ერთი საბომბდამშენო ჯგუფი. სატრანსპორტო „იუნკერსების“ დამატებითი რაოდენობის მოძიება კიდევ სხვადასხვა საკავშირო ჯგუფსა და დამხმარე დაჯგუფებაში შეიძლებოდა. წინასწარმა გათვლებმა ცხადყო, რომ სტალინგრადში ყოველდღიურად 500 ტონა ტვირთის გადასატანად საჭირო იყო დაახლოებით 700 Ju-52-ის მობილიზაცია.

„საჰაერო ხიდის“ არსებობის პირველი ორი დღის განმავლობაში, 25-26 ნოემბერს, სტალინგრადმა მხოლოდ 65 ტონა ტვირთი მიიღო, მესამე დღეს კი უამინდობის გამო თითქმის არაფერი.

თავდაპირველად, „საჰაერო ხიდის“ ხ-



He-177





მძიმე სატრანსპორტო Ju-90



He-111

ხელმძღვანელობა აეროდრომ ტაცინსკაიას მეთაურს, გენერალ-მაიორ კარგანისს დაევალა. უშუალოდ მას ემორჩილებოდნენ 1-ელი სატრანსპორტო ესკადრის მეთაური, პოლკოვნიკი ფერსტი და 55-ე საბომბდამშენო ესკადრის მეთაური, პოლკოვნიკი კიული. პირველი მეთაურობდა ტაცინსკაიაში დისლოცირებულ ყველა Ju-52-ს, მეორე კი – მოროზოვსკში დისლოცირებულ He-111-ებს.

ალყაშემორტყმულების განკარგულებაში იყო რამდენიმე ყოფილი საბჭოთა აეროდრომი, მაგრამ ყველას გამოყენება შეუძლებელი შეიქნა. ერთზე ფრონტის ხაზი გადიოდა, დანარჩენი კი მასთან ზედმეტად ახლოს იყო. ძლიერი დანალმულობის გამო ლუფტვაფე ვერც გუმრაკის აეროდრომს გამოიყენებდა. მხოლოდ აეროდრომი პიტომნიკი პასუხობდა ყველა მოთხოვნას და შეეძლო თვითმფრინავების მიღება როგორც დღის, ისე ღამის განმავლობაში. გარდა ამისა, სარკინიგზო სადგურ ბასარგინოსა და დასახლებულ პუნქტ პესჩანკას ახლოს ორგანიზებულ იქნა დამატებითი სათადარიგო აეროდრომები.

ამავდროულად აეროდრომ ტაცინსკაიაზე გროვდებოდნენ Ju-52-ები. მფრინავების უმეტესობა საკმაოდ გამოცდილი იყო და მანამდე უკვე ჰქონდა მიღებული მონაწილეობა სახიფათო მისიებში, მაგრამ ბლომად იყვნენ სწავლება ახალდამთავრებული გამოუცდელი ეკიპაჟები. ამასთან, ზოგიერთი თვითმფრინავი საკმაოდ ძველი იყო. იყო ისეთი თვითმფრინავებიც, რომელთაც მანამდე მხოლოდ კავშირისთვის იყენებდნენ, რის გამოც მათ არ გააჩნდათ საბრძოლო თვითმფრინავისთვის დამახასიათებელი ტიპური აღჭურვილობა: თავდაცვითი შეიარაღება (სამი 13მმ-იანი ტყვიამფრქვევი MG-131), ზამთარში სამოქმედოდ საჭირო თეთრი კამუფლაჟი, რადიოსადგურისა და სანავიგაციო აღჭურვილობის სამაგრი წერტილები, თბოიზოლაცია, დამატებითი საწვავის ავზი. ზოგიერთ მათგანს პარაშუტებიც კი არ მოჰყვა.

30 ნოემბერს 40 He-111 სატრანსპორტო „იუნკერსებთან" ერთად პირველად გაფრინდა სტალინგრადისკენ. ფრენა მიმდინარეობდა დღე-ღამის განმავლობაში, ხან გამანადგურებლების ესკორტით და ხან – მათ გარეშე. თავდაპირველად, „საჰაერო ხიდის" შექმნის პირველ ხანებში, სატრანსპორტო თვითმფრინავების ესკორტირება შეუჩერებლად ხდებოდა. საამისოდ გამოიყო გამანადგურებელ F-109-ებით დაკომპლექტებული ავიაშენაერთ Udet-ის ორი გამანადგურებელი ავიაჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც 25 ნოემბრისთვის ირიცხებოდა 48 თვითმფრინავი, მაგრამ გამანადგურებლების ავიანაწილებში საწვავის ნაკლებობის გამო სატრანსპორტო თვითმფრინავებს უფრო ხშირად მარტო უხდებოდათ რეისების შესრულება. საბჭოთა გამანადგურებელი ავიაციის აქტივობის გამო გერმანელთა გამანადგურებლების რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა.

საბჭოთა საზენიტო არტილერიისგან თავდასაცავად, რომლის საცეცხლე წერტილებიც თვითმფრინავების ფრენის მარშრუტების თითქმის მთელ სიგრძეზე გრძელდებოდა, უმეტესწილად ფრენა 2500-3000მ სიმაღლეზე, ღრუბლების ფენის მაღლა სრულდებოდა, საორიენტაციოდ კი აეროდრომ პიტომნიკში განლაგებული რადიოშუქურა გამოიყენებოდა. ამ შემთხვევაში ტერმინი „აეროდრომი" სიმბოლურ ხასიათს ატარებდა: თოვლით დაფარულ სტეპებში მათ მოსწორებული მოედნის მოძებნა უხდებოდათ. შემდეგ მფრინავების თვალთახედვის არეში აეროდრომზე მყოფი რამდენიმე Ju-52 ხვდებოდა, ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გამნათებლის როლს კი ტექნიკური პერსონალის მიერ გაშვებული მწვანე რაკეტები ასრულებდნენ. დაჯდომისთანავე თვითმფრინავები გაჰყავდათ ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან და სამხედროები იწყებდნენ ყუთების გადმოტვირთვას, ხოლო საწვავი, რომელიც აღარ სჭირდებოდა თვითმფრინავს უკან დასაბრუნებლად, ისხმებოდა ფრთის ავზებიდან: მარცხენა კონსოლიდან აეროდრომის გამანადგურებელთა ესკადრილიისთვის, ხოლო მარჯვენადან – ტანკებისა და მანქანებისთვის.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო საზენიტო არტილერიაში. სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში იყო 35 ცალი 37, 55, 88 და 135მმ-იანი საზენიტო ქვემეხი. ალყაშემორტყმულები მათ უმეტესობას აეროდრომ პიტომნიკისა და საწყობების დასაცავად იყენებდნენ. მომმარაგებელ ავიაბაზებს შემდეგი ჰაერსაწინაღო თავდაცვა ჰქონდათ: ტაცინსკაიას იცავდა მე-18 რუმინული საზენიტო დივიზიონი (რვა 75მმ-იანი და თხუთმეტი 20მმ-იანი ქვემეხი); მოროზოვსკის შემოგარენში განლაგებულ აეროდრომს იცავდა ერთი გერმანული და ორი რუმინული ბატარეა (ოთხი 75მმ-იანი, ექვსი 37მმ-იანი და ოცდაერთი 20მმ-იანი ქვემეხი), თავად მოროზოვსკის კი თორმეტი 75მმ-იანი და თვრამეტი 37მმ-იანი რუმინული ქვემეხი.

თვითმფრინავებიდან ტვირთის გადმოტვირთვის შემდეგ ბორტზე აჰყავდათ დაჭრილები და თუ ამინდი ხელს უწყობდა და არც მოწინააღმდეგის გამანადგურებლები ჩანდნენ, თვითმფრინავი უკან მიფრინავდა. ერთი თვითმფრინავის გაშვება იკრძალებოდა და ეკიპაჟი იძულებული იყო, სხვა თვითმფრინავებს დალოდებოდა, რადგან მჭიდრო მწყობრში მფრენ სამ-ოთხ თვითმფრინავს, ბორტებზე არსებული ტყვიამფრქვევების ჯამური რაოდენობის გაზრდის ხარჯზე, მოწინააღმდეგის გამანადგურებლებისგან თავის დაღ-

JU-290



წევის მეტი შანსი ჰქონდა. მოროზოვსკამდე 50-წუთიანი ფრენის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

30 ნოემბერს He-111-ებით სტალინგრადში ჩატანილი ტვირთის რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 100 ტონას. მიუხედავად ამისა, ეს გერინგის დანაპირების მხოლოდ მესამედსა და მე-6 არმიისთვის საჭირო რაოდენობის მხოლოდ მეხუთედს შეადგენდა. 2 დეკემბერს დაწყებული ძლიერი ყინვის გამო ტვირთბრუნვა ისევ მკვეთრად დაეცა. ძლიერი სიცივის გამო ტექნიკოსებს ხანდახან რამდენიმე საათი სჭირდებოდათ ერთი ძრავას დასატოქად. ტექნიკოსებსა და აეროდრომის პერსონალს გამუდმებით უხდებოდათ თვითმფრინავებიდან თოვლისა და ყინულის მოშორება. სტანდარტული პატარა სარემონტო ოპერაციები რამდენიმე საათით იწელებოდა, ხოლო ძრავას შეცვლა ძალზე ძნელდებოდა.

დეკემბრის ბოლოს სტალინგრადის „საჰაერო ხიდის" ეფექტიანობაზე იმოქმედა სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულმა რამდენიმე ფაქტორმა. თავდაპირველად შემცირდა სატრანსპორტო ამოცანების შესასრულებლად განკუთვნილი He-111-ების რიცხვი, რაც განპირობებული იყო ოპერაცია „ვინტერგევიტტერ"-ის („ზამთრის ელჭექი") დაწყებით, რომელიც მიზნად ალყის გარღვევას ისახავდა, მაგრამ მე-6 არმიის შტაბის დაჟინებული თხოვნით მე-4 საჰაერო ფლოტის ხელმძღვანელის, გენერალ-პოლკოვნიკ რიხტჰოფენის ბრძანებით He-111-ის ნაწილი უკან დაბრუნდა.

მიუხედავად ამისა, სტალინგრადის ქვაბულის მომარაგების პირველი ეტაპი „საჰაერო ხიდის" არსებობის ყველაზე დრამატულ ეტაპად იქცა. ტვირთების არასაკმარისად მიწოდების თაობაზე მე-6 არმიის ხელმძღვანელობის განცხადებების საპასუხოდ, 19-დან 21 დეკემბრის ჩათვლით მაქსიმალურად გაიზარდა „საჰაერო ხიდის" აქტივობა. სამი დღის განმავლობაში შესრულდა დაახლოებით 450 რეისი და პიტომნიკში ჩაიტანეს 700 ტონა ტვირთი. ამან შესაძლებელი გახადა ჯარისკაცების ულუფების გაზრდა, შობას კი თითო ჯარისკაცმა ასგრამიანი შოკოლადის ფილაც მიიღო. ყველას ეგონა, რომ ვითარება ნელ-ნელა გამოსწორდებოდა.

16 დეკემბერს ორმა რუსულმა გვარდიულმა არმიამ დონის ნაპირებთან გაარღვია იტალიელების მე-8 არმიის ფრონტი და როსტოვისკენ დაიწყო შეტევა. ამავე დროს საბჭოთა 25-ე სატანკო კორპუსის ტანკებმა აეროდრომ ტაცინსკაიასა და მოროზოვსკზე მიიტანეს იერიში.

24 დეკემბერს, 5 საათსა და 20 წუთზე, 24-ე სატანკო კორპუსის პირველი საბჭოთა სატანკო ჭურვები აეროდრომ ტაცინსკაიას ჩრდილოეთ ნაწილს დაეცა. საჭირო შეიქნა 180 Ju-52-ის სასწრაფო ევაკუირება, მაგრამ აეროდრომის ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი ფაიბახი არ ჩქარობდა, — ის რიხტჰოფენთან დაკავშირებას ცდილობდა. ამ დროს კი საბჭოთა ტანკები სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ აეროდრომს. 5 საათსა და 30 წუთზე გაიცა ბრძანება ევაკუაციის შესახებ და თვითმფრინავებმა დაიწყეს აფრენა, მაგრამ ძლიერი ნისლის გამო რამდენიმე თვითმფრინავი მიწაზევე შეეჯახა ერთმანეთს. ტაცინსკაიადან სულ გამოაღწია 107-მა Ju-52-მა და 16-მა Ju-86-მა. განადგურდა დაახლოებით 60 თვითმფრინავი, გარდა ამისა, რუსებს ხელში ჩაუვარდათ თვითმფრინავების ბევრი სათადარიგო ნაწილი და მათი მომსახურებისთვის საჭირო ძვირფასი სააეროდრომო აღჭურვილობა.

დაიწყო საარმიო საწყობების ევაკუაცია. 4 იანვრის სადამდე მოროზოვსკი დატოვა სხვადასხვა ტვირთით დატვირთულმა 211-მა ვაგონმა, მაგრამ ტვირთის დიდი ნაწილის ევაკუაცია ვერ მოხერხდა და ამიტომ ადგილზევე გაანადგურეს. მათ შორის 3000 ტონა ტყვია-წამალი, 1500 ტონა ხორბალი და 540 ტონა ფქვილი, 200 ტონა ხორცის კონსერვი და 12 ტონა მარმელადი. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ დონბასზე დაწყებული საბჭოთა შეტევა ძალებს იკრებდა და უკვე აღარავინ იძლეოდა ახალი სასაწყობე ბაზების უსაფრთხოების გარანტიას.

1942 წლის 27 დეკემბერს ჰიტლერმა საარმიო ჯგუფ „დონის" მეთაურს, გენერალ-ფელდმარშალ ერიხ ფონ მანშტაინს შეატყობინა, რომ სატრანსპორტო მიზნებისთვის მე-4 საჰაერო ფლოტს გადაეცემოდა 220 თვითმფრინავი Ju-52 და 50 He-111. ასი „იუნკერსი" აფრიკიდან გადმოისროლეს, დანარჩენი კი ფრონტის სხვა ნაწილებიდან. ამიერიდან Ju-52-ები ბაზირებდნენ სალსკში, He-111-ები კი ნოვოჩერკასკსა დ ვოროშილოვგრადში. ორივე შემთხვევაში სტალინგრადამდე არსებული მანძილი 100კმ-ით გაიზარდა, რამაც მომარაგება კიდევ უფრო გაართულა. ტაცინსკაიას დაკარგვა მძიმე დარტყმა აღმოჩნდა ალყაშემორტყმული არმიისთვის და ახალ წლამდე „საჰაერო ხიდი" პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა. 31 დეკემბერს და 1-4 იანვარს ალყაშემორტყმულთათვის ჩატანილი ტვირთის რაოდენობამ 200 ტონას ძლივს გადააჭარბა.

იანვრის დასაწყისში „საჰაერო ხიდზე" მომუშავე Ju-52-სა და He-111-ს დაემატა თვითმფრინავები ე.წ. Grossraumverband zbV290-დან. ნაწილი, რომელსაც მეთაურობდა მაიორი ჰანს ვილერსი, შედგებოდა სამი ჯგუფისგან, რომელთა შეიარაღებაშიც შედიოდა მძიმე ოთხძრავიანი თვითმფრინავები Ju-90, Ju-290 და Fw-200. ეს უკანასკნელები, 18 ერთეულის ოდენობით, ატლანტიკის სანაპიროზე დისლოცირებული ნაწილიდან გადმოისროლეს, სადაც მათ ბრიტანული წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ იყენებდნენ. ისინი პიტომნიკიდან 480კმ-ით დაშორებულ სტალინო-


Fw-200 CONDOR


აეროდრომი პიტომნიკი. Fw-200 გადმოტვირთვის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დაბანაკდნენ. მალე მათ შეემატა სატრანსპორტო მიზნებისთვის გადაკეთებული ათი მძიმე ბომბდამშენი He-177.

9 იანვრის დილას პირველი Fw-200 Condor დაჯდა პიტომნიკის ასაფრენ ზოლზე. დაშვებული 19 ტონის ნაცვლად თვითმფრინავი 4 ტონით იყო გადატვირთული. იმ დღეს შვიდმა Fw-200-მა 5,5 ტონა საწვავი, 9 ტონა ტყვია-წამალი და 22,5 ტონა სურსათი გადაიტანა, უკან კი 156 დაჭრილი წაიყვანა. უკვე მეორე დღეს პირველი თვითმფრინავი გამოვიდა მწყობრიდან, მეორემ ვერ შეძლო აფრენა ფრთის შემოყინვის გამო, კიდევ ორი საზენიტო არტილერიამ მძიმედ დაზიანა, მეხუთე კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

რუსული ზამთრის ატანა საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს რბილ კლიმატს მიჩვეულ პილოტებს გაუჭირდა, თუმც სიცივემ დამღუპველად არა მხოლოდ ხალხზე იმოქმედა: Fw-200-ები, რომლებიც თბილ კლიმატშიც კი არ გამოირჩეოდნენ დიდი საიმედოობითა და გამძლეობით, ყინვაში ხანდახან სულ არ იქოქებოდნენ. ყინვისგან ძრავების დასაცავად ბეწვის შალითებს კი იყენებდნენ, მაგრამ ისინი მინასავით იმსხვრეოდა. ძრავების გასათბობად განკუთვნილი ერთადერთ აგრეგატს კი ტექნიკური პერსონალის გასათბობად იყენებდნენ.

მაიორ ვილერსის ბრძანებით, პაულიუსის არმიის დასახმარებლად გერმანიიდან დამატებით ორი Ju-290 გადაისროლეს, რომლებსაც ერთ რეისზე 10 ტონა ტვირთვის წაღება შეეძლოთ, უკანა გზაზე კი 85 დაჭრილის ევაკუაცია. 10 იანვარს ერთ-ერთმა მათგანმა პიტომნიკის აეროდრომიდან აფრენისას გადატვირთვის გამო კატასტროფა განიცადა, მეორე კი პირველივე რეისის შესრულებისას გამანადგურებელ ЛаГГ-3-ის ცეცხლში მოხვდა. მართალია, მფრინავმა, მაიორ ვისკრანდტმა შეძლო თვითმფრინავის დასმა, მაგრამ დაზიანებები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავი გერმანიაში გაგზავნეს გასარემონტებლად.

ცოტა ხანში მე-4 საჰაერო ფლოტმა ბომბდამშენ He-177-ების გამოყენება სცადა. მართალია, ზაპოროჟიეში დისლოცირებულ ბომბდამშენების ჯგუფში კი ირიცხებოდა 45 თვითმფრინავი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მხოლოდ შვიდი გამოდგა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის ვარგისი. ნაწილის მეთაურმა შიდემ ისინი სტალინგრადში გადაიყვანა, მაგრამ თავად უგზო-უკვლოდ დაიკარგა პირველივე რეისის შესრულებისას. შიდეს სიკვდილის შემდეგ დარჩენილი He-177-ები საბჭოთა ალყის დასაბომბავად დაფრინავდნენ.

1943 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან სტალინგრადის მომარაგების ოპერაცია ბოლო სტადიაზე გადავიდა. 10 იანვარს დაიწყო ოპერაცია „რგოლი" – საბჭოთა ჯარების მასირებული შეტევა ალყაშემორტყმული მოწინააღმდეგის სრულად გასანადგურებლად. 14 იანვარს გერმანელებმა დაკარგეს ბასარგინოს აეროდრომი. ორი დღის შემდეგ კი, 16 იანვრის დილას, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, დაეცა პიტომნიკი. ბოლო მომენტში აფრენა მოასწრო ექვსმა მოპიკირე ბომბდამშენმა Ju-87 და ექვსმა გამანადგურებელმა Me-109-მა. პიტომნიკში ბაზირებული ყველა თვითმფრინავი გუმრაკის აეროდრომზე გადაიყვანეს.




ვითარება კიდევ უფრო დამძაბა იმ ფაქტმა, რომ იმავე დღეს საბჭოთა ჯარების მასირებული შეტევის გამო სატრანსპორტო Ju-52-ების ჯგუფი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა სალსკის აეროდრომი და პოლკოვნიკ მორციკის ბრძანებით დასახლებულ პუნქტ ზვერევოს ახლოს მდებარე მინდორზე გადაბარგებულიყვნენ. მინდორი Ju-52-ების მოქმედების რადიუსის ზღვარზე იყო. თუმც მეორე დღეს საბჭოთა მოიერიშე ავიაციამ ეს აეროდრომიც გამოიყვანა მწყობრიდან. გარდა ამისა, დაბომბვების დროს მორციკმა 52 თვითმფრინავი დაკარგა: 12 მათგანი დაიწვა, 40 დაზიანდა.

იმავე დღის საღამოს ტაგანროგში, რიხტჰოფენის მე-4 საჰაერო არმიის შტაბში, ბერლინიდან ჩამოფრინდა გერინგის მოადგილე, გენერალ-ფელდმარშალი ერიხ მილხი, რომელსაც კრიზისულ სიტუაციაში ჰიტლერმა „საჰაერო ხიდის" რეორგანიზაცია დაავალა. მის ჩამოსვლამდე მე-6 არმიის გადასარჩენად ლუფტვაფე ისედაც აკეთებდა ყველაფერს, რაც შეეძლო. პიტომნიკში რუსებმა ხელთ იგდეს გერმანული სასიგნალო და აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გასანათებელი აღჭურვილობა და ხაფანგი მოაწყვეს, რომელშიც არაერთი გერმანელი პილოტი გაება.

თავად გუმრაკში კი სიტუაცია დღითი დღე უარესდებოდა. მისი ვიწრო ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი თვითმფრინავების ნამსხვრევებით იყო სავსე. ამას კიდევ საბჭოთა ავიაციის დაბომბვების შედეგად წარმოქმნილი ღრმულები ემატებოდა.

17 იანვარს ჩატარდა ალყაშემორტყმული არმიის კორპუსებს შორის ტყვია-წამლისა და სურსათის „გათანაბრების" ოპერაცია. 18 იანვარს საწვავის მარაგის უქონლობის გამო ალყაში გაჩერდა ტექნიკა, პაულიუსი კი რაციით გადასცემდა: „ჯარისკაცები შიმშილობენ".

18 იანვარს ყველა გერმანული აეროდრომი თოვლმა დაფარა. იმ დღეს ქვაბულში მხოლოდ ორმა თვითმფრინავმა შეძლო დაჯდომა. 19 იანვარს გუმრაკში 27-ე საბომბდამშენო ესკადრის მესამე ჯგუფის მეთაურის, მაიორ ტილის Fw-200-ით ჩაფრენის შემდეგ, გაიცა ბრძანება გუმრაკში მხოლოდ გამოცდილი ეკიპაჟების გაშვების შესახებ. იმ დღეს აეროდრომმა მიიღო თერთმეტი He-111 და ორი Ju-52. იმავე დღეს He-111-ის დაჯგუფებამ დატოვა აეროდრომი ნოვოჩერკასკში და სტალინოში გადაფრინდა. ამიერიდან ნოვოჩერკასკის აეროდრომი მხოლოდ ალყაშემორტყმულებისკენ მიმავალი თვითმფრინავების საწვავით გასამართავად გამოიყენებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ გერმანელებმა დატოვეს ვოროშილოვგრადი და ზვერევო. ამ აეროდრომებზე განლაგებული თვითმფრინავები კონსტანტინოვკასა და ტაგანროგში გადაიყვანეს.

ალყაში მდგომარეობა გაუარესდა. 22 იანვარს დაიკარგა გუმრაკიც. სასწრაფოდ მომზადებული აეროდრომი სტალინგრადსკი კი მხოლოდ ერთ დღეს გამოიყენეს და მეორე დღეს, 23 იანვარს, ისიც დათმეს. 27 იანვრიდან, როგორც იქნა, ორგანიზებულ იქნა სატრანსპორტო თვითმფრინავების გამანად-


სატრანსპორტო Ju-52-ის საწვავით დატვირთვა აეროდრომ ტაცინსკაიაზე

გურებლებით ესკორტირება, მაგრამ გვიანღა იყო.

ყველა აეროდრომის დაკარგვის შემდეგ მე-6 არმიის მომარაგება მხოლოდ საპარაშუტო მეთოდით გრძელდებოდა, მაგრამ მფრინავების ნავიგაციური შეცდომების გამო არმიის მომარაგება პრაქტიკულად პარალიზებული იყო. საწვავის დეფიციტის გამო შეუძლებელი იყო ქვაბულში სურსათისა და ტყვიაწამლის რეგულარულად ჩატანა. საწვავს მხოლოდ გამოცდილ ეკიპაჟებს უსხამდნენ, რომელთა რაოდენობაც ნელ-ნელა მცირდებოდა. პარაშუტებით გადმოყრილი კონტეინერები კი უმეტესწილად უგზო-უკვლოდ იკარგებოდა, ჯარისკაცებს მათ მოსაძებნად ძალა აღარ ჰქონდათ.

გასაკვირი არ არის, რომ გერმანელებმა დამნაშავეების ძებნა დაიწყეს და მე-6 არმიამ ლუფტვაფე დაადანაშაულა. მილხის მოადგილემ, გენერალმა ჰუბემ განაცხადა, რომ სატრანსპორტო ავიაციის ეკიპაჟები საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ყველა შესაძლებლობას არ იყენებდნენ.

2 თებერვალს მე-11 საარმიო კორპუსიდან უკანასკნელი რადიოგრამა მიიღეს: „ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და უკანასკნელ ჯარისკაცამდე ვიბრძოდით“. იმავე დღის საღამოს სტალინგრადის თავზე პარაშუტებით გადმოსაგდები კონტეინერებით დატვირთულმა He-111-ის ორმა ტალღამ გადაიფრინა, მაგრამ ეკიპაჟებმა ქალაქში სიცოცხლის კვალი ვერ შენიშნეს. იმავე წამს მე-4 საჰაერო ფლოტის ყველა ნაწილს გადასცეს პაროლი „ორლოგ“.

მეორე დღეს, დილით, ფელდმარშალი მილხი ჰიტლერთან მოხსენებისთვის ბერლინში გაფრინდა, მისი შტაბი კი დაიშალა. ამრიგად, „საჰაერო ხიდის“ არსებობის 70 დღის განმავლობაში (1942 წლის 25 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე) გერმანულმა სატრანსპორტო ავიაციამ სტალინგრადში ჩაიტანა 6591 ტონა ტვირთი, მათ შორის 1648 ტონა საწვავი, 1122 ტონა ტყვიაწამალი და 2020 ტონა სურსათი. სტალინგრადიდან კი გამოიყვანა 24910 დაჭრილი და სხვადასხვა სპეციალობის 5150 კაცი.

ბრძოლა სტალინგრადისთვის დასრულდა, გერმანიაში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა. „საჰაერო ხიდის“ არსებობის 70 დღის განმავლობაში ლუფტვაფემ დაკარგა 266 Ju-52, 165 He-111, 42 Ju-86, 9 Fw-200, 7 He-177 და 1 Ju-290. სულ 490 თვითმფრინავი (ამ რაოდენობაში არ შედის ალყაშემორტყმულ აეროდრომებზე განადგურებული მოპიკირე ბომბდამშენი Ju-87-ები და ერთძრავიანი გამანადგურებლები), ანუ ხუთი ავიაფრთა, რაც საერთო ჯამში მთელ საჰაერო კორპუსზე მეტია. ამ გამანადგურებელი დარტყმის შემდეგ ლუფტვაფემ ველარ შეძლო წელში გამართვა. ერთ დროს ძლიერმა მე-6 არმიამ კი არსებობა შეწყვიტა.

*თემურ პულუზაშვილი*





ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**1. რომელ ორგანოში უნდა გავასაჩივრო შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება?**

თავდაცვის მინისტრის ბრძანება გასაჩივრდება საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული წარმოების წესით.

**2. არ ვეთანხმები დისციპლინურ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, შესაძლებელია თუ არა მისი გასაჩივრება?**

დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გამოტანიდან 15 სამუშაო დღის ვადაში. საჩივარი უნდა შეიტანოთ გადაწყვეტილების გამომტან თანამდებობის პირთან, იგი ვალდებულია საქმის მასალები 3 დღე-ღამის განმავლობაში გადაუგზავნოს ერთი საფეხურით ზემდგომ ინსტანციას.

**3. თუ შეიძლება განმიმარტეთ, რა იგულისხმება ფულად ჯილდოში?**

ფულადი ჯილდო წახალისების ერთ-ერთი სახეა. სამხედრო მოსამსახურეს აჯილდოებს უწყების ხელმძღვანელი ღირსეული საქციელისთვის. ფულადი ჯილდო არ უნდა იყოს სამხედრო მოსამსახურის ხელფასის 50%-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს მის ერთი თვის ხელფასს.

**4. შეიძლება თუ არა ერთი და იმავე ქმედების ჩადენისას სამხედრო მოსამსახურის რამდენჯერმე დასჯა?**

სამხედრო მოსამსახურეს არ შეიძლება შეეფარდოს რამდენიმე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ერთი და იმავე ქმედებისათვის.

**5. სამსახურში დაგვიანების გამო დამითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან, კანონიერია თუ არა ეს ქმედება?**

ოფიცერს, რომელიც არასაპატიო მიზეზით არაერთგზის დაიგვიანებს სამსახურში, შესაძლებელია შეეფარდოს ისეთი დისციპლინური პასუხისმგებლობა, როგორიცაა სამსახურიდან დათხოვნა.

**6. რა ვადაში განიხილავს ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) სადისციპლინო საქმესთან დაკავშირებულ საჩივარს?**

უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია საჩივარი განიხილოს მისი შესვლიდან 10 დღის ვადაში.

**7. როგორ უნდა დავწერო დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებული საჩივარი?**

საჩივარი უნდა შეიცავდეს:

– იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელებას, რომელსაც მიმართავთ;

– საჩივრის შემტანის დასახელებას;

– გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია დისციპლინურ საქმესა და მის წარმოებასთან;

– საჩივრის შემტანი პირის მოთხოვნას ან პრეტენზიას მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

– საჩივარზე თანდართული მასალების ჩამონათვალს.

**8. დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის გასაჩივრების შემთხვევაში შეჩერდება თუ არა სასჯელის აღსრულება?**

საჩივრის განხილვა შეაჩერებს შეფარდებული პასუხისმგებლობის გამოყენებას. სასჯელი დაგეკისრებათ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის განმხილველი ორგანო არ დააკმაყოფილებს თქვენს საჩივარს.

**9. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდში არ გამოვცხადდი ნაწილში დანიშნულ დროს, რა სახის სასჯელი დამეკისრება?**

თუ სამხედრო მოსამსახურე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ნაწილში ორ დღე-ღამემდე ვადით, მას დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა – ადმინისტრაციული პატიმრობა; ორ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს პირის ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, ახლობლის გარდაცვალება და ა.შ.

**10. შესაძლებელია თუ არა სადისციპლინო საქმე განხილულ იქნეს იმ სამხედრო მოსამსახურის დაუსწრებლად, რომელიც მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში?**

დისციპლინური საქმის განხილვა უნდა წარმოებდეს იმ სამხედრო მოსამსახურის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია დისციპლინურ პასუხისგებაში. მას უგზავნიან შეტყობინებას დისციპლინური საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურე ვერ ახერხებს გამოცხადებას, მას შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჰაერო ტანკერების ომი

## პენტაგონმა Boeing-ს სამხედრო თვითმფრინავების მსხვილი პარტიის კონტრაქტზე უარი განუცხადა

**2008 წელს 29 თებერვალს პენტაგონმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო იმის თაობაზე, თუ რომელი კანდიდატი ჩაანაცვლებს მოძველებულ საჰაერო საწვავგასამართ KC-135-ს. ავაციაში ბოლოდროინდელ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტენდერში ამერიკული Boeing-767-300-ის ნაცვლად, ევროპული თვითმფრინავის A-330-200-ის მოულოდნელმა გამარჯვებამ ამერიკელ საზოგადოებაში აურზაური გამოიწვია. ამ მოვლენას აშშ-ის წამყვანი თავდაცვითი კომპანიების ხელმძღვანელები და კონგრესმენები პროტესტით გამოეხმაურნენ.**



KC-135-ი F-15-ისა და F-16-ის თანხლებით

### პროგრამა KC-X

ახალი საწვავგასამართების შესყიდვის პროგრამა პენტაგონის ინიციატივით ჯერ კიდევ 2000 წელს წამოაყენეს. ამ დროისათვის ავიატანკერ KC-135-ების ექსპლუატაციის ვადა 40 წელზე მეტს შეადგენდა, რამაც, რა თქმა უნდა, სამხედრო სტრუქტურებში მათი შეცვლის საკითხი წამოჭრა. პროგრამას KC-X უწოდეს, რომლის უკანასკნელი ასო-ნიშანი სიმბოლურად მომავალი კანდიდატის ნომერს აღნიშნავდა (ევროპული თვითმფრინავის A-330-ის ნიშანი KC-30 იყო, რომელიც შემდეგ KC-45 -ით შეიცვალა; ამერიკული Boeing-767-ის ნიშნული KC-767 კი KC-767A გახდა).

თავდაპირველად ტანკერების ძირითად მომმარაგებლად კომპანია Boeing-ი შეარჩიეს. 2001 წლის 28 მარტს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა განაცხადეს, რომ თვითმფრინავი B-767 ყველა მოთხოვნას შეესაბამებოდა. ხელმძღვანელობამ დაასახელა ოთხი ძირითადი მიზეზი იმისა, რატომ მიანიჭეს უპირატესობა სწორედ ამ თვითმფრინავს და არა ევროპულ A-330-ს. კერძოდ, მიუხედავად A-330-ის სიდიდისა, იგი არ იძლეოდა საწვავის რეზერვუარების მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალებას, ჰქონდა რთული კონსტრუქცია და მისი მომსახურება დიდ ხარჯს მოითხოვდა. გარდა ამისა, თვითმფრინავის შენახვასა და სარეგლამენტო სამუშაოებს უფრო დიდი ფართობი და სპეციალური ანგარი სჭირდებოდა, რაც აძნელებდა ტანკერის საერთაშორისო ოპერაციებში გამოყენების შესაძლებლობას. 2002 წელს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ თვითმფრინავ Boeing-767-ს მიანიჭა KC-767A ნიშნული, რაც ტანკერის შესყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობდა.

თავდაპირველად, პენტაგონს განზრახული ჰქონდა ასი ერთეული KC-767A-ის ლიზინგით ყიდვა, მაგრამ ამას შეეწინააღმდეგნენ კონგრესმენები, რომელთა შორის დღევანდელი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ჯონ მაკკეინიც იყო. ასე რომ, 2003 წლის ნოემბერს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს უფლება მიეცათ ლიზინგით მხოლოდ 20 თვითმფრინავი შეეძინათ, 80 კი წინასწარი გადახდით.

2003 წლის დეკემბერში, მოულოდნელად, პენტაგონმა დროებით შეაჩერა Boeing-ის ტანკერების შესყიდვის პროგრამა. მიზეზად დასახელდა სამხედრო უწყების შესყიდვების სამმართველოს თანამშრომლის დარლინა დრიუნის წინააღმდეგ დაწყებული საგამოძიებო პროცესი. მას ბრალად დასდეს საწვავგასამართების ტენდერში გამარჯვებული კომპანიისაგან ქრთამის აღებაში. ამ შემთხვევამ ავიასამშენებლო კომპანიის სახელს ჩრდილი მიაყენა.

2006 წლის იანვარში თავდაცვის მინისტრმა რონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ პენტაგონი უარს აცხადებს 20 ერთეული KC-767A-ს ლიზინგით შეძენაზე, რადგან აუცილებელი გახდა სამხედრო ხარჯების შემცირება. 80 თვითმფრინავის შესყიდვის საკითხი კი გადაუწყვეტილი დარჩა.

2006 წლის იანვარში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურობამ ტენდერი ხელახლა გამოაცხადა და კანდიდატებს ახალი მოთხოვნები წაუყენა. Boeing-მა ტენდერში სამოქალაქო Boeing-777-ის ბაზაზე შექმნილი უფრო დიდი თვითმფრინავი KC-777 წარადგინა. კომპანია Airbus-მა Northrop Grumman-თან ერთად ამერიკელებს A330-200 შესთავაზა, რომელიც სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის არაოფიციალურად KC-30-ის ნიშნულით წარადგინეს (მოგვიანებით KC-45).

2007 წლის დამლევს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შესყიდვის პროგრამა გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც მათ სტრუქტურაში 15 წლის განმავლობაში საცდელად უნდა შევიდეს 4 თვითმფრინავი და 175 სერიული ავიატანკერი, რომელთა საერთო ღირებულება 40 მლრდ დოლარად შეფასდება.

კომპანიების Northrop-ისა და EADS-ის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო. მათი მტკიცებით, პროგრამა ტენდენციურად იყო შედგენილი, რაც კომპანია Boeing-ის გარდა სხვა მონაწილეებს ტენდერში გამარჯვების საშუალებას არ აძლევდა.

2007 წლის 12 თებერვალს Boeing-მა ტენდერში KC-777-ის ნაცვლად KC-767-ის წარმოდგენის შესახებ განაცხა-

და. 2007 წლის სექტემბერში სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურობამ უარი თქვა ერთდროულად ორი KC-767-ისა და KC-45-ის შესყიდვაზე და მიზეზად მათი მომსახურების დიდი ხარჯი დაასახელა. 2008 წლის 3 იანვარს Boeing-მა ტენდერში მონაწილეობისთვის წინადადებების პაკეტის საბოლოო ვერსია წარმოადგინა. 2008 წლის დასაწყისში კომპანია Boeing-ის საიტზე განთავსდა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის KC-767-ისა და KC-45-ის შესაძლებლობების შედარებითი შეფასებების შედეგები. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, KC-767-ს გაცილებით უკეთესი მახასიათებლები ჰქონდა, ვიდრე მის ევროპულ ანალოგს.

თუმც, მიუხედავად Boeing-ის მცდელობისა, მოეპოვებინა კონტრაქტი, 2008 წლის 29 თებერვალს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ევროპული კანდიდატი – კომპანია Northrop Grumman-ისა და Airbus-ის თვითმფრინავი A330-200 შეარჩია.

## მიზეზები და შედეგები

ამ გადაწყვეტილებამ გააოგნა კონგრესმენები და თავდაცვის წამყვანი კომპანიების წარმომადგენლები. მათი განცხადებით, პენტაგონის გადაწყვეტილება ძირს უთხრის თავდაცვის საწარმოო კომპლექსს და აშშ-ის ეკონომიკას, ხელს უშლის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც

**KC-767A**
სიგრძე — 48,5 მეტრი
ფრთების გაქანება — 47,6 მეტრი
სიმაღლე — 15,8 მეტრი
ცარიელი წონა — 82,377 ტონა
მაქსიმალური ასაფრენი წონა — 186,88 ტონა
საწვავის მაქსიმალური ჩატვირთვა — 91,6 ტონა
ძრავა (2 ერთეული) — Pratt & Whitney PW4062, 282 kH
კრეისერული სიჩქარე — 851 კმ/სთ
ფრენის სიმაღლე — 12200 მეტრი
ფრენის მანძილი (სიშორე) — 9700 კმ.






განსაკუთრებით მძაფრად აისახება მიმდინარე რეცესიის ფონზე. არ არის გამორიცხული, რომ პენტაგონის გადაწყვეტილების რეალური მიზეზი მასა და კომპანია Boeing-ს შორის არსებული წინააღმდეგობებშია საძიებელი (სასამართლომ დარლინა დრიუონის საქმეზე კომპანია Boeing-ს მთავრობისათვის 613 მლნ დოლარის გადახდა დააკისრა). ოდნავ ადრე მეხუთე თაობის გამანადგურებელ JSF-ის შემუშავებისთვის გამოცხადებულ ტენდერშიც პენტაგონმა Boeing-ს უარი უთხრა. მაშინ კომპანიამ წარადგინა გამანადგურებელ X-32-ის პროტოტიპი. მიუხედავად იმისა, რომ ის პარამეტრებით კომპანია Lockheed Martin-ის გამანადგურებელ F-35-ს სჯობნიდა, უპირატესობა მაინც ამ უკანასკნელს მიანიჭეს.

ზოგიერთი პოლიტიკოსის პოპულისტურ განცხადებაზე საპასუხოდ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შერყევას ტენდერის შედეგს აბრალებდნენ, კომპანია Northrop Grumman-მა განცხადება გააკეთა. მისი მტკიცებით, ახალი კონტრაქტი სამუშაო ადგილების შემცირებას კი არა, პირიქით, მის გაზრდას შეუწყობს ხელს. კონტრაქტი საშუალებას მისცემს, შეიქმნას დამატებით 25 ათასი სამუშაო ადგილი 49 შტატში. თვითმფრინავებს ააწყობენ და სპეციალურ მოწყობილობებს დაუყენებენ კომპანია Northrop Grumman-ის ქარხანაში, რომელიც ქალაქ მობაილში მდებარეობს. წინასწარი მოლაპარაკებების თანახმად, KC-45A-ის საცდელ ნიმუშს 2010 წლამდე ააწყობენ. ოთხი ნიმუშის შექმნაზე დაიხარჯება დაახლოებით 1,5 მლრდ დოლარი, სერიული მანქანების მიწოდება კი 2013 წლიდან იგეგმება. 179 თვითმფრინავს უახლოესი 15 წლის განმავლობაში მიაწოდებენ ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებს. პროგრამა დაახლოებით 100 მლრდ დოლარად არის შეფასებული და გათვლილია მინიმუმ 30 წელიწადზე. A330 MRTT-ებს შეიძენენ ასევე ავსტრალია, საუდიის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები. დიდი ბრიტანეთი აწარმოებს მოლაპარაკებას 14 თვითმფრინავის შეძენის თაობაზე, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიულია.

**KC-45A**
სიგრძე — 59 მეტრი
ფრთების გაქანება — 60,3 მეტრი
სიმაღლე — 17,89 მეტრი
ცარიელი წონა — 82,377 ტონა
მაქსიმალური ასაფრენი წონა — 233 ტონა
საწვავის მაქსიმალური ჩატვირთვა — 115 ტონამდე
ძრავები — General Electric CF6-8oE, Pratt & Whitney PW4000 ან Rolls-Royce Trent 700, TiToeuli 303-320 kH
კრეისერული სიჩქარე — 860 კმ/ს
ფრენის სიმაღლე — 12500 მ.
ფრენის სიშორე — 12500 კმ

კონგრესმენებისა და კომპანია Boeing-ის წარმომადგენლების განცხადებების მიუხედავად, თვითმფრინავი KC-45 ძირითადი პარამეტრებით KC-767-ს ჯობნის. ამიტომაც, ცხადია, კონგრესმენებისა და სხვათა პროტესტი გამოწვეულია არა ეკონომიკური ფაქტორით, არამედ პოლიტიკური განხეთქილებით, რომელიც ვაშინგტონსა და ბრიუსელს შორის გამწვავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„არსენალი" ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება. (დასაწყისი იხ. „არსენალი" №11)

# ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

## გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

### იანიჩარები

XIV საუკუნის დასასრულს, ბალკანეთის დაპყრობისა და კონსტანტინოპოლის ალყაში მოქცევის შემდეგ, ოსმანთა იმპერია ერთ-ერთ ძლიერ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. მისი ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე ოსმალეთის არმიაში სხვადასხვა სახის ქვეითი ჯარი მოქმედებდა. აქაც, ისევე როგორც ევროპულ ჯარში, სოციალური ელიტა მუდამ ამხედრებული იბრძოდა. კავალერიაში სამსახური ალაფისა და მიწის საკუთრებაში მოპოვების საშუალებას იძლეოდა, ფეხოსნებს კი წილად მხოლოდ მონაპოვრის უმცირესი და უბადრუკი ნაწილი ხვდებოდა. მიუხედავად ამისა, მის გარეშე შეუძლებელი იყო წარმატების მოპოვება, განსაკუთრებით კი რთულ ლანდშაფტურ პირობებში ბრძოლისას, ალყის დროსა და ევროპელებთან შეტაკებისას. საფიქრებელია, რომ თურქებზე ალმოგავარებმა – კატალონიურმა ქვეითმა ჯარმა იქონია გავლენა, რომელსაც ხშირად ბიზანტიელები იყენებდნენ. ალბათ, მათი მოდელის მიხედვით ჩამოაყალიბა 1330 წელს სულთანმა ურჰანმა იანიჩარების კორპუსი, რომელიც 1000 კაცს ითვლიდა. იანიჩარები ქალაქების შტურმის დამასრულებელ სტადიაზე დამრტყმელ ძალად გამოდიოდნენ.

იანიჩარი (თურქული Yeniзeri – ახალი არმია) – თურქული ქვეითი ჯარი, სიპაჰთან (მძიმედ შეიარაღებული კავალერია) და აკინჯისთან (არარეგულარული მსუბუქი მხედრობა) ერთად შეადგენდა ოსმალეთის იმპერიის არმიის ძირითად ბირთვს. 1365 წელს სულთანმა მურად I-მა იანიჩარები რეგულარულ ჯარად აქცია, რომელიც 12-16 წლის ქრისტიანი ყმაწვილებისაგან კომპლექტდებოდა (ალბანელები, ბულგარელები, სერბები, სომხები და ქართველები). ისინი ისლამზე ძალდატანებით მოქცეულ სულთნის მონებად ითვლებოდნენ, ცხოვრობდნენ მონასტერ-ყაზარმებში, ეკრძალებოდათ დაოჯახ-



შედარებით თანამედროვე იანიჩარები. XIX საუკუნის ბოლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ება (1566 წლამდე) და მეურნეობით დასაქმება. გარდა სამხედრო საქმისა, იანიჩარებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, სამართალს, თეოლოგიას, ლიტერატურასა და ენებს. დაჭრილი ან მოხუცი იანიჩარები იღებდნენ პენსიას, დაღუპული იანიჩარის ქონება კი პოლკის საკუთრებაში გადადიოდა. 1683 წლიდან იანიჩარების რიგებს მუსლიმანებიც ავსებდნენ. ისინი, ძირითადად, ციხესიმაგრეების გარნიზონებში მსახურობდნენ და ცენტრალიზებული კონტროლის სისტემის მოქნილ ელემენტს წარმოადგენდნენ. ბრძოლის ველზე, როგორც წესი, ქვეითების ზურგის გასამაგრებლად მათ ცენტრში აყენებდნენ. მათი ბრძოლისუნარიანობა 1444 წელს ვარნესთან ბრძოლაში დამტკიცდა, როდესაც იანიჩარებმა უნგრელი რაინდების მძლავრი შეტევა მოიგერიეს.

იანიჩარების კორპუსის ძირითად საბრძოლო ერთეულს შეადგენდა პოლკი, რომელშიც 1000 მეომარი იყო. აღმავლობის პერიოდში პოლკების რაოდენობა 196 ერთეულს შეადგენდა. მხედართმთავრად ითვლებოდა სულთანი, ტაქტიკურ ხელმძღვანელად კი აღა (სამხედრო მეთაურის ტიტული). იანიჩარები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ბექთაშების ორდენთან. იანიჩარი ევროპული სასულიერო-სარაინდო ორდენების აღმოსავლურ ვარიაციას წარმოადგენდა. მათ ჰქონდათ გარეგნული განმასხვავებელი ნიშნებიც: ულვაში და მოპარსული წვერი, რაც უჩვეულო იყო მუსლიმანური ტრადიციისათვის. თავდაპირველად აღჭურვილი იყვნენ არბალეტით, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღდნენ. იყენებდნენ შუბებს, მახვილებს, ხანჯლებსა და საბრძოლო ნაჯახებს.

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო იანიჩარების კორპუსის რღვევა. თანდათანობით იანიჩარი კონსერვატიულ პოლიტიკურ ძალად და სამეფო გადატრიალებების დროს ლიდერის მძლავრ დასაყრდენ იარაღად გადაიქცა. ამიტომაც 1826 წელს სულთანმა მაჰმუდ II-მ იანიჩარების კორპუსის ლიკვიდაცია გადაწყვიტა და ისინი სიპაჰებსა და აკინჯებს დაახოცვინა.

## ჰუსიტები

ცეცხლსასროლი იარაღი ევროპაში XIV საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა და უმეტესწილად ალყის დროს გამოიყენებოდა. საბრძოლო ტექნიკის განვითარებამ ხელი შეუწყო ისეთი მნიშვნელოვანი და მძლავრი იარაღის შექმნას, როგორიც საველე არტილერიაა. მის შესახებ ყველაზე ადრეული ცნობები მწარმოებელი რეგიონებიდან – ფლანდრიიდან და ბოჰემიიდან მოგვეპოვება.

ფლამანდიელების პირმშოს რიბოდეკენი ეწოდებოდა და წარმოადგენდა მრავალლულიან იარაღს, რომელიც ურემზე მიმაგრებული რამდენიმე მომცრო მილისგან შედგებოდა. უძველესი ბატარეის კონსტრუქტორი, ალბათ, ნაპრალებისა და გარღვევის ადგილების დაცვის საიმედო საშუალებას ეძებდა, სადაც თავდაცვის მიზნით მოიერიშეების ზალპით მოგერიება იყო მნიშვნელოვანი და შეიმუშავა კიდეც. 1382 წელს ბევერჰუტსფელდთან ბრძოლისას ფლამანდიელთა გამომგონებლობამ რიბოდეკენი ბრძოლის ველზეც გამოიყვანა. გენტის არმიამ არტილერიის საშუალებით მოწინააღმდეგის – ბრიუგეს მოსახლეობის ლაშქრის მოგერიება შეძლო, ხოლო შემდეგ კი მისი ფლანგი ქვეითების შეტევით გადათელა.


იანიჩარების აღკაზმულობა XIV-XV სს

ბოჰემიაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) რელიგიური ბრძოლის დროს შეიქმნა მობილური არტილერია. ჰუსიტების მეთაურმა იან ჟიჟკამ 1419 წელს, ნეკმერის ალყის დროს, ურმები ღობესავით დაალაგა და კავალერიის შეტევის ცეცხლით მოგერიება შეძლო. რადგანაც ჰუსიტები, ძირითადად, გლეხთა ლაშქარს წარმოადგენდა, რომლებიც არ ფლობდნენ შუბებით ბრძოლის ტექნიკას და არ გააჩნდათ ცხენოსანთა რაზმი, მათთვის რაინდთა შეტევის დროს ურემი თავდაცვის საუკეთესო საშუალება იყო. იან ჟიჟკა ურმებს ერთგვარ მოძრავ ციხედ იყენებდა, რომელსაც მოწინააღმდეგის მოიერიშე კავალერიას უპირისპირებდა.

ტაქტიკურად ურემი თავდაცვის საშუალებას წარმოადგენდა, რომელთანაც მიახლოება მოწინააღმდეგეს თავად უწევდა. თითოეულ ურემს ახლდა ოცკაციანი ჯგუფი, რომელიც მასზე მდგარი თუ მის ახლოს იბრძოდა. ჰუსიტები შეიარაღებული იყვნენ საბრძოლო ჯაჭვებით, ალებარდებით, არბალეტებით. ურმებზე დადგმული ჰქონდათ მსუბუქი ზარბაზნები – ჰუფნიცები, მათ შორის კი ტარასნიცები – მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღი. ურმებს გვერდებზე ჰქონდა სათოფურები, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში სწევდნენ, ამით მინიმუმამდე დაჰყავდათ ცოცხალი ძალის დაკარგვის შესაძლებლობა. ჰუსიტების თაბორს შეეძლო სწრაფად დაწყობა და ასევე ძალიან სწრაფად დაშლა. მათ გაათავისუფლეს თავიანთი ტერიტორია კათოლიკეებისაგან, შემდეგ კი მოსაზღვრე რეგიონების ტერორიზება დაიწყეს. მალე მეზობლებმა მათი გამოცდილების გაზიარება დაიწყეს. უნგრეთის მეფე მატიაშ კორვინი ჰუსიტების დაქირავებულ ჯარს, რომელიც მისი არმიის ბირთვს შეადგენდა, ხშირად იყენებდა. მას შემდეგ, რაც 1444 წელს მან ჰუსიტები თურქების წინააღმდეგ გამოიყენა, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაქტიკა ოსმალებმაც გადაიღეს.

ჰუსიტების ბორბლებიანი „ციხესიმაგრეებისათვის“ წარმატება ზარბაზნების დიდ რაოდენობას მოჰქონდა. ურმები გამოიყენებოდა საიმედო ზღუდედ მოიერიშეებისაგან, განსაკუთრებით კი კავალერიისაგან თავდასაცავად. მათ თავს ესხმოდა მეარბალეტეების ისრები და ჭურვები, როდესაც მოიერიშეები ურმების წყებას უახლოვდებოდნენ. თუკი მოწინააღმდეგე ახერხებდა თაბორის შიგნით შეღწევას, მას ჰუსიტების რეზერვი ესხმოდა თავს და ურმებისაკენ გადაყრიდა, სადაც ზურგიდან უტევდნენ მომხდურებს. მხოლოდ არტილერია იყო საიმედო საშუალება თაბორების წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა თითქმის XV საუკუნის დასასრულამდე ის საკმაოდ მოუქნელი იყო იმისათვის, რომ ეფექტიანად ემოქმედა „მოძრავი ციხეების“ წინააღმდეგ.

ჰუსიტების ტაქტიკა ვერ გავრცელდა დასავლეთში. საფრანგეთში ძმებმა ბიუროებმა არტილერიული ბანაკი გამოიგონეს, – სხვადასხვა კალიბრის მრავალრიცხოვანი ზარბაზნით გამაგრება. ბანაკმა დაამტკიცა თავისი ქმედუნარიანობა კასტილიონთან 1453 წლის ბრძოლაში, რომლის დროსაც ინგლისელების დამარცხებამ მათი აკვიტანიიდან განდევნა გამოიწვია.

ბურგუნდიის ჰერცოგებს ძალიან მოსწონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ XV საუკუნის 70-იან წლებში კარლ მამაცმა შეძლო „საველე ზარბაზნების“ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ქვედანაყოფი. ჩვეულებრივი ჯარის წინააღმდეგ ამგვარი საშუალება ძალზე ეფექტიანი აღმოჩნდა, რადგანაც ბორბლები საშუალებას იძლეოდა, ზარბაზნები გადაეადგილებინათ სხვადასხვა პოზიციაზე. კარლოსმა მემკვიდრეობით მიიღო არკებუზების რაზმი. ის ფაქტი, რომ მას ჰყავდა ამგვარი სახის ძალზე მსხვილი შეიარაღებული ფორმირებები, საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ისინი ამტკიცებდნენ თავიანთ ეფექტიანობას.



გვიან შუა საუკუნეებში არბალეტის საბრძოლო სიმძლავრის გაზრდამ და დიდი მშვილდების მასობრივმა გამოყენებამ, მეომრებისა და ცხენების თავდაცვითი შეიარაღების სრულყოფამ აღორძინებულ სარაინდო კავალერიას ახალი სული შთაბერა. მართალია, გამძლე ფოლადის ფინებისაგან შექმნილი აბჯარი უძლებდა არბალეტისა და მშვილდ-ისრის ისრებს, მაგრამ ცუდად იცავდა ტყვიისაგან. არკებუზები, როგორც წესი, ყველაზე ეფექტიანად ქვეითებთან ან მძიმედ შეიარაღებულ მხედრებთან და ალებარდებით მებრძოლ მეომრებთან ერთად გამოიყენებოდა. ასეთ ვითარებაში მოწინააღმდეგის უნაგირიდან ჩამოგდება და შუბოსნების მოწინავე რიგის განადგურება იოლ საქმეს წარმოადგენდა. სამხედრო შეიარაღების განვითარების მიუხედავად, თითქმის XVI საუკუნემდე, ზარბაზნები და არკებუზები არცთუ ისე ხშირად გამოიყენებოდა ბრძოლის ველზე და შეიძლება ითქვას, ვერც ბრძოლის შედეგზე ახდენდნენ სასურველ ზეგავლენას. მათი აღზევების ეპოქა XVI საუკუნიდან იწყება.



# გენერალ დე გოლის მოღვაწეობის 80 წელი



შარლ დე გოლს თანამემამულენი უკანასკნელ დიდ ფრანგად, კარლოს დიდის, ჟანა დ'არკისა და ნაპოლეონის ტოლფას პიროვნებად თვლიან. თავად გენერალი ესოდენ ლეგენდარული ადამიანების გვერდით მისი პიროვნების მოხსენიებას გადაჭარბებულად მიიჩნევდა.

იგი ისტორიაში შევიდა როგორც გენერალი. პარადოქსია, მაგრამ საველე მეთაური მისგან არ დადგა. ცხოვრებაში, როგორი როლიც უნდა დაეკისრებინა მისთვის განგებას, მაინც ჯარისკაცად რჩებოდა. სამშობლოს ინტერესების დაცვა მოვალეობად მიაჩნდა, ისეთ უიმედო სიტუაციებშიც კი, როცა ნებისმიერი პოლიტიკოსი ამაზე უარს ამბობდა. მიუხედავად ადამიანური სისუსტეებისა და შეცდომებისა, სწორედ ამის გამო შემოსა დიდების შარავანდედით ფრანგების ხსოვნაში.

ანრი დე გოლს და ლუსი მეიოს მესამე შვილი შარლ ანდრე ჟოზეფ მარი ქვეყანას 1890 წლის 22 ნოემბერს მოევლინა. მამის მხრიდან დე გოლები არცთუ გამოჩენილი აზნაურები იყვნენ, დედა კი წვრილ ბურჟუაზიას, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მცირე მეწარმეთა ფენის წარმომადგენელი იყო. დე გოლების წინაპრებს წვლილი მიუძღვით საფრანგეთის სადიდებელ საქმეებში: ერთნი ინგლისელებს ებრძოდნენ ასწლიან ომში, მეორენი ნაპოლეონის მხარდამხარ იბრძოდნენ. მომავალი პრეზიდენტის მამა კი 1870-1871 წლებში პრუსიელების წინააღმდეგ იბრძოდა და დაიჭრა კიდეც.

შარლ დე გოლის ბავშვობა არ ყოფილა უღრუბლო. ღვთისმოშიში, ასკეტი მშობლები თავიანთ შთამომავლებს კათოლიკური ეკლესიის მკაცრი დისციპლინითა და პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდნენ.

იეზუიტთა კოლეჯის ისტორიის მასწავლებელი ანრი დე გოლი ნაპოლეონს უზურპატორს უწოდებდა, ხოლო საყოველთაო-საარჩევნო კანონს საფრანგეთისთვის კატასტროფად მიიჩნევდა.

გასაკვირი არაა, რომ ბავშვების განათლებას რელიგიურმა აღზრდამ ღრმა კვალი დააჩნია. წმინდა თომა აკვინელის სახელობის სკოლის დამთავრების შემდეგ შარლი მშობლების სურვილისამებრ იეზუიტთა კოლეჯში შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის საფრანგეთის ყველა სკოლაში გამეფებული იყო მკაცრი დისციპლინა და ზუთხვა, იეზუიტთა კოლეჯი ყველაზე საუკეთესო იყო მათ შორის, რასაც დე გოლების ოჯახის შეძლება სწვდებოდა.

შარლი ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა. მოგვიანებით ლათინ და ბერძენ ავტორთა ნაწარმოებთა ნაწყვეტების ციტირება აღაფრთოვანებდა მის თანამშრომლებს. ცხოვრება კოლეჯში ერთფეროვანი არ ყოფილა. ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები და იდგმებოდა ისტორიული პიესები. ერთ-ერთში შარლმა მთავარი, საფრანგეთის მეფის როლი შეასრულა. განა იმ დროს წარმოიდგენდა, რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ „საფრანგეთის უგვირგვინო მეფედ" შერაცხდნენ?

1905 წელს მან სამხედრო კარიერა აირჩია და საფრანგეთის პრესტიჟულ სან-სირის სამხედრო აკადემიაში ჩასაბარებელი გამოცდებისთვის მზადება დაიწყო. 1908 წლის ოქტომბერში შარლ დე გოლმა გამოცდები წარმატებით ჩააბარა, — თავის პირველ ამბიციურ მიზანს მიაღწია.

### პეტენთან ნაცნობობა

მიუხედავად იმისა, რომ მის პრესტიჟს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენეს, მესამე რესპუბლიკის არმიაში საკმაოდ მშვიდი ატმოსფერო სუფევდა. 1870-1871 წლებში საფრანგეთ-პრუსიის ომში დამარცხებამ ცხადყო, რომ საფრანგეთის შეიარაღებული ძალები ძალზე ჩამორჩებოდა კადრების მომზადებისა და ტექნიკური აღჭურვილობით მეორე რაიხის ჯარებს, რის შემდეგაც ახალი რესპუბლიკის პოლიტიკოსებმა არმიას მნიშვნელოვანი ავტონომიურობა მიანიჭეს, გაზარდეს სამხედრო ბიუჯეტი, შეინარჩუნეს ოფიცერთა ძველი კორპუსის ნაწილი, გამოაცხადეს ახალი მობილიზაცია და ჯარების ტექნიკურ გადახალისებას შეუდგნენ.

სწორედ ასეთ არმიაში მოხვდა ახალგამომცხვარი კურსანტი დე გოლი. 1909 წლის ოქტომბერში მომავალი გენერალი 33-ე ქვეითთა პოლკში ჩაირიცხა. სამხედრო სამსახურის პირველი წელიწადი არცთუ სასიამოვნო გამოდგა. მორცხვი და განათლებული აყლაყუდა (195 სანტიმეტრი) ჯარისკაცებისა და ოფიცრების დაცინვის ობიექტი გახდა, ყველა იმას ცდილობდა, სიცოცხლე გაემწარებინათ მისთვის. მიუხედავად ამისა, დე გოლმა გაუძლო ყოველივეს და ერთი წლის სამსახურის შემდეგ კაპრალის წოდება მიიღო, იმავე წლის ოქტომბერში კი სან-სირის აკადემიაში ჩაირიცხა. ისევე როგორც იეზუიტთა კოლეჯში, აკადემიაშიც სანატრელი ჰქონდა თავისუფალი წუთი, კურსანტები კამათობდნენ არმიის მომავალზე, ახალ სტრატეგიაზე, ელზასისა და ლოტარინგიის დასაბრუნებლად გერმანიასთან ომის განახლებაზე.

1912 წლის სექტემბერში უმცროსმა ლეიტენანტმა დე გოლმა სან-სირის აკადემია დაამთავრა. მას ყველა საგანში საუკეთესო ნიშანი ჰქონდა (გარდა შაშხანით სროლისა, ცხენოსნობისა და ფარიკაობისა) და ოფიცრის რანგით თავის 33-ე ქვეით პოლკში დაბრუნდა. ასეთი გადაწყვეტილება იმიტომაც მიიღო, რომ ეს სამხედრო ნაწილი დისლოცირებული იყო ქვეყნის ჩრდილოეთით, რაც მას მშობლების ხშირად ნახვის საშუალებას მისცემდა, გარდა ამისა, 33-ე ქვეითთა პოლკის მეთაურად ვინმე ფილიპ პეტენი დაინიშნა.

პეტენი, მომავალი მარშალი, სამხედრო და პრემიერ-მინისტრი საფრანგეთისა, ისევე როგორც დე გოლი, ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციაში იყო დაბადებული. გამოირჩეოდა ხასიათის სიმტკიცით და თანამიმდევრულად, ჯიუტად ნერგავდა იმ დროისათვის ნოვატორულ შეხედულებებს. მაგალითად, პეტენს მიაჩნდა, რომ მომავლის ომებში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებოდა არა შეტევით ინიციატივას, არამედ ჯარების გადამწყვეტი მიმართულებით სწრაფად თავმოყრის უნარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უმცროსი ლეიტენანტი დე გოლი მოუხეშავი და მოჩლუნგო ოცეულის მეთაურად გაამწესეს. ახალი მეთაური თავისი ლექციებითა და დარიგებებით თითქოს არაფრით გამოირჩეოდა წინამორბედისგან, მაგრამ ჯარისკაცების გასაოცრად, ხშირად კი საუბედუროდ, აყლაყუდა უმცროსი ლეიტენანტი ხელქვეითების ცხოვრების ყველა წვრილმანს იმახსოვრებდა, რასაც ადეკვატური ქმედება მოსდევდა.

1913 წლის მანევრებმა 33-ე პოლკის მომზადების საუკეთესო დონე გამოავლინა. დისციპლინა გამკაცრდა, ჯარისკაცთა მზადყოფნა კი დროის მოთხოვნებს შეესაბამებოდა. მანევრებმა არმიაში ახალი იდეების დანერგვის აუცილებლობა დაადასტურა. იმავე წელს გენერალური შტაბის ახალმა უფროსმა, გენერალმა ჟოფრმა პოლკოვნიკი პეტენი ბრიგადის მეთაურად დააწინაურა.

პოლკოვნიკმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა დე გოლზე, რომელსაც იმავე წლის სექტემბერში ლეიტენანტის წოდება მიენიჭა, „პეტენი დიდი პიროვნებაა“, — ამბობდა იგი. ცნობილი არ არის, თვით პოლკოვნიკმა რით გამოარჩია ახალგაზრდა ლეიტენანტი, ალბათ, დე გოლში მან მონათესავე მეამბოხე სული დაინახა, რითაც ორივე პროტესტს უცხადებდა საფრანგეთის საზოგადოებაში გამეფებულ ულმობელ ერთფეროვნებას. ის ფაქტი, რომ ომის შემდგომ, 1921 წელს, ყოფილმა მეთაურმა ყოფილი ხელქვეითი გაიხსენა, მათი თანამოაზრობის დამადასტურებელია.

პირველი მსოფლიო ომი ლეიტენანტ დე გოლისათვის 1914 წლის 1-ელ აგვისტოს დაიწყო, როცა საყოველთაო მობილიზაციის ბრძანებამ 33-ე ქვეითთა პოლკის შტაბამდე მიაღწია. გამოსათხოვარი ბალის შემდეგ პოლკმა ბელგიაში გამგზავრების ბრძანება მიიღო, სადაც მათ დინანთან მდინარე მასის ხიდისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაცვა დაევალათ. ახალგაზრდა ლეიტენანტი ოპტიმიზმით იყო სავსე: „ჩვენი ჯარისკაცები დიდებულად არიან მომზადებული, ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენს სიძლიერეში“, — სწერდა დე გოლი დედასა და დას.

პირველი საბრძოლო შეტაკება დინანის ხიდთან მოხდა. გერმანელმა მეტყვიამფრქვევეებმა და მსროლელებმა ციტადელის დაკავება მოასწრეს და ფრანგი ქვეითების შეტევა თავგამოდებულთა სასაკლაოდ იქცა, — გერმანელები ისე ხვრეტდნენ მოწინააღმდეგეს, როგორც ტირში ვარჯიშისას. ფრანგული არტილერია იგვიანებდა, 33-ე პოლკი თავს ვერსად აფარებდა. დე გოლის ოცეულმა როგორღაც მოახერხა სანგრების გათხრა, მაგრამ მოულოდნელად ხიდისკენ გადაადგილების ბრძანება მიიღო. ლეიტენანტმა ოცეული შეტევაზე გადაიყვანა და იმ მომენტში, როცა მიზანს მიაღწია, მუხლში ტყვია მოხვდა, მიწაზე გართხმულს კი ზემოდან სასიკვდილოდ დაჭრილი სერჟანტი დაეცა. ლეიტენანტს მთელი ცოდნისა და გამოცდილების კონცენტრაცია დასჭირდა თავისა და ჯარისკაცების ბრძოლის ველიდან გამოსაყვანად. დაჭრილი დე გოლი სამკურნალოდ პარიზში გაგზავნეს. ფრონტზე ოქტომბერში დაბრუნდა.

იმ დროისათვის სახმელეთო-სამხედრო მოქმედებებმა პასიური, სასანგრე ხასიათი მიიღო. ზოგჯერ საქმე კურიოზებამდეც მიდიოდა. ორივე მხარე სანგარში იჯდა და ერთმანეთისკენ თხუნელებივით თხრიდნენ ხვრელებს. ერთხელ ახალგაზრდა ლეიტენანტმა ოცეულს გერმანელების გვირაბის გზის მოსაჭრელად ორმოს გათხრა უბრძანა, მაგრამ ზემდგომებმა აუკრძალეს, რადგან ამას „საბრძოლო მოქმედებების გამჟღავნება“ შეეძლო. მალე ლეიტენანტი დაუმორჩილებლობის გამო უფრო დამჯერი ოფიცრით შეცვალეს, დე გოლი კი შტაბში გადაიყვანეს ადიუტანტად. 1915 წლის თებერვალში 33-ე პოლკი მდინარე შალონთან ბრძოლის ეპიცენტრში მოხვდა, დე გოლი ამ ბრძოლაშიც დაიჭრა ხელში შრაპნელით (მსკდომი საარტილერიო ჭურვი, რომელიც დატენილია მრგვალი ტყვიებით), გამოჯანმრთელების შემდეგ კი მან კაპიტნის წოდება მიიღო. 1916 წლის თებერვალში კაპიტანმა მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში, რომელსაც „ვერდენის სასაკლაო“ ეწოდა. ფერდში ხიშტით დაჭრილი დე გოლი ტყვედ ჩავარდა.

## ტყვეობის მძიმე გაკვეთილები

დე გოლმა ორი წლის განმავლობაში ხუთჯერ სცადა გაქცევა, მაგრამ უშედეგოდ. ტყვეობაში გერმანულ ენას სწავლობდა, თავად კი ტყვე რუსებს ფრანგულს ასწავლიდა, მუშაობდა ბიბლიოთეკაში, კითხულობდა ლექციებს, რომლებიც მოგვიანებით საფუძვლად დაედო მის წიგნს „განხეთქილება მტრის ბუნაგში“. ომმა და ტყვეობამ გამოაწრთო საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი. ტყვეობა მისთვის უნივერსიტეტად იქცა, სადაც მან ფიქრი და აზროვნება ისწავლა. ყურადღება იმ პრობლემების გადაჭრაზე გაამახვილა, რომლებიც მომავალში მისი კარიერის არსი შეიქნა. აქვე ჩამოუყალიბდა მას უფრო მტკიცე ხასიათი, იგი დამოუკიდებელი გახდა.

1918 წლის დეკემბრის დასაწყისში ტყვეობიდან გათავისუფლებული შარლი შინ დაბრუნდა. დიდი ოჯახი მის დასახვედრად შეიკრიბა. მართლაც სასწაული მოხდა, — დე გოლების ვაჟებიდან ოთხი

კოლონიაში ცხოვრება უფერულად მიდიოდა. დე გოლი უმაღლეს სამხედრო სკოლაში წაკითხულ ლექციებზე მუშაობას აგრძელებდა, რათა მათთვის გამოსაქვეყნებელი სახე მიეცა.



იბრძოდა ომში და ოთხივე ცოცხალი დაბრუნდა...

შარლის მდგომარეობა ომის შემდგომ გაურკვეველიი იყო. მან ხომ ომის დიდი ნაწილი ტყვეობაში გაატარა. დამსახურებათა ნუსხაში მითითებული იყო სიმამაცე, მაგრამ მნიშვნელოვანი სამხედრო დამსახურება არ ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა, სამხედრო მოქმედებები არ შეწყვეტილა. რუსეთის დაშლილი იმპერია ორ ბანაკად – წითლებად და თეთრებად გაიყო. დასავლეთის სახელმწიფოები ხშირად ერეოდნენ ამ ომში. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციაში მონაწილეობდა საფრანგეთიც.

იდგა 1919 წელი. ფერფლიდან აღმდგარმა და ანტანტის მიერ აღიარებულმა პოლონეთმა ომი გამოუცხადა რუსეთიდან „მშრომელთა საშველად“ შეჭრილ წითლებს. საფრანგეთმა პოლონელებს მხარი დაუჭირა და ორი ათასი სამხედრო სპეციალისტი გაგზავნა მათ დასახმარებლად. კაპიტანმა დე გოლმაც დაწერა რაპორტი და პოლონეთში გაგზავნა მოითხოვა და 1919-1920 წლების პოლონეთ-საბჭოთა ომის მონაწილე გახდა.

პოლონეთ-საბჭოთა რუსეთის ომი ძირეულად განსხვავდებოდა შარლ დე გოლისათვის ჩვეული სანგრული ომისაგან. პოლონელების თავშეუკავებელ იერიშებს წითელი არმიის გამანადგურებელი კონტრშეტევა მოჰყვა, – უპირველეს ყოვლისა, პირველი ცხენოსანი არმიის მძლავრი ნახტომის წყალობით. და როცა პოლონეთის ბედი ბეწვზე ეკიდა, ვარშავისათვის ბრძოლის დროს წითლებს სამხრეთიდან ფლანგური დარტყმა გამორჩათ, რაც 70 ათას ტყვედ დაუჯდათ. ომში



საბჭოთა რუსეთი დამარცხდა, მაგრამ პოლონეთის ტერიტორიული ნადავლი იმაზე გაცილებით მცირე აღმოჩნდა, ვიდრე ამ კამპანიის ლონდონელი და პარიზელი დამგეგმავები ელოდნენ.

დე გოლმა ომში მიღებული გამოცდილების გაანალიზება და დასკვნის წერილობით ჩამოყალიბება გადაწყვიტა, თუმცა ეს მისთვის არავის დაუვალებია. საფიქრალი ბევრი რამ იყო: კაპიტანი მიხვდა, რომ მაღალი საცეცხლე კონცენტრაციის პირობებშიც კი შესაძლებელი იყო მანევრული ომის წარმოება. მისი აზრით, თანამედროვე ომში წარმატების საიდუმლო ორ ფაქტორში მდგომარეობდა: მოძრავ საარტილერიო ცეცხლში, შეტევის დროს მობილურობასა და ჯარების მაღალ საბრძოლო სულისკვეთებაში. გარდა ამისა, დე გოლი მიხვდა, რომ მომავალი ტანკებს ეკუთვნოდა.

## პეტენის რჩეული

1920 წლის ნოემბერში დე გოლი ივონ ვენდროზე დაინიშნა, ხოლო 1921 წლის 7 აპრილს პოლონეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯვარი დაიწერეს. დე გოლი არც სამხედრო კარიერას ივიწყებდა. საფრანგეთის არმიაში მშვიდობიანობის დროს სამსახურებრივი წინსვლის ორი გზა არსებობდა: კოლონიურ ჯარებში მივლინება, სადაც ბრძოლები იყო მოსალოდნელი, ან საშტაბო თანამდებობის დაკავება. კაპიტანმა უკანასკნელი აირჩია. ახლა საჭირო იყო, თავი გამოეჩინა როგორც თეორეტიკოსს და წარმატებით დაემთავრებინა უმაღლესი სამხედრო სკოლა – საფრანგეთის საშტაბო კოლეჯი.

დე გოლმა სან-სირის კოლეჯის ისტორიის მასწავლებლის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. ეს თანამდებობა როგორც სწავლას, ასევე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც გულისხმობდა. კაპიტანს ორატორული ხელოვნების დახვეწის კარგი შესაძლებლობა მიეცა. მისი ლექციები ოფიცერკურსანტებს სამხედრო ისტორიას უცოცხლებდა. ერთდროულად სწავლა და სან-სირის კოლეჯში მუშაობა მისთვის ხელსაყრელი იყო, შეეძლო ეცხოვრა ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად პარიზში, გაეჩინა კარგი ნაცნობები და აღედგინა მივიწყებული კავშირები.

დე გოლის მომავალი ბევრად განსაზღვრა ძველ მეთაურთან, ახლა კი საფრანგეთის გმირ მარშალ პეტენთან ურთიერთობის განახლებამ.

როგორც დე გოლის ზოგიერთი ბიოგრაფი ამბობს, სწორედ პეტენის დახმარებით ჩააბარა მან გამოცდები 1922 წელს უმაღლეს სამხედრო სკოლაში. რა თქმა უნდა, ჰყავდა მოშურნენიც. კოლეგებმა მას პეტენის „სადღეღე კვიცი“ დაარქვეს. შური კიდევ უფრო მოეძალათ, როცა გაირკვა, რომ კაპიტანმა გაცილებით მეტი იცოდა სამხედრო ისტორიისა, ვიდრე ზოგიერთმა მისმა მასწავლებელმა.

სწორედ ტოლ-ამხანაგების შურმა წარმოშვა მასში ის ქედმაღლობა-მედიდურობა, შეიძლება ითქვას, ყოყოჩობაც, რომელიც მომავალი გენერლის რთული ხასიათის ერთ-ერთი თვალში საცემი თვისება გახდა.

თანამშრომლების თქმით, კაპიტანს არ სურდა სხვისი აზრის გაგონებაც კი, ზემოდან უყურებდა მასწავლებელთა უმრავლესობას, „წინ ისე მიიწევდა, თითქოს საკუთარი ძეგლი მიაქვსო“.

გასაკვირი არაა, რომ უჯიათი კურსანტი, რომელიც პედაგოგებსაც კი სჯობნიდა, არასასურველ პიროვნებად ჩაეთვალათ და როცა სწავლის დამთავრების შემდეგ საქმე მისი ცოდნის შეფასებაზე მიდგა, საგამოცდო კომისიამ დასაჯა, – და საშუალოთა კატეგორიას მიაკუთვნეს. ამ შეფასებამ გავლენა მოახდინა დე გოლის კარიერაზე. კოლეჯში მასწავლებლად დანიშვნის ნაცვლად, არმიის შტაბის სამხარეულო მოწყობილობებისა და გაყინული პროდუქტების საწყობების გამგებლად გაამწესეს.

როცა მარშალმა პეტენმა თავისი საუკეთესო მოწაფის დაჩაგვრის ამბავი გაიგო, პირად შეურაცხყოფად მიიღო და დე გოლი 1925 წელს თავის შტაბში გადაიყვანა. მას მომავლის ომების საომარი საკითხების (გრძელვადიანი პერსპექტივით) შესწავლა და სამხედრო ფილოსოფიის საერთო პრობლემების განხილვა დაავალეს. მალე დე გოლი თანამდებობრივად და წოდებრივადაც დააწინაურეს, – ბატალიონის მეთაური გახდა. 1927 წლის დეკემბერში ალპურ მსროლელთა მე-19 ბატალიონის ახალგამომცხვარი მეთაური გერმანიაში, ტრირში გაემგზავრა, რადგან ვერსალის საზავო ხელშეკრულების თანახმად რაინის დასავლეთი ნაპირი საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებს ექვემდებარებოდა. მეთაური დაუყოვნებლივ შეუდგა ბატალიონის წვრთნას და მკაცრი დისციპლინა დაამყარა. ამავე დროს ზრუნავდა თითოეულ ჯარისკაცზე. სამგიეროდ, ზემდგომთა ბრძანებებს უხალისოდ ასრულებდა, – ეძნელებოდა მათი რჩევადარიგებების მოსმენა.

დე გოლი პეტენის შტაბში აღარ დაბრუნებულა. ტრირში სამსახურის დამთავრების შემდეგ, 1929 წელს, ლევანტეში საფრანგეთის ჯარების სარდლობის შტაბში დაინიშნა. ლევანტეს იმ დროს უწოდებდნენ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიებს, რომლებიც გალების მმართველობაში შედიოდნენ. ფრანგული ლევანტე შედგებოდა დღევანდელი ლიბანისა და სირიისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონიაში ცხოვრება უფერულად მიდიოდა. დე გოლიც არ იწუხებდა თავს შტაბში მუშაობით. იგი უმაღლეს სამხედრო სკოლაში წაკითხულ ლექციებზე მუშაობას აგრძელებდა, რათა მათთვის გამოსაქვეყნებელი სახე მიეცა.

1931 წელს მაიორ დე გოლის ორწლიან სამსახურს ლევანტეში ვადა გაუვიდა და ეროვნული თავდაცვის სამდივნოში გადაიყვანეს. ეს ორგანო საგანგებოდ შეიქმნა, რათა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ომისათვის მზადყოფნა გაეკონტროლებინა. აქ შარლ დე გოლს საკმაოდ ინტელექტუალური სამუშაო ელოდა, რომელსაც სიამოვნებით მიჰყო ხელი. მან გააანალიზა საფრანგეთის ძალების მდგომარეობა ლევანტეში, დაწერა მოზრდილი სტატია სამობილიზაციო სამუშაოების ეკონომიკურ ასპექტებზე და შექმნა დიდი სადისკუსიო დოკუმენტი ეროვნული თავდაცვის გეგმის შესახებ.

მომავალი პრეზიდენტი სამუშაომ გაიტაცა, მაგრამ მოულოდნელად დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, — შეტევითი მოქმედებების კონცეფცია, რომელსაც ემხრობოდა, გააკრიტიკა იმ დროის ყველა ფრანგმა მაღალჩინოსანმა სამხედრომ, მათ შორის პეტენმაც, ყველა მათგანი სტატიკური თავდაცვისაკენ იხრებოდა და მრავალწლიანი თავდაცვითი საველე ხაზების მშენებლობას უჭერდა მხარს. ასე შეიქმნა მეორე მსოფლიო ომში გამოუსადეგრობით სახელგანთქმული „მაჟინოს ხაზი“, რომელიც საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზეა გადაჭიმული. სწორედ თავდაცვითი დოქტრინის მიმდევრების წინააღმდეგ იმაღლებდა ხმას დე გოლი ომის წინა წლებში. ახლა, როცა მაიორი ოფიციალურად მიუღებელი იყო, მას შეეძლო ნაკლებთავშეკავებული ყოფილიყო მარშალ პეტენის თავდაცვითი დოქტრინის მიმართ, მაგრამ ამისთვის უამრავი ფაქტი უნდა შეესწავლა, ცნობები მოეპოვებინა, რომლებიც დაადასტურებდნენ მისი თვალთახედვის ჭეშმარიტებას.

სამდივნოში ხანგრძლივი სამსახურის განმავლობაში, 1931 წლის სექტემბრიდან 1937 წლის ივლისამდე, მაიორი დე გოლი სწავლობდა ომის დაწყების შემთხვევაში მოქმედების ყველა გეგმას, სწავლობდა ზურგიდან უზრუნველყოფის პრობლემებს, ეროვნული მობილიზაციასა და მომავალი კონფლიქტის მხარეების შეიარაღებული ძალების ურთიერთთანაფარდობას. ეს სამუშაო ფასდაუდებელი იყო საფრანგეთში ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის მომავალი ლიდერის ხელში. ამავე დროს იგი ყურადღებას აქცევდა და სწავლობდა ალტერნატიულ კონცეფციებს, რომელთა მომხრეებიც უპირატესობას ანიჭებდნენ თანამედროვე ომებში ტანკების ინტენსიურ გამოყენებას აქტიური შეტევითი მოქმედებებისათვის.

1934 წელს დე გოლმა პოდპოლკოვნიკის ჩინი მიიღო, ორი წლის შემდეგ კი — პოლკოვნიკისა. 1937 წლის ნოემბერში შარლი ეროვნული თავდაცვის სამდივნოდან წავიდა და ქალაქ მეცში დისლოცირებული 507-ე სატანკო პოლკის მეთაურად დაინიშნა. ასე რომ, პოლკოვნიკი თეორეტიკოსი „ქაღალდის“ ტანკებიდან, როგორც იქნა, ნამდვილ ტანკებს დაუბრუნდა.

1939 წლის 1-ელ სექტემბერს (მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი) გერმანიის ჯარები პოლონეთში შეიჭრნენ, სამი დღის შემდეგ კი 3 სექტემბერს, ომში ჩაერთნენ პოლონეთთან სამხედრო კავშირით გაერთიანებული დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, თუმცა მათი გაერთიანებული ჯარები გერმანიისკენ არ დაძრულან, მიუხედავად იმისა, რომ მესამე რაიხს მათ წინააღმდეგ ერთი დაუკომპლექტებელი, ცუდად შეიარაღებული არმია ჰყავდა „მაჟინოს ხაზის“ დასავლეთ საზღვართან. აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყების ნაცვლად, მოკავშირეთა პოლიტიკოს-ხელისუფალნი, გულზე ხელდაკრეფილნი ისხდნენ და ელოდნენ, როდის დაამთავრებდნენ გერმანელები პოლონეთის დაპყრობას და აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის გასანადგურებლად დაიძვრებოდა. პოლკოვნიკი დე გოლი ომში, მე-4 ჯავშანსატანკო დივიზიის მეთაურის რანგით ჩაება. მართალია, თავად დივიზია არ არსებობდა, მხოლოდ ფორმირების სტადიაში იყო, მაგრამ დე გოლმა 17 მაისს კონტრშეტევის დაწყების ბრძანება მიიღო, რათა სარეზერვო არმიის ნაწილებს პოზიციებზე გამაგრების საშუალება მისცემოდათ. დე



დე გოლის მიმართვა ფრანგი ერისათვის მხოლოდ ოთხ წუთს გაგრძელდა, მაგრამ მისთვის გენერალი რამდენიმე დღის განმავლობაში ემზადებოდა.

გოლის ტანკისტებს, სამწუხაროდ, არაფერი გამოუვიდათ, გარდა იმისა, რომ გერმანელებს დაუმტკიცეს, — არსებობენ ფრანგებიც, რომლებსაც ბრძოლა სწყურიათ. მე-4 ჯავშანსატანკო დივიზიამ, ფაქტობრივად, ბრძოლაში ჩაბმაც კი ვერ მოასწრო, 90 ტანკიდან 23 ისე დაკარგა, რომ მოწინააღმდეგის ერთი ტანკის დაზიანებაც ვერ მოახერხა.

დე გოლმა სასწრაფოდ დაიხია უკან და ორი დღის შემდეგ კვლავ კონტრშეტევაზე გადავიდა, მაგრამ ისევ ძლივს გადაურჩა მოწინააღმდეგეს. გენერალმა გუდერიანმა, რომლის წინალმდეგაც იბრძოდა პოლკოვნიკი დე გოლი, ამჯერად უფრო უკეთესად დაგეგმა თავდაცვა და ფრანგე-



დე გოლის მეთაურობით ფრანგებმა რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ ძირითადად ყველა უშედეგოდ... ფრანგული ტანკი „მაჟინოს ზოლს“ გერმანიის მიმართულებით კვეთს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ტანკსაწინაღო არტილერიისა და საიერიშო ავიაციის ცეცხლში შეიტყუა. მიუხედავად ამ ბრძოლაში განცდილი მარცხისა, დე გოლს ბრიგადის გენერლის წოდება მიანიჭეს. ფრანგები ჯიუტად აგრძელებდნენ კონტრშეტევებს. ერთ-ერთი მათგანი აბევილთან შედარებით წარმატებული გამოდგა, ფრანგებმა ფრონტის ხაზის შვიდკილომეტრიანი მონაკვეთი დაიკავეს და ტყვედ ჩაიგდეს 250 გერმანელი, სამაგიეროდ 24 ტანკი დაკარგეს...

მართალია, ამ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობა საკამათო იყო, მაგრამ ფასი იმიტომ დაედო, რომ თითქმის ერთადერთი წარმატებული ოპერაცია აღმოჩნდა მთელ ფრანგულ შეიარაღებულ ძალებში.

თავად დე გოლი, გასკონელებივით ტრაბახობდა და ბრძოლას ლამაზი ფერებით ხატავდა.

ცნობილი არ არის, ამგვარმა მოჩვენებითმა ოპტიმიზმმა თუ გენერლის სხვა დადებითმა თვისებებმა უბიძგა პრემიერ-მინისტრ პოლ რეინოს მისთვის სამხედრო მინისტრის მოადგილის პოსტი შეეთავაზებინა. ამით დამთავრდა გენერალ დე გოლის სამხედრო კარიერა, — იგი უკვე პოლიტიკოსი იყო.

რეინომ მას ბრიტანელებთან მოლაპარაკებების კონტროლი და მათთან ერთად მესამე რაიხის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის სტრატეგიის დამუშავება დაავალა.

9 ივნისს დე გოლი ლონდონს გაფრინდა უინსტონ ჩერჩილთან შესახვედრად. მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა: იტალია გერმანიის მოკავშირედ ჩაება ომში. ფრანგი გენერლის თხოვნას, ბრიტანული ავიაცია უფრო მეტად დახმარებოდა ფრანგებს, პრემიერ-მინისტრმა დადებითად უპასუხა, მაგრამ რეალური დახმარება ფრანგებს არ მიუღიათ, სამაგიეროდ, ორი დიდი პოლიტიკოსის პირველი შეხვედრა ორმხრივი სიმპათიით დამთავრდა.

გერმანელები უკვე პარიზში შესვლას აპირებდნენ. ხელისუფლება ტურში გადავიდა, სადაც 11 ივნისს ბრიტანელი გენერლების თანხლებით ჩავიდა ჩერჩილი, რათა წინააღმდეგობის გეგმა შეეთანხმებინა ფრანგებთან. ამ შეხვედრას დე გოლიც ესწრებოდა. მან ფრანგული და ბრიტანული ჯავშანსატანკო ძალების გაერთიანების იდეა წამოაყენა. გენერლის აზრით, ფრანგული მძიმე ტანკების ბრიტანულ მსუბუქ ტანკებთან გაერთიანება „უფრო მეტ ეფექტიანობას უზრუნველყოფდა“. ამ გეგმამ ბრიტანელებზე შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით მოკავშირეთა მთავარსარდლის, მარშალ ვეიგანის განცხადების ფონზე, რომ მათ არ ჰყავდათ რეზერვი.

მეორე დღეს ფრანგებმა სეპარატისტული ზავის მოთხოვნის აუცილებლობა დაინახეს. ჩერჩილი მიხვდა, რომ გალიის ძალები იწურებოდა და დათრგუნვილი ინგლისში დაბრუნდა. ამასთან, დე გოლმა არაფერი იცოდა მოკავშირეთა განზრახვის შესახებ. მხოლოდ 13 ივნისს აუწყა რეინომ მას საფრანგეთის კრახის ამბავი. დე გოლმა მაშინვე გადაწყვიტა გადადგომა, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟორჟ მენდელმა გადაათქმევინა. მენდელმა განუმარტა მას, რომ მეორე მსოფლიო ომი ის-ის იყო იწყებოდა და დე გოლს, რომლის სახელიც კოლაბორაციული პოლიტიკით არ იყო შებღალული, მთავარი როლის შესრულების კარგი შანსი ჰქონდა. დე გოლმა ბრძოლის გაგრძელება გადაწყვიტა. რამდენიმე ხნის შემდეგ გენერალი მომაკვდავ დედას გამოემშვიდობა და ინგლისში, პლიმუთში გადაბარგდა.


1940 წლის 17 ივნისს დე გოლი ისევ შეხვდა ჩერჩილს. საფრანგეთი, ომიდან გამოვიდა. დარჩა მხოლოდ ერთი მაღალი, გამხდარი, მოუხეშავი ორვარსკვლავიანი გენერალი, რომელიც არ ცნობდა დამარცხებას. სწორედ ეს მოეწონა მასში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს.

1940 წლის 17 ივნისს დე გოლი ისევ შეხვდა ჩერჩილს. ბრიტანეთი ევროპის კონტინენტზე იმ დროს მარტოდმარტო იყო დარჩენილი. საფრანგეთი, ომიდან გამოვიდა. დარჩა მხოლოდ ერთი მაღალი, გამხდარი, მოუხეშავი ორვარსკვლავიანი გენერალი, რომელიც არ ცნობდა დამარცხებას. სწორედ ეს მოეწონა მასში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს.

ინგლისში გადაბარგებულ დე გოლს ყველა თანამდებობა და სამხედრო წოდება ჩამოერთვა და თითქმის მოღალატედ იქცა. ოფიციალურად მას თანამდებობები და წოდებები 1940 წლის 18 ივნისს ჩამოერთვა, მას შემდეგ, რაც რადიო „ბი-ბი-სის“ ეთერში სიტყვით გამოვიდა. ოდნავ ადრე მარშალმა პეტენმა თავის რადიომიმართვაში ფრანგ ერს განუცხადა: „უდიდესი გულისტკივილით მოგმართავთ თქვენ დღეს, — აუცილებელია ბრძოლის შეწყვეტა“.

დე გოლის მიმართვა ფრანგი ერისათვის მხოლოდ ოთხ წუთს გაგრძელდა, მაგრამ მისთვის გენერალი რამდენიმე დღის განმავლობაში ემზადებოდა.

ბრიტანელებს საფრანგეთის ახალ მთავრობასთან მოლაპარაკების იმედი არ დაუკარგავთ. უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდათ საფრანგეთის ფლოტის ბედი, თუკი იგი გერმანელების მფლობელობაში გადავიდოდა, ინგლისს დიდი საშიშროება ელოდა. ამიტომ გენერალს თავისი გამოსვლით მიზნისთვისაც უნდა მიეღწია და არც საფრანგეთ-ბრიტანეთის მოლაპარაკებები ჩაეშალა. იეზუიტურმა ჩვევებმა არც ამ დროს უღალატა მეამბოხე პოლიტიკოსს და მან ისე, რომ კანონი არ დაურღვევია, შექმნა დაუმორჩილებლობისკენ მოწოდების შთაბეჭდილება. მის მეორე რადიომიმართვაში, რომელიც ერთი დღის შემდეგ ჩერჩილის ინიციატივით შედგა, ინგლისელების მოულოდნელად მეამბოხე გენერალმა პირდაპირ მოუწოდა: „ყველა ფრანგის, რომლებიც ჯერ კიდევ შეიარაღებული არიან, საყოველთაო ვალია გააგრძელონ წინააღმდეგობა. იარაღის დაყრა და ფრანგული ტერიტორიების მტრისათვის ჩაბარება ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულია“. სიტყვის დასასრულს გენერალმა საფრანგეთის არმიის სარდლობას მოუწოდა, არ შეესრულებინათ მოწინააღმდეგის ბრძანებები.

1940 წლის 28 ივნისს ლონდონში გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: მისი უდიდებულესობის ხელისუფლება გენერალ დე გოლს მიიჩნევს ყველა თავისუფალი ფრანგის (სადაც უნდა იმყოფებოდნენ) მეთაურად და გამოთქვამს მასთან გაერთიანების თანხმობას მოკავშირეთა საქმისთვის ბრძოლისათვის.

ასე შეიქმნა ორგანიზაცია „თავისუფალი საფრანგეთი“.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კართაგენის ფლოტი

დაახლოებით 2300 წლის წინ კართაგენის პორტი ალბათ ასე გამოიყურებოდა



**ტუნისის ყურის ნაპირზე დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 825 წელს ტვიროსელ ფინიკიელთა სავაჭრო კოლონიის ადგილზე ქალაქი-სახელმწიფო კართაგენი წარმოიშვა. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ კართაგენს ხმელთაშუა ზღვის რეგიონში დაწინაურებისა და ძლიერ მონათმფლობელურ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის კარგი პირობები შეუქმნა.**

როგორც სავაჭრო ქვეყანა კართაგენი უპირველესად გავლენის სფეროს, სავაჭრო კავშირებისა და ტერიტორიების გაფართოებით იყო დაინტერესებული, რაც კარგად მომზადებულ არმიასთან ერთად მრავალრიცხოვან და ძლიერ ფლოტს საჭიროებდა.

ფლოტის დახმარებით კართაგენის არმიამ წარმატებული სამხედრო ექსპედიციები ჩაატარა და თანმიმდევრულად დაიკავა სიცილია, სარდინია, კორსიკა და ბალეარის კუნძულები, შეიჭრა იბერიის ნახევარკუნძულზე.

კართაგენელი ზღვაოსნები ატლანტის ოკეანეში გადიოდნენ და დასავლეთ ევროპისაკენ მიცურავდნენ. აითვისეს დასავლეთ აფრიკის სანაპირო ახლანდელ სენეგალამდე, სადაც რამდენიმე კოლონია-ფაქტორია დაარსდა. ასეთი დასაყრდენი პუნქტების შექმნა კოლონიზაციის პროცესის გაფართოებას ხელს უწყობდა და ეხმარებოდა.

დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებისათვის ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილი მასზე გამავალი სავაჭრო გზებით კართაგენის ჰეგემონიის ქვეშ მოექცა.

მართალია, კართაგენი საზღვაო ქვეყანა იყო და ძლიერი ფლოტი ჰყავდა, მაგრამ ხომალდები ფინიკიელი ოსტატებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციებისა და დროთა განმავლობაში ბერძნულ-ელინური სახომალდო არქიტექტურის ელემენტების გამოყენებით იგებოდა. თუმცა იყო თავისებურებებიც: კიჩოზე გრძელი მორიელის კუდის მსგავსი დაბოლოება, კორპუსის უხეში გარემოხაზულობა, ფალშბორტზე გამოკიდებული ფარები, რქისმაგვარი უბრალო ტარანი და ა.შ.

კართაგენელი გემთმშენებლები დიდ საბრძოლო და მომცრო, დამხმარე დანიშნულების ხომალდებსა და სავაჭრო-სატვირთო გემებს აგებდნენ.

დიდ საბრძოლო ხომალდთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ტრირემა, ტეტრერა, პენტერა, ჰექსერა და ა.შ. ხომალდებს ერთმანეთისაგან მენიჩბეთა განლაგების სქემა და მათი რაოდენობა განასხვავებდა. საბრძოლო ხომალდების ძირითადი და აუცილებელი საბრძოლო ატრიბუტი კვლავინდებურად ტარანი იყო.

პუნიკურ ომებში ყველაზე მეტად პენტერას იყენებდნენ. ხომალდი სწრაფად იგებოდა, სამართავად იოლი იყო და კარგი საზღვაოსნო თვისებები ახასიათებდა.

პენტერაზე მენიჩბეთა განლაგება კვლავინდებურად გაურკვეველია. ერთი მოსაზრებით, მენიჩბეები ცხვირის ნაწილში ორ, ხოლო კიჩოზე კი სამ იარუსად ისხდნენ და ერთ ნიჩაბს ერთი კაცი ემსახურებოდა.

ტექნოლოგიურად ასეთი ხომალდის აგება რთულია და თან დიდ დროსაც მოითხოვს. არანაკლებ სიძნელეებს მენიჩბეთა მომზადება და მათი მუშაობის შეთანწყობა შექმნიდა.

სპეციალისტებს უფრო მართებულად მენიჩბეთა ერთ იარუსზე განლაგება მიაჩნიათ, სადაც თითოეულ ნიჩაბს ერთის მაგივრად ხუთი კაცი ამუშავებდა.

მენიჩბეთა რიგის გაზრდა კორპუსის კონსტრუქციის გაგანიერებას გამოიწვევდა, რაც წყლის ზედაპირზე ხომალდის მდგრადობას გააუმჯობესებდა.

ხომალდები მაშინ სწრაფად იგებოდა და მარტივ ტექნოლოგიასთან ერთად ცალკეული დეტალის ზომების დაცვით მასობრივ წარმოებას მოითხოვდა. იმდროინდელი ოსტატები დადგენილი სტანდარტებითაც კი სარგებლობდნენ და თითოეული თავის პასუხისმგებლობას ნამზადზე დამღით გამოხატავდა. მოქმედებდა ერთგვარი კონვეიერი, რომლის შესაძლებლობები საკმაოდ მაღალი იყო. რომაელი სწავლული პლინიუს უფროსი წერს, რომ კონსულ დუილიოს 220 ხომალდი 45-60 დღეში აიგო.

განიერკორპუსიან პენტერას თითოეული ბორტის თხუთმეტ-თხუთმეტ ნიჩაბთან სამოცდათხუთმეტ-სამოცდათხუთმეტი მენიჩბე იჯდა. ამგვარ სქემაში ერთი გამოცდილი მენიჩბე დანარჩენებისათვის განკარგულებების მისაცემად უკვე საკმარისი იყო. მენიჩბეთა რაოდენობის გაზრდამ მენიჩბეების ვახტებად დაყოფისა და ხომალდისათვის მუდმივად ერთი სიჩქარის შენარჩუნების პირობები შექმნა. საბრძოლო ხომალდები ბრძოლაში მაქსიმალური 7-8 კვანძით, ხოლო გრძელ მანძილებზე სალაშქრო 4-5 კვანძით დაცურავდნენ.

საბრძოლო ხომალდს 25-კაციანი ეკიპაჟი ემსახურებოდა, ხოლო აბორდა-



კართაგენელთა საბრძოლო ხომალდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟული ბრძოლისათვის ბორტზე საზღვაო ქვეითთა რამდენიმე ათეულკაციანი რაზმი იმყოფებოდა.

კართაგენელთა საბრძოლო ხომალდების ტექნიკური პარამეტრები უცნობია, მაგრამ ზომებში რომაელთა ხომალდებთან, ალბათ, დიდი განსხვავება არ იქნებოდა. 1971 წელს ლილიბეუმის ჩრდილოეთით, თავთხელში ორი კართაგენული ხომალდის ნარჩენები აღმოჩნდა, რომლებიც პირველი პუნიკური ომის პერიოდით დათარიღდა. ერთ-ერთის სიგრძე დაახლოებით 35, სიგანე კი 5 მეტრი იყო, რაც იმ ხანის ხომალდისათვის ცოტა არ არის.

არსებობს პენტერას რეკონსტრუქციის კიდევ ერთი ვარიანტი, სადაც მენიჩბეები სამ იარუსად ისხდნენ, ოღონდ ტრირემასაგან განსხვავებით ყველაზე ქვედა იარუსის ნიჩაბზე ერთი, ხოლო მომდევნოებზე კი ორ-ორი მენიჩბე იყო გამოყოფილი. ამ შემთხვევაში მენიჩბეთა რაოდენობა 280-მდე მატულობდა.

პენტერაზე დიდი ხომალდი ჰექსერა იყო, თუმცა უცნობია, ის ექვსიარუსიანი ხომალდი იყო, სადაც ერთი ნიჩბის მოსმა ერთ კაცს უხდებოდა თუ სამიარუსიანი ხომალდი, თითოეულ ნიჩაბზე ორ-ორი მენიჩბით. ნაკლებგავრცელებული ჰექსერა, როგორც წესი, საფლაგმანო ხომალდის მოვალეობას ასრულებდა.

ფლოტის საჭიროება მოითხოვდა მზვერავი, მეკავშირე, საგუშაგო და დამხმარე დანიშნულების მომცრო ზომის სხვა ხომალდებს. ამ მოვალეობას ასრულებდა ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებული ისეთი კონსტრუქციის ხომალდები, როგორიც იყო მიოპარა, კერკურა, ლონგი, ლიბურნა და ა.შ. ზოგიერთს სისწრაფისა და მანევრულობის გამო მეკობრეებიც კი იყენებდნენ.

კართაგენელთა პატარა ზომის, ბრტყელძირა და მარტივი კონსტრუქციის სავაჭრო გემებს დაბალი წყალჯდომი თავთხელში ცურვისა და ნებისმიერი სახის ნაპირთან ახლოს მისვლის საშუალებას აძლევდა.

ომის დროს სავაჭრო გემები არმიის გადასაყვანად გამოიყენებოდა და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ზღვით საბრძოლო სპილოების ტრანსპორტირებაც კი ხერხდებოდა.

მრავალრიცხოვანი სავაჭრო ფლოტი არმიის დიდ მანძილზე სწრაფი, უსაფრთხო გადაყვანისა და მოწინააღმდეგის ზურგში მოულოდნელი დესანტირების საშუალებას იძლეოდა. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 480 წელს ჩატარდა, როცა 3000-მა სატრანსპორტო გემმა 200 საბრძოლო ხომალდის თანხლებით არმია სიცილიაში გადაიყვანა.

კართაგენის არმია მთლიანად მოკავშირე და ვასალი ქვეყნების დაქირავებული ლიბიელი, ნუმიდიელი, ბერძენი, გალელი თუ ესპანელი მეომრებისაგან შედგებოდა.

ხომალდებზე მეზღვაურებად და საზღვაო ქვეითებად ასევე დაქირავებულნი მსახურობდნენ. ყველაზე მეტ სირთულეს მენიჩბეთა შეგროვება ქმნიდა, არადა, ბრძოლაში ხომალდის ბედი მათზე ბევრად იყო დამოკიდებული. მენიჩბეთა დიდ ნაწილს მონები შეადგენდნენ და ერთგული სამსახურისათვის, ალბათ, რაღაც შეღავათებიც ჰქონდათ, მაგალითად, მონობიდან ათავისუფლებდნენ.

საბრძოლო ხელოვნება თემისტოკლეს შექმნილი ტაქტიკისაგან დიდად არ განსხვავდებოდა და რიცხობრივი უპირატესობის შემთხვევაში კართაგენელები მოწინააღმდეგის ფლოტის დანაწევრებასა და შემდეგ ცალ-ცალკე განადგურებას ცდილობდნენ. ბრძოლაში მთავარ იარაღად ისევ ტარანი რჩებოდა, მაგრამ მისი გამოყენება თუ არ ხერხდებოდა, მაშინ მოწინააღმდეგის ხომალდებს ნიჩბებს ულეწავდნენ, მანევრირების საშუალებას უსპობდნენ და აბორდაჟულ შეტაკებებზე გადადიოდნენ.

იმ დროისათვის კართაგენი უდიდესი და უძლიერესი, კარგად დაცულ-გამაგრებული საზღვაო ციხესიმაგრე იყო. სავაჭრო ნავსადგურს ზღვიდან ოცმეტრიანი შესასვლელი გამოჰყოფდა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჯაჭვებით იკეტებოდა.

სავაჭრო ნავსადგურის უკან სამხედრო პორტი მდებარეობდა, შუაში კუნძულით, სადაც ფლოტის სარდლის ბანაკი იყო განთავსებული. კუნძულის გასწვრივ სივრცე და თვით პორტის ტერიტორიის დიდი ნაწილი სახომალდო ფარდულებსა და საწყობებს ეკავა. სამხედრო პორტი მრავალრიცხოვანი ფლოტის ნაწილს, დაახლოებით 200-მდე ხომალდს იტევდა, ხოლო დანარჩენების ბაზირებისათვის სიცილიის პორტები გამოიყენებოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ხმელთაშუა ზღვაში კართაგენს რომის რესპუბლიკა დაუპირისპირდა და დაიწყო ომების ეპოქა, რომელიც ისტორიაში პუნიკური ომების სახელწოდებით არის ცნობილი. ზღვაზე პირველობისათვის ბრძოლამ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 264-146 წლები მოიცვა და კართაგენის დამარცხებით დასრულდა.

პირველი პუნიკური ომის დასაწყისში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 264 წელს, რომს ფლოტი საერთოდ არ ჰყავდა და ის უშუალოდ ომის დროს შეიქმნა.

ძლიერების ზენიტში მყოფი კართაგენი რომაელთა მოუქნელ ხომალდებს გამოუცდელი გუნდებით არაფრად თვლიდა. მოწინააღმდეგის ძალის შეუფასებლობამ მძიმე შედეგები ძალიან მალე, პირველსავე საზღვაო ბრძოლაში მოიტანა, როცა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 260 წელს,



ანტიკური ხანის საზღვაო ომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილეს კონცხთან, კართაგენელთა 140-ხომალდიანი ესკადრა ჰანიბალის სარდლობით რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს.

თვითდაჯერებულმა ჰანიბალმა ზედმეტად ჩათვალა ესკადრის წინ მზვერავი ხომალდების გაგზავნა, ხოლო მთავარი ძალები იმდენად უწესრიგოდ მიცურავდნენ, რომ 30-მა ხომალდმა დანარჩენები საკმაო მანძილით ჩამოიტოვა და მოწინააღმდეგის პირისპირ აღმოჩნდა.

რომაელებმა კართაგენელთა ხომალდებს ტარანის გამოყენების საშუალება არ მისცეს და სააბორდაჟო ხიდებით აბორდაჟზე აიყვანეს. ხელჩართულ ბრძოლაში რომაელმა ლეგიონერებმა მოწინააღმდეგის საზღვაო ქვეითები დაჯაბნეს და ოცდაათივე ხომალდი გაანადგურეს.

ჰანიბალმა თავის გადარჩენა კანჯოთი ძლივს მოახერხა და ჩამორჩენილი ხომალდებით ახალი შეტევის წამოწყებას შეეცადა, მაგრამ რომაელებმა მოწინააღმდეგე უკუაგდეს. კართაგენის ფლოტს 50 ხომალდი გამოაკლდა, 3 ათასი კაცი დაიღუპა და 7000 ტყვედ ჩავარდა.

ტარანული ბრძოლისათვის მომზადებულმა კართაგენელთა გუნდებმა რომაელთა აბორდაჟულ შეტევებს ვერაფერი დაუპირისპირეს.

პირველ პუნიკურ ომში გამორჩეული ადგილი კონცხ ეკნომთან გამართულ ბრძოლას უკავია.

სახმელეთო ბრძოლებში მიღწეული გამარჯვებების შემდეგ რომში ომის აფრიკის ტერიტორიაზე, კართაგენის მახლობლად გადატანა და ამ მიზნით 4 ლეგიონის დესანტირება დაიგეგმა. მომზადდა 330 საბრძოლო ხომალდი და სატრანსპორტო გემი 15 ათასი ქვეითისა და 500 მხედრის გადასაყვანად.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 256 წელს აფრიკისაკენ მოცურავე რომაელებს სიცილიის სამხრეთ სანაპიროსთან კონცხ ეკნომთან კართაგენელთა ხომალდები ელოდნენ.

რომაელთა ესკადრას სოლისებურად დაწყობილი 80 საბრძოლო ხომალდისაგან შემდგარი ორი რაზმი მიუძღოდა. მთავარ ძალებს მესამე რაზმის 90 ხომალდი ბუქსირზე ჩაბმული სატრანსპორტო გემებითა და სადესანტო ჯარებით მოჰყვებოდა. ესკადრის ზურგს მეოთხე რაზმის 80 საბრძოლო ხომალდი ამაგრებდა.

კართაგენის ესკადრას ერთ-ერთი უნარიანი სარდალი, ჰამილკარ ბარკა მეთაურობდა. რომაელთა გეგმის ჩასაშლელად ბარკამ მთავარ მიზნად სატრანსპორტო გემებისა და სადესანტო ჯარების განადგურება დაისახა, რაც სწორი გადაწყვეტილება იყო.

ბარკას ესკადრა 350 ხომალდს ითვლიდა და ისიც ოთხ რაზმად იყო დაყოფილი. გეგმის მიხედვით, პირველი-მეორე რაზმი რომაელთა მთავარ ძალებს შეუტევდა და ბრძოლის ეპიცენტრს შექმნიდა, რითაც ისარგებლებდა მესამე რაზმი და მოწინააღმდეგის არიეგარდს შეაჩერებდა, ხოლო ბოლო, მეოთხე რაზმის სამიზნე კი სატრანსპორტო გემები უნდა გამხდარიყო.

ბრძოლის დასაწყისში კართაგენელებმა წარმატებას უფრო მანევრული ხომალდების ხარჯზე მიაღწიეს. რომაელებმა მედგარი წინააღმდეგობითა და სააბორდაჟო ხიდების საშუალებით ინიციატივა დაიბრუნეს, ხოლო მთავარი მიმართულებისკენ ჭარბი ძალების კონცენტრირებით კართაგენელებს გამარჯვების იმედი გადაუწურეს.

ბრძოლის ამ სახით განვითარებას ბარკა არ ელოდა და უკან დახევის ნიშანი მისცა, რაც ქაოსში გადაიზარდა. რომაელთა ესკადრა მოწინააღმდეგეს აღარ გამოედევნა, სადესანტო ძალებს მიუბრუნდა და საბრძოლო წყობის აღდგენის შემდეგ ცურვა დესანტირების ადგილისაკენ გააგრძელდა.

ბრძოლაში რომაელებმა 64 ხომალდი ტყვედ აიყვანეს და 30 ჩაძირეს. თავად კი 24 ხომალდი დაკარგეს.

მილეს ბრძოლის მსგავსად ამჯერადაც კართაგენის ფლოტი ერთფეროვნად მოქმედებდა. ტარანით დარტყმის შესრულება რთულ მანევრებსა და დროს მოითხოვდა, როცა სააბორდაჟო ხიდებით რომაელები ბევრად უფრო სწრაფად მოქმედებდნენ. ხელჩართულ შეტაკებებში კი რომაელი ლეგიონერები მომზადებით მოწინააღმდეგეზე ერთი თავით მაღლა იდგნენ.

კართაგენელთა საზღვაო გამოცდილება სრულად სიცილიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხესიმაგრე ლილიბეუმის დაცვის დროს გამოვლინდა.

ლილიბეუმი ხმელეთიდან საფორტიფიკაციო ნაგებობებით კარგად დაცული იყო, ხოლო ზღვიდან მისადგომად სანავიგაციო თვალსაზრისით რთული ფარვატერი ჰქონდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 251 წელს რომაელებმა ლილიბეუმი ხმელეთიდან ალყაში მოაქციეს, მაგრამ მალე საზღვაო მისასვლელების გადაკეტვის აუცილებლობაში დარწმუნდნენ. ფლოტი მოკლე დროში აიგო, მაგრამ უცნობი ფარვატერების ბლოკირებას რომაელი მეზღვაურები მაინც ვერ ახერხებდნენ.

კართაგენიდან ალყაში მოქცეული გარნიზონისა და მოსახლეობის დასახმარებლად ჰანიბალის მეთაურობით 50 ხომალდით 10 ათასი მეომარი გაიგზავ-




ნა. რომაელებისათვის მოულოდნელად და ზურგის ქარის ხელშეწყობით ესკადრამ ბლოკადა უბრძოლველად გაარღვია და ლილიბეუმის ნავსადგურში შევიდა.

ლილიბეუმის მისასვლელების გადაკეტვის საჭიროებამ რომაელები ბრანდერების შექმნამდე მიიყვანა. მომზადდა წყალთხელ ადგილებში ჩასაძირავად ქვებით დატვირთული 14 კერკურა, მაგრამ ძლიერმა დინებამ საჭირო ადგილზე დაძირვას ხელი შეუშალა.

მხოლოდ მესამე ცდაზე მოხერხდა ლილიბეუმის მისასვლელების ბრანდერებით გადაკეტვა, მაგრამ ბლოკადის გარღვევას კართაგენელთა ხომალდები მაინც ახერხებდნენ.

საზღვაო გზებით მიღებული დახმარებისა და გარნიზონის თავგანწირვით რომაელთა ალყა არნახულად დიდხანს, 9 წელიწადს გაგრძელდა.

კართაგენელთა ფლოტმა პირველმა შეძლო საზღვაო ბლოკადას ალყაშემორტყმული ზღვისპირა ციხესიმაგრისთვის დახმარების გაწევა და შემდგომში ეს ხერხი სხვადასხვა დროსა თუ ომში არაერთხელ იქნა გამოყენებული.

კართაგენმა მომძლავრებულ და უკეთესად ორგანიზებულ რომის არმიას ვერ გაუძლო და მესამე პუნიკური ომის დროს ქალაქი-სახელმწიფო რომაელთა ალყაში მოექცა. გარნიზონისა და მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, სამწლიანი ალყის შემდეგ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 146 წელს, კართაგენი დაეცა.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირობა რომ მარტო ცხოველის მოკვლა არ არის, ამას ყველა მონადირე ერთხმად აღიარებს. ეს კულტურაა ჯანსაღ ურთიერთობებსა და ტრადიციების სიყვარულზე დამყარებული. ვიღაცისთვის ნადირობა შეიძლება ჰობი იყოს, თემურ ტყემელაძისათვის კი პროფესიად ქცეულა. კლუბ „საფარის“ ხელმძღვანელს ძალიან დიდი მონადირული სტაჟი აქვს და კარგად აქვს ამ უძველესი პროფესიის ავ-კარგი შეთვისებული. გარდა საინტერესო ისტორიების მოსმენისა, ბევრ პრობლემაზე მოგვიწია საუბარმა მე და ჩემს რესპონდენტს; იმ პრობლემებზე, რომლებიც ძალიან მწვავედ დგას ამ საქმის წინაშე. თუმცა, სჯობია, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ და უშუალოდ ნადირობის ამბებიდან დავიწყოთ.



# „ჯიხვმა ხაფანგში შემიტყუა...“

## ნადირობის დაუწერელი კანონები

— **ბატონო თემურ, ცნობილია, რომ მონადირისათვის არსებობს დაუწერელი კანონები, დაგირღვევიათ ისინი ოდესმე?**

— ნამდვილი მონადირე კანონს იშვიათად არღვევს. თუ დაარღვია, ესე იგი ეს გარდაუვალია. დაუწერელი კანონია ის, რომ დედალს არ უნდა ესროლო, მაკეს ხომ არავითარ შემთხვევაში. დაჭრილი ნადირი არ უნდა გაუშვა. თუ დაჭერი, მოკალი და შეირგე. არ უნდა მოკლა იმაზე მეტი, რასაც ვერ წამოიღებ. კიდევ, მეგობრის გატანა, თოფის სწორად ხმარება, რომ შეცდომით ჩასაფრებული მეგობრისკენ არ მიმართო. საერთოდ, მონადირეები ყველაზე მშვიდობიანი ხალხი ვართ და იშვიათად მოგვდის მარცხი.

— **რა იარაღით ნადირობთ?**

— გააჩნია, რაზე ვნადირობ. ფრინველზე გლუვლულიანი თოფით, ჯიხვზე – კარაბინით. ჯიხვზე ყველაზე შორს მიმტანი თოფი გინდა, რადგან ახლოს არ გიშვებს. ასევე ვერ ინადირებ ჯიხვზე ძაღლით. შეიძლება ნადირი ერთ საღამოს დაჭრა და მეორე დილით მიხვიდე წამოსაღებად.

— **მიგნება არ გიჭირთ?**

— დაჭრილი ნადირის მიგნების სპეციალური, სხვადასხვა მეთოდი არსებობს. თუ თოვლია, სისხლის ნაკვალევს გაჰყვები. როგორ დადის, იმის მიხედვითაც შეიძლება მიხვდე, შორსაა წასული თუ ახლოს არის. ნახტომის მანძილის შემცირების გარდა, აკვირდები ფეხს მიათრევს ან წვება თუ არა. რელიეფის მიხედვითაც შეიძლება განსაზღვრო, – დაჭრილი ცხოველი ფერდობზე ვერ ავა, ქვემოთ დაეშვება.



„ნადირობას“ ჯიხვზე და დათვზე ნადირობას ვეძახი

## დათვზე ეშმაკი და სწრაფი ცხოველი იშვიათია

— **შეგიძლიათ პირველი ნადირობა გაიხსენოთ?**

— პირველად ჯიხვი მოვინადირე ყაზბეგში. ეს დიდი ნადირობა იყო, რადგან მე ნადირობას იმას ვუწოდებ, როცა

ჯიხვს მოვკლავ. როდესაც ჯიხვი მოვკალი, დავიფიცე, მარტო ჩავიტან-მეთქი. უზარმაზარი იყო, ძველი მოჭიდავე ვარ და ღონე მომდევდა, მაგრამ დამტანჯა კაცი. ორი კილომეტრი ვატარე მაინც. გზაზე ოთხი ალპინისტი შემხვდა, ხე დაუდეს და ისე გავაგრძელეთ გზა. არ დამავიწყდება, პირველი დათვი რომ მოვკალი.

— **ბევრმა არ იცის, მაგრამ დათვი ძალიან ცბიერი ცხოველია, როგორია დათვზე ნადირობის სპეციფიკა?**

– დათვზე სანადიროდ უფრო ჩრდილოეთით მივდიოდი ხოლმე. იქით დათვიც ბევრია და ღორიც. დათვი ძნელი მოსანადირებელია, მასზე ეშმაკი და სწრაფი ცხოველი მართლაც იშვიათია, მაგრამ რატომღაც ყველას პირიქით ჰგონია. ისე მოგეპარება, ვერ გაიგებ. ხმელი ტოტები რომ დაყარო, ღორი, ირემი, ჯიხვი შლიგინით გადაირბენენ, დათვი კი ფრთხილად გადაივლის.

— **რამდენი დათვი გყავთ მოკლული?**

– საიდუმლოა. ცოტა ნამდვილად არ მომიკლავს.


მელა და მგელი სასწაულად მომრავლდა. ამიტომ მათზე ნადირობა აუცილებელია...

## მეგობრის ლოცვამ სიკვდილისაგან მიხსნა

— **ნადირობის გამო თავი საფრთხეში თუ ჩაგიგდიათ?**

– აფხაზეთის სვანეთში მარტო ვნადირობდი ხოლმე ჯიხვზე. იქ აკრძალულია მთაში მარტო სიარული და ნადირობა, შეიძლება გადაიჩეხო, ვინლა გიპოვის. იქ ერთი მეგობარი მყავდა, სამსონ გუგუსიანი, ნამდვილი მონადირე, საოცარი კაცი. ერთად იშვიათად ვნადირობდით, მაგრამ როცა ეს ხდებოდა, ნამდვილ დღესასწაულს ვაწყობდით. ყველა ნატრობდა ჩვენთან ნადირობას. ერთხელ ჩვენს საერთო მეგობარს, გივი კვიციანს ორი მეგრელი სტუმარი ჩამოუვიდა და სანადიროდ წავიყვანეთ დომბაიში, იქ ძალიან ბევრი ნადირი იყო. ჩვენს მხარეს ვერიდებოდით ნადირის ხოცვას. გადასულებიც არ ვიყავით, რომ გაგვიავდრდა. სტუმრებმა აღარ მოინდომეს გზის გაგრძელება. მე არ გავყევი, ნადირობა უნდა გავაგრძელო-მეთქი, ვუთხარი. გადაირივნენ, მაგრამ სამსონმა გააჩერა, იცის მაგან თავისი საქმისაო. დამიტოვეს საჭმელი და წავიდნენ. ცოტა ხანში მთელი კავკასიონი გადათეთრდა. ახალი თოვლი იყო და მიხაროდა, მალე ვიპოვი-მეთქი სამიზნეს. გავედი, ვეძებ ნადირს, მაგრამ არაფერი ჩანს. მაინც არ დავიხიე უკან. ერთ ქედზე რომ ავედი და გადავიხედე, გალმა ორი ჯიხვი გამოხტა. ჩავუჯექი, ერთს ვესროლე და მოვკალი. მეორეს ვესროლე, დაიჭრა, მაგრამ გაიქცა. მეც გამოვედევნე. მირბის, მივდევ. ისეთ ადგილას შემიტყუა, რომ ძალიან გამიჭირდა სიარული და გზის გაკვალვა. გაპობილი კლდე იყო, ძლივს ავძვერი. ჯოხი და ზურგჩანთა დაბლა დავტოვე. ხან აქედან გადამახტებოდა ეს ჯიხვი თავზე, ხან – იქიდან. თოფი მხარზე მქონდა გადაკიდებული. ისეთი ციცაბო იყო, რომ მოხსნას და სროლას ვერ ვახერხებდი. ნისლიც ჩამოწვა და დამეკარგა თვალთახედვიდან ცხოველი. აღარც გზა ჩანდა. მაინც არ შევეშვი და გავუყევი ციცაბოს. მალე მივხვდი, რომ ხაფანგში ვიყავი. ამასობაში ქარმა ნისლი გაფანტა და რას ვხედავ? – 500-600 მეტრის სიმაღლის კლდეზე ვარ ჩამოკიდებული. დაბლა მდინარე ჭიაყელასავით მიიკლაკნება. ბუზი რომ დააჯდება კედელს, ზუსტად ისე ვიყავი. ვგრძნობდი, რომ ძალა მელეოდა. ვფიქრობდი, რა სულელურად ვკვდები-მეთქი. მთელი ცხოვრება თვალწინ დამიდგა. გამახსენდა ყველაფერი – მეგობრები, სახლი.

— **ნადირობაზე უკვე ველარ ფიქრობდით, არა?**

– სადღა მქონდა მაგაზე ფიქრის თავი. სამსონის სიტყვები მახსენდებოდა, თუ გაგიჭირდეს, საჭმელი და ცეცხლი არ გქონდეს, ნანადირევს ღვიძლი ამოაჭერი და შეჭამეო. ჯიხვის ღვიძლი ხომ ყველაზე ჯანმრთელია. თუ ღვიძლი დაუა-


მონადირეები ყველაზე მშვიდობიანი ხალხი ვართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდა, მაშინვე კვდება. ნეტავ ეს ღვიძლი მაინც გამესინჯა, რა არის ასეთი-მეთქი, ვფიქრობდი. ჩემდა უნებურად, ლოცვა და ღმერთთან საუბარი დავიწყე. რამდენი საათი გავატარე ასე, არ მახსოვს. ამ საუბარს, ფიქრსა და ლოცვას რომ მოვრჩი, ჩემდა უნებურად ავმოძრავდი. გამოვედი და დავდექი. არ მჯეროდა. ხელ-ფეხი ჩემი აღარ იყო, 5-6 კილოგრამი მქონდა დაკლებული, ტანსაცმელი ტანზე მეკიდა, ხელებიდან სისხლი მდიოდა. იქ, სადაც მიჭირდა ჩამოსვლა, ისე ჩამოვცუნცულდი, ვითომც არაფერი. უცებ, რას ვხედავ, – ჯიხვი მოსწყდა კლდიდან, გადმოვარდა და პირდაპირ წყაროსთან დაეცა. ეს ის ჯიხვი იყო, პირველად რომ დავჭერი.

**— ღვიძლს არ გაუსინჯეთ გემო?**

– პირველ რიგში ეს გავაკეთე. გამოვშიგნე, გაუტყავებელი ავიკიდე ზურგზე და ისე წამოვიღე, თითქოს ორი კილოგრამი მომქონდა. ასე მივაღწიე სამსონას ქოხამდე, შევაღე კარი და რას ვხედავ, სანთელი ანთია, სამსონა ლოცულობს და ჩემს სახელს ახსენებს. უკან არც მოუხედავს, ისე მითხრა, გილოცავ გადარჩენას და გამარჯვებასო. თურმე, სამსონა მთელი ღამე ლოცულობდა ჩემთვის.

## მგელი – ბუნების მტერი

**— ბოლოს რა მოინადირეთ?**

– რამდენიმე დღის წინ მგელზე სანადიროდ ვიყავით მეგობრები.

**— მგლის ხორცი ხომ არ იჭმება, რატომ კლავთ?**

– ბოლო დროს ისე მომრავლდა, რომ უკვე მოსახლეობასა და შინაურ ცხოველს ერჩის. შარშან კაციც კი შეჭამეს. უამრავი მგელია საგარეჯოში, თბილისის შემოგარენში.

რამდენიმე წლის წინ, დიდი შეცდომა დაუშვეს. გრანტის გამო, ძაღლისა და მგლის შეჯვარებით ახალი ჯიშის მგელი გამოიყვანეს. სწორედ ეს არის ეგრეთ წოდებული წითელი მგელი. ჩვეულებრივ მგელზე მარდი, ჭკვიანი, ცბიერი და დაუნდობელია. ძალიან საშიში ცხოველია. საერთოდ, მგლის მოკვლა ძნელია, რადგან ფრთხილია, თოფზე იოლად არ გამოდის. სპეციალურ ნადირობებს ვაწყობთ ხოლმე, რომ დარეგულირდეს მათი რაოდენობა, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევები ზღვაში წვეთია. ძალიან მალე მრავლდება... ბევრია ტურაც. მუსრს ავლებენ ყველაფერს.

**— მოკლული ტურა-მგელი სად მიგყავთ?**

– ტყავი თან მოგვაქვს, ლეშს ცხოველები ჭამენ. არის კიდევ ენოტი, რომელიც რამდენიმე წლის წინ შემოიყვანეს და მთელ ალაზნისპირეთს მოედო. იცით, ამ ცხოველზე კანადაში რას ამბობენ? – ყველაზე კარგი ენოტი მკვდარი ენოტიაო. ყველაფერს ჭამს. ხეზე ადის, წყალში ჩადის. ამიტომაც გახდნენ სანადირო ობიექტები. თუ არ მივხედეთ, განადგურება ელის ირემს, ხოხობსა და სხვა ფრინველ-ნადირს.

## სანადირო ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანია მსოფლიოში

**— უკვე 40 წელიწადზე მეტია ნადირობთ, რა შეიცვალა ამ პერიოდში ნადირობის კულტურაში?**

– მიდგომა შეიცვალა ნადირობისადმი. მართალია, საქართველოში ჯერ კიდევ განუვითარებელია სამონადირეო ტურიზმი, მაგრამ ნელ-ნელა შეინიშნება ძვრები. საამისოდ აუცილებელია სანადირო მეურნეობის განვითარება. ადრე კაცი სანადიროდ ხორცისთვის მიდიოდა, დღეს ამან სხვა დატვირთვა მიიღო.

როცა ადამიანები მიხვდნენ, რა საფრთხე ემუქრებოდა ბუნებას, მისი მოვლა-პატრონობა დაიწყეს. გაჩნდა ნაციონალური პარკები, ნაკრძალები. საქართველოშიც გვაქვს ნაკრძალები, მაგალითად, ლაგოდეხის, საგურამოს. ეს აუცილებელია, რადგან ცხოველისა და ფრინველის არაერთი სახეობა გადაშენების პირასაა.

**— საქართველოში არსებული ცხოველებიდან, რომლები არიან წითელ წიგნში შესული?**

– დათვი, როჭო, ჯიხვი, შურთხი. ახლა მათ უკვე იშვიათად კლავს ვინმე. ძირითადად, ტროფეიზე ნადირობენ, – ბებერ ხარზე ან ბებერ ჯიხვზე, რომელსაც ბუნებისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ახალგაზრდებს ხელს უშლის, ზოგჯერ კლავს და საკვებს ართმევს. ამიტომ მისი მოკვლა სასარგებლოა, რადგან შეიძლება დაავადდეს და მთელი ჯოგიც დაასნეულოს.

კარგად არის განვითარებული სამონადირეო ტურიზმი გერმანიაში, უნგრეთსა და სხვათა შორის, მეზობელ აზერბაიჯანში. სამონადირეო ტურიზმით ქვეყნის ბიუჯეტში მილიონობით ფული შედის. აზერბაიჯანელმა ეგერებმა და გამყოლებმა რუსული აღარ იციან და ინგლისურად დაიწყეს ლაპარაკი. საიტებიც შექმნეს და რეკლამებს აკეთებენ. თითო უცხოელი მონადირე ერთ ჯიხვზე 4.000 ევროს იხდის. იღებენ 75 ჯგუფს, თითოში საშუალოდ 2-3 კაცია. გადაამრავლეთ და მიხვდებით, რამხელა შემოსავალს იღებს ქვეყანა და ადგილობრივი მოსახლეობა. ეს ოფიციალური თანხაა, თორემ ის ტურისტი რამდენს ხარჯავს ყოველდღიურად, ვინ იცის. თანაც, ნადირიც გასამაგდა, ნადირობაში ვიღაც ფულს იხდის და თავისდა უნებურად შენს ფაუნასაც აწესრიგებს. ჩვენთან ახლა იწყება ყველაფერი, მთავარია, რომ ყინული დაიძრა. საქართველოს ამ ტურიზმის განვითარებისათვის სრული პოტენციალი აქვს.

*ნინო მამუკაძე*

**არ უნდა მოკლა იმაზე მეტი, რისი წაღებაც შეგიძლია...**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 5. ციხესიმაგრის ან გამაგრებული რაიონის ყველა ჯარის უფროსი; 6. მოწმე და შუამავალი, რომელიც დუელის თითოეულ მონაწილეს ახლდა; 8. საშუალო სამხედრო სასწავლებლის მოსწავლე, რომელიც ოფიცრად ემზადებოდა მეფის რუსეთში; 10. გერმანული საბრძოლო ტანკი; 13. რუსული მცირელიტრაჟიანი ავტომობილი; 15. ბრაზილიური ტანკი; 16. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ფირმა; 17. ებრაული ენა; 18. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 19. მეომრის სამხედრო საჭურველი ძველად; 21. იაპონური ავტომობილი; 25. რუსული პისტოლეტი; 26. მტაცებელი ცხოველი; 27. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 28. რევოლუციონერ ერნესტო გევარას მეტსახელი; 29. ფრანგული ავტომობილი; 30. კრივის მოედანი; 31. ამერიკელი კინომსახიობი ტომი... ჯონსი; 32. ქართული სადაზღვევო კომპანია 33. ისრაელის საბრძოლო თვითმფრინავი.

**შვეულად:** 1. ფრანგული რევოლვერი; 2. მომთაბარე არაბი; 3. სლოვაკური 152მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცი; 4. საგანგებო დავალება; 7. დიდი სწრაფმავალი ჯავშნოსანი გემი, აღჭურვილი შორსმსროლელი ქვემეხებით; 9. იუგოსლავიური პისტოლეტი; 10. ბერძნული ჯავშანტრანსპორტიორი; 11. მონაწილე ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებენ მტრის წინააღმდეგ ხალხის ფართო მასების რაზმები ოკუპირებულ ტერიტორიაზე; 12. აშშ-ის სადაზვერვო თანამგზავრი; 14. ინდური გამანადგურებელი ბომბდამშენი; 18. ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა კვადრატის სახით, იყენებდნენ ძველად კავალერიის შეტევის მოსაგერიებლად; 20. ისრაელის წარმოების პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; 22. ძვ. საბერძნეთში ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა — ერთმანეთთან მიჯრილი მწკრივები; 23. მსხვილი იმპერიალისტური კოლონიური სახელმწიფო; 24. ჩუქჩების საცხოვრებელი ქოხი; 25. ქართველი გენერალისიმუსი; 26. მწყობრი ნაბიჯით სვლა.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. შენბერგერი; 6. ლიამა; 7. ტულე; 8. ჯო; 10. რაფი; 12. გერინგი; 13. ვესტერნი; 16. იუნიკი; 18. ლიბანი; 19. შმიდტი; 20. შოუბოე; 22. სუბარი; 24. ალასკა; 25. ლიბია; 28. იტალია; 29. ნოხალი; 30. ბაიკონური; 33. შტურვალი; 34. კა. **შვეულად:** 1. შელდაგი; 2. ნიაგარა; 3. ეტა; 4. გატორი; 5. იმედი; 9. ანტიფაშისტი; 11. ფოლკსშტურგი; 13. ვალენშტაინი; 14. სუბარუ; 15. რაინმეტალი; 17. ნაგი; 21. ბასგაჩი; 23. ბია; 26. ბიჟუ; 27. არმინია; 30. ბოტი 31. კავე; 32. ნალი.

# 1000 ქართული ყუმბარსატყორცნი

15 წლის შემდეგ „არსენალი“ გათქვამს ერთ პატარა საიდუმლოებას, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია, — კერძოდ, საქართველომ პირველად იარაღის სერიული წარმოება 1993 წლის მაისიდან დაიწყო და ეს იყო ხელის ტანკსაწინაღო ყუმბარსატყორცნი РПГ-7.

იარაღის სხვადასხვა ნიმუში დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოში მანამდეც გამოუშვიათ და შემდგომშიც, მაგრამ მათი სერიული წარმოება არ დაწყებულა. ყუმბარსატყორცნი РПГ-7 (და გარკვეულწილად 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნი) ქართული წარმოების იარაღის ის სახეობაა, რომელიც 1993-98 წლებში ათას ეგზემპლარზე მეტი გამოუშვეს და ქართული არმიის შეიარაღებაში დღესაც არის.

სტატიის ავტორი თავად იყო იმ ისტორიული მომენტის მონაწილე, როდესაც პირველი ქართული ყუმბარსატყორცნები 1993 წელს თბილისიდან გორში წავიღეთ და პოლიგონზე სპეციალურ დაზგაზე დამაგრებული გამოვცადეთ (უსაფრთხოების მიზნით, პირველი გასროლები რამდენიმე მეტრის დაშორებიდან თოკის გამოკვრით ხდებოდა).

ქართული ყუმბარსატყორცნების სერიული წარმოება თბილისის საავიაციო ქარხანაში დაიწყო, 82მმ ნაღმსატყორცნებთან ერთად. პრინციპში, ქართული ყუმბარსატყორცნი შეესაბამებოდა თავის საბჭოთა ანალოგს, თუმცა მისგან განსხვავებულიც იყო ლულის გარშემო ხის ნაცვლად გამძლე პლასტმასის დამცველითა და საქშენის განსხვავებული კონსტრუქციით.

ქართული ყუმბარსატყორცნები მოესწრნენ აფხაზეთის ომის ბოლო ნაწილს, შემდეგ 1998 წელს გალის მოვლენებშიც იყენებდნენ...

1993-1998 წლამდე (როდესაც რატომღაც შეწყდა ამ ყუმბარსატყორცნების წარმოება თბილისის საავიაციო ქარხანაში) საერთო ჯამში 1000-ზე მეტი ერთეული აიწყო.



**РПГ-7 ტიპის ხელის ტანკსაწინაღო ყუმბარსატყორცნი იარაღის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სახეობა იყო, რომელსაც სერიულად აწარმოებდნენ დამოუკიდებელ საქართველოში**

ხელის ტანკსაწინაღო ყუმბარსატყორცნი РПГ-7 საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1961 წელს მიიღეს. მან საბრძოლო ქვედანაყოფებში მოძველებული РПГ-2 შეცვალა.

ყუმბარსატყორცნი РПГ-7 განკუთვნილია ტანკების, თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა და სხვა ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა ამისა, მისი გამოყენება შეიძლება მტრის იმ ქვეითების გასანადგურებლადაც, რომლებიც კედლებს ეფარებიან.

ფაქტობრივად, ყუმბარსატყორცნი თითქმის 1 მეტრი სიგრძის რკინის მილს წარმოადგენს, რომელსაც წინ უკეთდება რეაქტიული ჭურვი, იგივე კუმულაციურტურბინიანი რაკეტა.

რაკეტა ზეკალიბრის გასროლას წარმოადგენს, რადგან მისი კალიბრი (მოდიფიკაციებიდან გამომდინარე) შეიძლება 70 მმ-დან (ПГ-7ВМ) 105 მმ-მდე (ТБГ-7В) მერყეობდეს, მაშინ როდესაც თავად ყუმბარსატყორცნის ლულის კალიბრი მხოლოდ 40მმ-ია.

რაკეტას გასროლის წინ უკან ეხრახნება მწვანე ფერის გამომგდები მუხტი, რომელშიც თავის მხრივ ჩაწნეხილია



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი დოსიე: РПГ-7В ტიპის ხელის ტანკსაწინაღო ყუმბარსატყორცნის სიგრძე 95 სმ-ია, კალიბრი კი 40 მმ; მასა ოპტიკური სამიზნით 6,3 კგ-ს აღწევს. ყუმბარსატყორცნი შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან: ლულა, საცემ-სასხლეტი მექანიზმი და დასამიზნებელი მოწყობილობა.

სტაბილიზატორის გასაშლელი ფრთები. გასროლისას ინიცირდება დინამორეაქტიული გამომგდები მუხტი, რომელიც დაწვას ყუმბარსატყორცნის ლულაშივე ასწრებს და რაკეტას ლულიდან 120 მ/წმ საწყისი სიჩქარით აგდებს წინ.

ამ დროს წარმოქმნილი აირები ყუმბარსატყორცნის უკანა საქშენიდან დიდი სიჩქარით გამოიტყორცნება და ამით ანეიტრალებს იმ რეაქტიულ მომენტს, რომელიც რაკეტის ყუმბარსატყორცნიდან გასროლისას წარმოიშვება.

ამ ფიზიკური პროცესის შედეგია, რომ ყუმბარსატყორცნს გასროლისას არ აქვს უკუდარტყმა, სამაგიეროდ, ყუმბარსატყორცნის საქშენის უკან, 20-30მ-ის დისტანციაზე სჯობია, არავინ იდგეს, თორემ უკან დიდი სიჩქარით გატყორცნილმა აირებმა შეიძლება ადამიანს დამწვრობა მიაყენონ.

ყუმბარსატყორცნიდან გასროლილ რა-



РПГ-7В-ს ნაცვლად საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ჯარებისთვის ამზადებდნენ РПГ-7Д-ს. იგი შუაზე იხსნება და უფრო მოხერხებულია დესანტირებისას.



**ჩვენი დოსიე:** РПГ-7В-დან სასროლად გამოიყენება შემდეგი სახის კუმულაციურქობინიანი რაკეტები: ПГ-7В (მართი კუთხით მოხვედრისაას ხვრეტს 260 მმ სისქის მონოლითურ ჯავშანს და მისი გახვრეტის შემდეგ ინარჩუნებს დამაზიანებელ ძალას); ПГ-7ВЛ (ხვრეტს 500 მმ სისქის ჯავშანს); ПГ-7ВР (ორთავიანი ტანდემური კულუმაციურქობინიანი რაკეტა. პირველი თავი აფეთქებს ტანკის დინამიკურ ჯავშანს, მეორე კი ხვრეტს 600მმ მონოლითური ჯავშნის ეკვივალენტ კომბინირებულ ჯავშანს); ТБГ-7В (თერმობარული მოქმედების რაკეტა) და ОГ-7В (მსხვრევადქობინიანი რაკეტა იხმარება მხოლოდ ქვეითების წინააღმდეგ).


ПГ-7В ჭრილში

ПГ-7ВЛ

ПГ-7ВР

ТБГ-7В

ОГ-7В

კეტას ეხსნება სტაბილიზატორის ფრთები და ერთვება მყარსაწვავიანი რაკეტული ძრავა. ძრავა რამდენიმე წამს მუშაობს და რაკეტას მაქსიმალურ სიჩქარეს – 300 მ/წმ-ს ანიჭებს.

ყუმბარსატყორცნის ლულიდან 1,8-2,5 მეტრზე გამოფრენის შემდეგ რაკეტის ამფეთქი უკვე შეყენებულია. რაკეტის მიზანში მოხვედრისას ამფეთქის პეზოელემენტი იკუმშება, რის დროსაც წარმოიქმნება ელექტრონული იმპულსი, რომელიც აფეთქებს ამფეთქის ელექტროდეტონატორს. აფეთქებისას წარმოიქმნება მიმართული კუმულაციური ჭავლი, რომელიც ხვრეტს ჯავშანს და მის უკან განთავსებულ ადამიანებს ანადგურებს მაღალი წნევითა და თვით გახვრეტილი ჯავშნის ნამსხვრევებით.


ამერიკელმა სამხედროებმა ერაყში ათასობით РПГ-7-ი ამოიღეს, რომელთა უმრავლესობა ჩინური წარმოების იყო. ერაყში დღესაც РПГ-7-ი ტერორისტების „საყვარელ“ იარაღად რჩება...


ქართული РПГ-7-ის გარდა დამზადებულ იქნა მისგან სასროლი მსხვრევადი რაკეტები „კოდორი“, რომლებიც მოწინააღმდეგის ქვეითების გასანადგურებლად შეიქმნა. „კოდორის“ სერიული წარმოება არ შედგა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღაზას სექტორში პალესტინელები РПГ-7-ებით ასე ნაქებ ებრაულ „მერკავებსაც“ აფეთქებენ...



„არსენალის“ მიერ 300 მ-დან ნასროლი კუმულაციურქობინიანი რაკეტა პოლიგონზე მდგარ T-34-ს შუბლაჯავშანში, მძღოლ-მექანიკოსის ლიუკის მარცხნივ მოხვდა.

გასროლის შემდეგ, 4-6 წამის განმავლობაში, თუკი რაკეტა მიზანს არ მოხვდა ან არ იმოქმედა აფეთქის ელექტროდეტონატორმა, ხდება რაკეტის თვითლიკვიდაცია. 4-6 წამი შეესაბამება დაახლოებით 600 მ-ზე ფრენას.

„არსენალმა“ РПГ-7 კრწანისის სასწავლო ცენტრის პოლიგონზე გაისროლა (მანამდე სტატიის ავტორს სხვადასხვა დროს ათამდე ტანკსაწინაღო რაკეტა აქვს გასროლილი). მიზანი – T-34 ტიპის ტანკი 300 მ-ში, ცხვირით იდგა. კუმულაციურქობინიანი რაკეტა ტანკს შუბლაჯავშანში, მძღოლ-მექანიკოსის ლიუკის მარცხნივ მოხვდა და ჯავშანში რკინის ორლარიანი მონეტისხელა ნახვრეტი გააკეთა.

РПГ-7-ის გასროლისას მანძილს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, კუმულაციურქობინიანი რაკეტა მიზანს მოხვდეს. მიზანი ერთნაირად დაზიანდება, რაკეტა 100მ-დან ისროლე თუ 400-დან, რადგან ამ შემთხვევაში მთავარი დამაზიანებელი კუმულაციური ეფექტია.

თუმცა უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, არ არის რეკომენდებული სასწავლო სროლების დროს რაკეტა ყუმბარსატყორცნიდან 300მ-დე ახლოს მყოფ ჯავშნიან სამიზნეს ესროლო, რადგან რაკეტის ან ჯავშნის ნამსხვრევები ზოგჯერ უკან 150მ სიშორეზე მოფრინავს.

სასწავლო სროლების დროს რეკომენდებულია ყუმბარსატყორცნის გასროლა საფარიდან ან სანგრიდან. ყუმბარსატყორცნის საქშენის უკანა ბოლოდან სანგრის კედლამდე არანაკლებ 2მ უნდა იყოს. არ შეიძლება იმ ყუმბარსატყორცნის სროლა, რომლის ლულაშიც ჭუჭყია ან წინა გასროლისგან არის დარჩენილი დაუმწვარი მუხტის ნარჩენები. გასროლისას ყუმბარსატყორცნის წინა ნაწილი 20სმ-ზე მაღლა უნდა იყოს აწეული სანგრის პირიდან, რადგან ყუმბარსატყორცნით გასროლილ რაკეტას ეხსნება სტაბილიზატორის ფრთები და ისინი შეიძლება წამოედონ მიწას ან საფარის კედელს.

თითოეული კუმულაციურქობინიანი რაკეტის შეძენა 80-100 დოლარი ჯდება, ასე რომ, ყუმბარსატყოცნის გასროლა ერთი შეხედვით ძვირი სიამოვნებაა, მეორე მხრივ კი ასდოლარიანი რაკეტით შეიძლება დააზიანო ან მთლიანად ააფეთქო 2-3 მლნ-იანი ტანკი (თუკი კუმულაციურქობინიანმა ჭავლმა გახვრიტა ჯავშანი და ააფეთქა ტანკის შიგნით განთავსებული ჭურვების მარაგი).

РПГ-7 ტიპის ყუმბარსატყორცნის „ხანდაზმულობა“ ნახევარ საუკუნეს უახლოვდება. მიუხედავად ამისა, დღესაც ჯავშანტექნიკის საწინააღმდეგო ძალზე ეფექტიანი იარაღის სახეობაა.

*ირაკლი ალადაშვილი*




ISSN 1987-5061